

K 595
3

საქართველოს სსრ-ის ისტორიის და სოციალური
სწავლათა ინსტიტუტის გამომცემი

საძროველო სსრ-ის

ტომი I.

განთავსება მეორე

წიგნი I.

ს. თაყაიშვილის რედაქციის

თბილისი 1929



Edition de la Société géorgienne d'histoire et
d'ethnographie

LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES

TOME I.

ÉDITION DEUXIÈME

LIVRE PREMIER

Sous la rédaction de M. E. Takatchvili


TIFLIS 1929

საქართველოს სიძველენი

ბ. კ. 595
3

1. სიგელი, 107 X 22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მრგვალის და ლამაზის მხედრულის ხელით. თითოეულ სიტყვის შემდეგ ნამდვილში სამ-სამი წერტილია, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ. სიგელი ეკუთვნის ა. გ. წულუკიძეს და დროებით ხონიდან ჩამოიტანა ტფილისში ა. ვ. ქუთათელაძემ და გადაწერილი გადმოგვცა. ქორონიკონი სიგელისა უჩვენებს 1451 წელს, ხოლო მეხუთე ინდიქტიონი გიორგი IX მეფობისა ცნობილის ქრონოლოგიით უდრის 1450 წელს.

1451, ივლისის 1. ქ. სახელითა ღმთისათა გიორგი მეფეთა მეფისაგან, იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატიონიანისა, ნებისა ღმთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა, და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თვთ კელმწიფედ მფლობელ მპყრობელთასა, მოვიდეს წმუ ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და თავ-დადებით ნამსახურნი და ჩუენისა და ტახტისა უზედაე ყოფისთვს დიდად ჭირ-ნანახნი წულუკისძე ვირშელი და მისნი შვილნი ვალადემურ, სალუკაზან, ბევროზ, ბეჟან და სიაოშ გუაჯანეს და მოგუაკსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა ნამსახურთა მათთასა შეგუეწყალნეს, სიგლითა ამით დაგუემტკიცა და მათთვს მათისავე მკუიდრისა და ნასისხლისა და გუარეულად მათგანვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გუეეო, დაგუაჯერა ღნ და ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი და მოგობოქეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული, და ყოვლისა აღამის ტომისა მონათესავისა კაცისაგან მოუდეგარ მოუსარჩელი სოფელი იწა მისითა მიდგომითა და გასათუალავითა, მზღურითა, მითითა, ბართა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაკითა, სუანითა, ტუითა, სანადირითა, ჭაღითა, სათიბითა, სანადირითა, შესავლითა



და გამოსავლითა, სძებრითა და უძებრითა, საკმრითა და უხმრითა, მათითა ჭურ-მარნითა, სსახლოთა და მისითა სამართლიანითა, ერთობ სრულად და უკლებლად გქონდეს, ვითა თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა მართებს. აგრე ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი და დიდებულნი, და ვერ აზნაურნი, და მათ უქუედაესნი ვერას ჟამის გამცუალებისათჳს ვერაოდეს ვინ მოგერხოდეს, და ვერც ვინ გეცილებოდეს, და თუ ვინ მოგერხოდეს, ჰირნი და ჰასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ, და თუ ვინმე ამა ადგილისა და სოფლისა გაცემულობისა წიგნი და ნიშანი ვინმე მოიღოს, ამა მტკიცითა სიკლითა გაკუიცულებია, და მტკიცე ესე ოდენ არის, ამაღ რომე მკუიდრი და ნასისხლი თქუენი და თქუენისა სახლისა უფილა, და თქუენგან მეტის სხუასა კაცსა არავის მართებს, ჰანანი და მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა და ერთგულობასა შიგან დაკოცილან, და ჩუენთა გუართათჳს მრავალი უმსახურებია, და თქუენ ობოლნი და წურილნი დარჩომილხართ მას დროსა და ჟამსა შიგან. მეჟმობით თუ ვისმე ესე თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული სოფელი იწა გამოეურგოს და ეშოგნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი და უსამართლო გჭირვებია, არა თუ აწ თქუენსა მკუიდრსა და ნასისხლსა ამა მამულსა სოფელსა იწასა მოგასარჩლოთ და ძალად და უსამართლოდ ნაქონებისათჳს ვისმე სხუასა კაცსა სიკელი აეღოს, ტუუვილია ცუდი და უსამართლობა არის, და ამა ჩუენმან მტკიცემან სიგელმან გატეხოს იგი; და არავინ გუიბრძანებია მშელი და მატეველი ამის ბბულისა ჩუენისა, არცავინ მეუბნებლე მავნებელ და მაკლებელი თუინიერ შეწევნისა და თანადგომის მეტი. გქონდეს თქუენ, ჩუენთა დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა წუელუკისძესა ვირშელსა და თქუენთა შვილთა ვალადემურს, სალუჟასანს, ბევროზს, ბეჟანს და სიაფს, და თქუენთა მომავალთა უფელთავე, სოფელი იწა თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მისითა მზღვრითა, ველითა, ვენაკითა, წელითა, წისქუილითა, ტუითა, სანადირითა, ჭალითა, სთიბითა, საყანოთა, შესავლითა და გამოსავლითა, საკმრითა და უკმრითა, სძებრითა და უძებრითა, უუელათა მისითა სამართლიანითა ბბა ნიშნად გუიბოძებია, აწ ვინცა ნახოთ ბბა და სიკელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვა-

ზირთა, მოურავთა, კელისუფალთა, დივანთა და მოსაქმეთა, მეკ(უ)ლუ-
ხეთა, ჰურისა და საკლავისა მკრეფელთა, ტყუისა და მჰარავთ მქე-
ბართა, ცინისთავთა და ცინოახთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, ახორს-
ლართა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა და უფელთავე კარით ჩუენით წარ-
ვლენილთა, დაუმტკიცეთ, და ნუენ უშალავთ მტკიცედ ბზულსა ამას
ჩუენსა. და თქუენ, წმიდანო მეუფენო ქართლისა და აფხაზეთისა კა-
კოზნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ ბზული ესე ჩუენი. დაიწკრა ბზა
და სიგელი ესე ინდიკაციონსა მეფობისა ჩუენისასა „ე“, ქქნსა „რლო“,
ივლისსა წ, კელითა წირქუაღელისძისა რატისათა.

ბრძანება ესე გიორგის დაგუემტკიცებია (ხელჩართულად).

2. სიგელი, 121×20 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ ლამა-
ზის მხედრულის ხელით. თავში დახატულია მაცხოვარი, მარ-
ჯვენა ხელი ჯვარის სახედა აქვს და მარცხენა ხელში გაშლილი
სახარება უჭირავს შემდეგის წარწერით ხუტურად: „მოვედით ჩემ-
და ყნი ტვრთ მძიმენი და მე განგისუენო თქვენ“. მაცხოვრის
ქვემოთ ხუტურად (ნუსხური): „(ს)ახელითა სახიერისა, სამგვა-
მოვნისა ერთ“... შემდეგ დახატულია თვით მეფე გიორგი IX,
რომელიც ზის ტახტზე და აწვდის სიგელს ყურულს მარჯვენა
ხელის ზემოთ მეფის სურათს გარეთ აწერია მხედრულათ: „მე-
ფეთ მეფემან“. ორივე მხატვრობა ამ სიგელისა ჩვენ გადავადე-
ბიეთ ფოტოგრაფს ერმაკოვს. ეს სიგელი შეცდომებით დაბეჭდი-
ლია „ივერიაში“ 1886 წ. № 124 და „Кавказское Общество-
ние“-ში 1887 წ. აპრილს. ფრანგული თარგმანი მისი ბროსეს
შეუტანია თავის Introduction-ში. XCV--XCIX.

1460. სახელითა დმრთისათა ჩუენ¹⁾ ორსავე ტახტის [და] სა-
მეფოსა, ღიხთ იმერისა და ღიხთ ამერისა, აფხაზთა, ქართველთა,
რანთა, კახთა და სომეხთა, შანშე და შარვანშაე და სრულისა აღმო-
საფლეთისა და დასაფლეთისა თვთ ფლობით კელმწიფედ მტკიცედ
მზურობელმან, მეფეთ მეფემან გიორგი, და თანა მეტხედრემან ჩუენ-
მან დედოფალთა დედოფალმან ნესტან-დარეჯან და ქემან ჩუენმან

1) ეს სამი სიტყვა ხელჩართულია.

აღექსანდრე ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობის სიგელი ამისდ
ნიშნად გიბოძეთ ერისთვის შაღვასა და ღარგუელისა კითხვითა მათ-
სა მკვდრსა და თანა-აღზრდილ შეზრდილსა და ჰატიფცემულსა¹⁾
. ღსა მღღელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და
რატის, და თქუენსა შვილსა დემეტრეს, და ძმის წუფლსა შიოს, თქუენთა
შვილთა და მომავალთა და²⁾ აბირონს, აბრაამს და სიამშს... გუარის-
სა თქუენისთა, მას ჟამსა ოდეს მოხუდით წინაშე ჩუენსა და გვა-
ჯეთ, რათამცა ჩუენცა სიგლითა ამით ჩუენცა ჰატიფ გუეცა და შე-
გუეწყალებით, ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი, ვქენით მოკითხუ-
ლი და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იუო ცხრაზმა და თქუე-
ნი გუარისა კაცი მისი მონაზირე ყოფილას და მონასტრისა და ციხის-
სა შვილი და მქენებელი, აწ ჩუენცა შეგიწყალებთ და ძუელად გაჩე-
ნილი სისხლი გაგიანხლებთ და გაგიჩინებთ ასსამოცი (ასამოცი) ათასი
კილმანაური თეთრი ამა ჰირთა ზედა: თუ ვინმე კადროს და თქუე-
ნისა გუარის კაცი მოკლას, დიდითა შემოხუეწითა ასსამოცი (ასმო-
ცი) ათასი კილმანაური დაგიურფოს, თუ ვინმე კადროს ანუ ზედა და-
ესხას, ანუ ცოლი³⁾ [გაგიუჰატიოს, ანუ ცოლსა უცემოს] ნას
თქუენისა გუარისა კაცსა, ორმოც-და-ხუთი ათასი კილმანაური დაგიურ-
ფოს დიდითა შემოხუეწითა; თუ ვინმე სსახლესა ზედა დაგესხას და
აჯაფი წაგიდოს, იგივე ორმოც-და-ხუთი ათასი დაგიურფოს, და ნა-
ცურატი უკლებად შემოგაქცეს; თუ ვინმე მახჯლი შემოგდვას და და-
გჭრას, ოც-და-ათი ათასი კილმანაური დაგიურფოს; თუ ვინმე ისარი
გესროლოს, ორმოცი ათასი დაგიურფოს; თუ ვინმე ჯოჯი და ანუ ნა-
ხირი გაგიტეხოს, თორმეტი ათასი დაგიურფოს; თუ ვინმე თუალი
წამოუგდოს, სამოცი ათასი დაგიურფოს; თუ ვინმე ანუ კელითა და
ანუ ფერკითა დააშაოს, ორმოც-და-ათი ათასი კილმანაური დაგიურფოს;

1) ამას იქით ორი თუ სამი სიტყვა განგებ ამოფხეკილია.

2) ამას იქით ერთი თუ ორი სიტყვა განგებ ამოფხეკილია და ზე-
მოთ სხვა ხელით და მელნით ის ოთხი სიტყვა არის ჩამატებული, რა-
მელიც ამ სიტყვის შემდეგ არის მოყვანილი (ხელი თუმც სხვაა, მაგრამ
ანბნების ხასიათი იმავე დროსი არის).

3) ამას შემდეგ ერთი სტრიქონი გადასულია ეტრატის გადანაკეცზე.

თუ ვინმე საკიჩარი¹⁾ რამე დაჩინოს, ოცი ათასი დაგიურფოს; თუ ვინმე ცეცხლი სასახლესა შემოგაყაროს, რაცა სული ჯაღაბი სახლსა შინა იუოს, მისი სისხლი სამართლითა გაიბრჭოს; და, თუ ვინმე სასახლესა გარეთა ცეცხლი შეუღვას და დაწუას, ანუ საბძელი, ანუ ძნა, ანუ თივა, ანუ წისქვილი, ანუ ვენაკისა სახლი ანუ ღობენი, ოც-და-ათი ათასი კილმანური დაგიურფოს; თუ ვინმე ჯოხი და ანუ სხუა კმეჯად საცემელი რა გკრას, ათი ათასი კილმანური დაგიურფოს; თუ ვინმე ცოფსა უცეს, ოც-და-ათი ათასი დაგიურფოს; თუ ვინმე ციხე გაგიტეხოს, ორმოცი ათასი კილმანური დაგიურფოს; თუ ვინმე შტერთა ზედა სასიკუდილოდ გაგცეს, ორმოც-და-ათი ათასი დაგიურფოს; თუ ვინ ანუ ჯოგი, ანუ საქნელი გაგიცეს შტერთა ზედა, თხუთმეტი ათასი დაგიურფოს, და თუ სხუა, ანუ უხატობა, ანუ მუქარისა თხონა და ანუ სხუა რამე საქმე, ანუ შეუიფილი, ანუ სხუა, რა გინდა ვინ დაგიშაოს, მისნი ბრჭენი და გამჩენელნი იქუნენ ანუ ებისკოპოსნი, ანუ დარბაზისა კარისა ვაზირნი და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქისა ვაჭარნი და უფელთა ქუეყანათა მავანნი და მნახუელნი კაცნი, ანუ ღთის მძიშნი და სულისა კერძნი კაცნი, და ანუ ქუეყანისა მამასახლისნი და ძუელნი კაცნი, თქუენი საქმე ესე ვითართა კაცთაგან გაიბრჭობდეს ჩუენგან წყალობით ბოძებულსა ამა სასახელისა და სისხლისა განაჩენსა სიგელსა ზედა, და ნუმცა ვინ არის მშლელი და მქცეველი ჩუენგან ბოძებულისა ამის სასისხლოსა სიგელისა, და არა შეგეცვალეს ჩუენგან ბოძებული ესე სასისხლო სიგელი არას უამთა გამოსულობისათჳს, არა თქუენ უურულის შვილსა მდედლსა გიორგის და თქუენსა ძმასა აგვაროწს და რატის, და თქუენსა შვილსა და ძმის წულსა შიოს, თქუენთა შვილთა და მომავალთა უფელთა გუარისთა თქუენისათა, გქოსდეს ჩუენგან ბოძებული ესე ძუელი და აწ ჩუენგან მოკითხული და გაანლებული და წყალობით ბოძებული შტეცი და უცვალებელი სასისხლო სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი, და ვერავინ იკადროს შლად და ქცევად ჩუენგან ბოძებულისა სასისხლოსა

1) სახიჩარი—გაუწყობელობაა, რამ საწყენი (საბ. ლექსიკონი). ეს ახნა მართალი არ არის, აქ სახიჩარი დაკოლილობის დანარჩენს კვალს ჰქვია.

ამის განაჩენისა, ბრძანებისა და სიგლისა; გქონდეს ბრძანება და სსსსსლგ განაჩენი სიგელი თქუენ ყურულის შვილსა მდღელსა გიორგის და თქუენსა ძმასა აგგაროზს და რატის, შვილთა მომავალთა უკლთა სსსსლგსა და გუარისა თქუენისათა, და ვერავინ კელ უოს შეცვალებად ჩუენგან ბოძებულისა ამის განაჩენისა სსსსსლგსა სიგლისა. და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულნი ქართლისა კათალიკოზს და ებისკოპოსს, ქართლისა ერისთავნი და ერისთავთა ერისთავნი და უკელნი თავადნი ქართლისანი და ქალაქისა ამირანი და ამირათა ამირანი, დიონნი(?) და მეტამდენნი და უკელნი კელისუგაენნი ქალაქისანი, და მთიულეთისა თავადნი და კევის-ბერნი და მამასსსსლგისანი, და კარისა ჩუენისა ვაზირნი, და უკელნი ჩუენგან ჰატივი ტემულნი და კელისა მქონებულნი, ნუ ვინ უშლით ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სსსსსლგსა განაჩენსა სიგელსა თნიერ შუწეგნისა და თანა დგომისა. დაიწერა ბრძანება ესე ჩუენი და სიგელი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეთამეტეს⁶ 1), ქუნსა რმ² 2), კელითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა და ჯუარისა მტჯრთველისა ჯორაშვილისა გაბრიელისითა, ივნისსა ათორმეტსა.

დიდ მეფეს გიორგის ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია (ხელჩართულად).

ქ. ჩუენ ქს დთისა მიერ ქართლისა ჯუბი მარკოზ კანონითა გამტკიცებთ.

ქ: შემდგომად ამისა ჩუენ ღთივი გჯრჯრქოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატი ნებითა ღთისათა დავიზყარით მეფობა ორისავე ტახტისა, ღიხთ იმერისა და ღიხთ ამერისა, და ვნახეთ სიგელი ესე სსსსსლგ შეწყალებისა ბიძისა ჩუენისა გჯრჯრქოსანმან წყალობით ბოძებული, და ჩუენცა შეგიწყეთ და დავიმტკიცეთ თქუენ წინამძღვარსა ყურულისა გჯრჯრქოსან და თქუენთა შვილთა და ძმთა, რა გუარაცა ამა სსსსსლგსა სიგელსა და განაჩენსა ჭმარებეს და ეფერებეს, ამა წესითა თქუენი

1) ვინაიდან «ხ» ამ სიტყვაში «თ» ზევით სწერია, ამისათვის სიტყვა, მეთამეტეთ-თაც წაიკითხება და მეთათმეტეთ-თაც. მაგრამ ქორნიკონი უჩუენებს, რომ მეთამეტეთ უნდა.

2) «რმპ», ეს «პ» ვილასაც «ნ» ვადუსწორებია შემდეგ.

საქმე და სისხლი გწნებოდეს ნიშანი ესე გზობძებია და დაგვმტკიცებია ას სამოცი ათასი კირმანაური თეთრი, და ვინცა კირმანაულის თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის. დაიწერა ბზა და ნიშანი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა «ზ», ქენსა «რჟ», კელითა უოლადვე ცოდვილისა ქართლისა მაჯზისა იესითა. (ხელჩართულად ხელს აწერს მეფე ბაგრატ).

ქ: ჩნ ესე ვითა ღთაივ გვრგვინოსანსა მეფეთა მეფესა ბაგრატს ბიძისა მათისა ნაბობები სასისხლო სიგელი დაუმტკიცებია ჟურულისთვს, მე გლახაკი ქს ჯზი დწთი კანონითა ვამტკიცებთ, დამამტკიცებულნი ღთმნ აკურახხეს და წმიდამან დედა ქალაქმან მცხეთისამან.

ქ: ჩუენ სამააგნელ მთავარ ებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა ქათალიკოზთა დაუმტკიცებიათ, ეგრეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკიცებთ.

- 3.** გუჯარი, 372×20 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ მარგალიტის და მსხვილის მხედრულის ხელით, თითოეულ სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. ნამდვილი დ. გ. კარიკაშვილმა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს“. და მანვე გადმოსწერა ეს გუჯარი. ქორონიკონი ამ გუჯარისა უდრის 1579 წ., ხოლო ინდიქტიონი მიღებულია ქორონოლოგიით—1589 წ.

1579. სიქადულო და სკიპტრაო მეფობისა ჩუენისაო, ასულო დავითისა და ქალწულად ეგმანოელისა, რომელი ეგე სამწლისა მიუვანებულ იქმენ ტაძრად, ტაძრო სულისა წმიდისაო, მახარებულო, ევას ნაშობთა გარეულოთაო, ბნელისაგან ნათლად მომევანებულო, ნათლად მოცემისა და ჩუენად ზღუდედ გამოჩრეულო, წარმმართველო მეფობისა ჩუენისა, დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა-პოროფირისა ჩუენისა და გვრგვინო და ხახულისა ღთის-მშობელისა(ა)თა, და შუამდგომელობითა თქუენითა, მსასოებელმან ძისა თქუენისამან და და მონდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან, მეფეთ მეფისა სულკურთხეულისა ჰატრონის ლეონის ძემან, მეფეთ მეფემან ჰატრონმან ალექსანდრე, და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალათა დედოფალ-

მან ზატრონმან თინათინ, და ძეთა ჩუენთა ზატრონმან ერაკლე, ზატრონმან დავით, ზატრონმან გიორგი, ზატრონმან კოსტანტინე და ზატრონმან¹⁾ როსტომ, ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრედ ჯერ ვიჩინეთ და ვიძიეთ სამსახურებულად სუეტისა ჭთივ აღმართებულისა, კუართისა საუფლოსა, და მირონისა ღმერთმყოფელისა, და მუნ მყოფისა ელიას ხალენისა მას ჟამსა, ოდეს ჩუენს საბატრონში მცხეთის მამულებისა შესავლისა და სოფლების მზღუარნი და სარგონნი მეუშეობით მესამზღურეთა მამულნი და აგარაკნი მიეტაცნეს მეუშეობითა და ჭთის უშიშობითა, — მობძანდა წინაშე ჩუენსა ჩუენის სულის მეოხნი და შესაგედრებელი, ჩუენი ძმა ზატრონი კათალიკოზი ნიკოლოზ, და სრულად ერთობილნი მცხეთის შვილნი, მცხეთის ძუელნი გუჯარნი და სიკელნი მოიხუნეს, გავსინჯეთ და ვქენით მოკითხულნი, რომელიც ზირველთ ძუელთ კელმწიფეთ, ჩუენთ მამათა და ზაზათა, დედათა და ბებიათა ჩუენთა სულგურთხეულთ, გეერიგებინეს, გეესაზღურნეს და შეეწირნეს, ეგრეთვე ჯერ ვიჩინეთ, შევსწირეთ და მოვასუნეთ უდაბნონი, მონასტერნი, ეკლესიანი, სოფელნი და აგარაკნი, აზნაურნი და გლეხნი. მოგახსენეთ (ხლ)რახუგს საწინამძღრო მონასტერი ყუაგისთავი, კილმატი და ასკილოვანი, კილმატის ციხე მთითა და ბართა, ვერესა ციხითა, ციხითა გარდაღმა საფისტეს²⁾ ციხემდი, გარდმოღმა ფადლაშენი, ტაზრები, კახთა, საბა-წმიდა, კაწარეთს ძმარაშვილის სახლს აქათა რომ ღრმა ღელე ჩამოვა ჩამოსწორ ჩამოვლით, იორს გაღმა რაჟიანთ ეკლესიას ქუემთ, სამგორში თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით, ჩავლით ბოსტანქალაქის მზღურამდი, ჩავლით საჯერნეს ტბამდი, მიდგმით გრძელს ტბამდი, ჩავლით ამართულს ქუამდი, ჩავლით შურთხანთ კლდემდი, ჩავლით ლურჯს ფლატომდი, ჩავლით მამადის გორამდი, მიდგმით საქალაქის შარამდი, ამოვლით დამზალის კერძო იორთაკენ, მარტვილთ მონასტერთ წამოვლით, წინ გამოვლით იორის ზირს საყდრის ჩამოსწორ სამნი გორანი სხენას, დედოფლის წისქვილთა თავს,

1) ეტყობა წინად ყოფილა ბატონმან, შემდეგ გასწორებულია: ბატონმან.

2) ეს სიტყვა შემდეგ ასე გაუსწორებია: საფსტეს.

იქნება გამოდგა, ხშირს მუხებთან, ისწიანთ ბოლოს რომ დიდი ღიაა. ამოსწვრივ მცხეთის გორაკი თარაქთ ბოლოს, ამოვლით ბრმა-წყარო, ამოვლით შავქეთთ ღელე, ამოვლით დავალითსასა იქით რომ ცოტა ღელეა, რამელსა ეწოდების მარამ-ჯვარი, შიგნით გარდავლით შიგნით კერძო და სტაფის თავს ძველი ეკლესია, ჩავლით ველტუიანი, ჩავლით შავ-წყაროს ღელე, ჩავლით წინანდლის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან ხოდაშეხსა და წინანდალს შუა ოლე ჩავლის, დაბლა ბაღთკარნი, ამოვლით განთა მონასტერი, ბუშატი მთითა და ბართა და მონასტრითა, შაშინთ თავს მთავარ-ანგელოზთ საუდარი, მარმაროვა სამზღურამდის მოდამხსის ციხემდი, წავლით გოგას წყარომდი და დევთ ნასხლარამდი, და წავლით ომინის სასაკლამდი, მიდგმით გომთ წელამდი, სადაც გომის-წელი ჭერემის კევეს შეერთვის, იქიმდი ნაზირნი, რაჯახს წმიდის გიორგის საუდარნი და შესავლნი, ვარცა და დუმას-უბანი და შენთან-უბანი, ახალშენი სოფელი და თოღანანი მათითა მზღურითა, კახის-უბანი თავისის მთითა და წელითა, შალვაშვილნი თავისის მამულითა, ჯვარანასოფლარა, ახშანს ხუთი კუამდი გლეხი და ერთი ზვარი, ალაზანს გაღმა ფიჩხოვანს თორმეტი მთელი მამული საგლეხო ორი კომლი გლეხი ზანკისა, და თორმეტი კომლნი ვაჭარნი სომეხი და ურია, გრემს ორნი გლეხნი, გვერდის ძირს ვეპისკევეს მონასტერი ვარცანისა და სოფელი ვეპისკევი, გიორგი-წმიდა, გოგასი, ღელის-უბანი, ქორეთი, სეფორის ღელე და ბაწინტელის ღელე, ორნივე მთითა და ბართა, ჩელტს გამოდგა გრემისა კერძად დაბლა თეთრს კლდემდი, სოფელი ფაშანანი, გაგას საკუამლო შვიდი და ზვარი ერთი. ბარანთ, რაც მცხეთის სოფელნი მონასტერნი, საკონე, საფიჩხულე, სათეფზითა, ლაგოდებსი, დანუკა, რაც მცხეთისა არის, ვარდიანში შვიდი მთელი საკუამლო, ჭარანს ხუთი მთელი საკუამლო, ელისნელში ღერწანი და სოფელი კულენანი, ბაზარს სასახლე, საუდარი და თვრამეტი კომლი ურია და სომეხი, ერწოს მონასტერი ბოჭორმისა, წმიდის გიორგისა, მისის შესავლითა, ერწოს მონასტერი კიდევუ წმიდის არჩილის სამარხო, სოფელი კვერსაძენი, ტოხაძე, თავისის მამულითა, ერწოს თხილნარას ორს გლეხს

სადაც რომ მამული¹⁾ დღეს კელთა აქს მთითა და ბარითა, საკნავითა და უკნავითა, შესავლითა და გასავლითა, ჩრდილოთ აძუძამდე, დასავლით თუქმის-კეკამდე ეცილებოდა ომან და ტოხაძეს დარჩა²⁾ რამინოს, სოფელი ნოდკოტრა³⁾ და ასადურნი, სოფელნი ჩეკურნნი მთითა და ბარითა, აღმოსავლით ნეფის-წყარომდე და ზემოთ გოგის ფლატემდე, დასავლით ძლევის-ჯვარს აქეთ გასწორივ დამზალი წყალი, მიდგომით გრძელი დედე, ტოხაძეს და ნოდკოტრეთ მთის მზღუარში სამანი უსხენ; უდედტეხილთა გორასთანა, ძაგნაკოვნას, რაც მცხეთისა არის, თორმეტი მთელი მამული, ანუშის მონასტერი ეოკლად წმიდისა და სოფელი ანუში და ოდიშელიძენი ზარბე, მამის-იმედი და მისა განუოფი, სოფელი წარდალი, ხატის-წობენა, ნოჯა და ნოჯიკეთი, ჰიტლთანა, ეგუეტი, აბანო, გორანა, თორეკნი, სოფელი ილია, ხარჭაშის, თიანეთს თავს, სოფელი ჯიჯეთი, და ეკლესია სვეტის ცხროვლისა და გლეხნი ბამანძურძენი, და ხანდაკე კირაუღნი მათითა მამულითა, სოფელი ბაგა, და ცოცხადის მამული, სულა ერთბირად მისი სოფელი ჭოშარტი, სოფელი ბიწმენა და გიჯიურენი ორნი სახლნი, ახატანს ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული, მეორე ბიწმენა, სოფელი ბოკოწინი, სოფელი ანჯაკალი და მიწობენი ნაწინოს და გიორგი მისი განუოფი და ჰატა მისი განუოფი მათითა მამულითა, სოფელი იშტისა, სოფელი ზაქარაიანი, სოფელი აზვი, საგურამოს ზედანელაშვილნი თავისის მამულითა, გორას-უბანს წყალს-სთველას შვილი თავისას მამულითა, მონასტერი ჯვარისა თავისის მამულითა, სოფელი ფოსვი, სოფელი ჯაჭვი, და გარაყანიძე ზავრად თავისის მამულითა, ნასოფლარი აგჭალა, სოფელი ორმოცა თავისის მზღუარითა, მოლამურთ თავს რომ ჯვარი ასვენია, იქით მოლამურთ ჩატანებასა მუხრალთა პირპირ გოგიას კეკამდი, უნაგირას ქვას ქუეით გარდაკუეთილამდი, იქით წამოდმა ჩრდილოთა წუერწუერ წამოვლით.

¹⁾ უკანასკნელი სამის სიტყვის ზევით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, შემდეგში ჩაწერილია: „ომან ეცილებოდა და დარჩა რამინსა“.

²⁾ უკანასკნელის ოთხის სიტყვის ზევით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, შემდეგში ჩაწერილია: „ეცილებოდა ცოტას ალაგსა ზაქარიასა“.

³⁾ „დ“ ამ სიტყვაში მემრეა ჩამატებული.

სადა უფროს მადალი ქედი არის, იქით კურინისხობაკენ რომე თელანა დგანან, იმას ჩავლით სადა გრდნული შარა გარდაუქცევს, შარა შარა წავლით, სადა დიდნი სხაღნი დგანან, იქიმდინ ნიშარძეულის ნასახ-ლარამდე დედე, შემოტანებასა სამნიასშვილის მიწის თავს რომ იფ-ნი დგანან სამნის კომღნის ნასახლარნი ოროტისათვის დარჩნეს, ესე იქით ახალ-უბანს ჩატანებით ქაცუთა თავს ქუანი სხენან, იქით ქაცუთ ჩატანებით კევაშვი, სადა სნაკირო შარა გავალს, ამას ამოვლით ნა-სახლარამდე, ფხაკას იქით ქედის ბოლომდე, ამით შუა რაც არის, უუალა ოროტისა არის, გლდანს დაჭიადე გიორგი და გუღბათ თა-ვისის მამულითა, ნასოფლარი კუტალა, ლილღოს გუერდის სოფელი ახალდგაბა. სოფელი ჯიშითა მისითა მითთა და ბარიას, დასავლით საყარაულას კოშკთაკენ თუთუბოს დედე, ნასოფლარი ნაკუერცხლას, ჩავლით დრმა დედე, მიდგმით საგუელე ქუა, გადმით დავით აღმა-შენებელის აღშენებული ჭიბბერთ ეკლესია, ფხოელთაკენ წამოვლით ლაკუათ ზირს ჩავლით წურილი დედე, მიდგმით დიდი გორა, გარ-დავლით ჩუმლაუთაკენ კულენანნი, ჩავლით ძამურა, ჩავლით წურილი კევი, ჩავლით გაწუეტილა წნორის მიდგამამდე, ზემოთ ნაზირთ სამდურამდე რაჯაკი და მისი მიდგმა და ნასოფლარი, გადმა შავ-წყალის ზირს სოფელი წითელანი. ამით მამულთა, მითათა და ბარ-თა, მინდორთა, თუ ტუეთა, რაც რომე საძაფრათ ზირუტუეი დადგე-ბოდეს, ზამთარ თუ ზაფხულ, ამით საძაფრის საზგოს თქუენ აიღებ-დეთ, ცხვარი იყოს თუ ძროხა, თუ ღორი, უდაბნოებს მის წილს ნურას დააკლებთ, და თქუენი თქუენვე მოიკსენეთ. ჩუენის ბძანებით წარვლე-ლინნი¹⁾ და ამა სამანთა და სირონთ დამსხმელნი და მოწამენი: ბა-ტონი ალაგერდელი კირიდე, ჭერემელ ეფისკოპოზი ბასილ, ჩოლა-უაშვილი რევაზ, ციციშვილი შერაბ, დიდი საგინა, მყაშვილი ზაალ, ზუბელი რუსიშვილი ინდო, ჩოლაუაშვილი თამაზ, ვახნაძე გიორგი, ბულაუაშვილი და სეფედავლე ობლისძე, ვერცა ალაგერდელმან და ვერც სხვათ ჩუენის საბატონოს ეფისკოპოზთ თქუენი ურჩობა და წინააღმდეგობობა ვერა ქინან რა, და თუ რამ დააშაონ და რჯულიერის საქმით გაუწერეთ, არ დაგიშალოთ, და ვერცა რა თქუენის საუდრის ნიშანი და სამართალი და ბაჟი დაგაკლონ. ესე ასე გატვითავებია და

¹⁾ წინად ყოფილა „წარვლელინი“, შემდეგ გადაუსწორებიათ.

მოგვსენებია თარხნად და კელშეუალად და ყოველის ნივთისაგან რომ არათუ არა ეთხრობოდეს-რა, და არცა-რა ეწერებოდეს, არა მალი, არა სათათრო დიდი საური, არა სამასპინძლო, არა საჯინობო, არა საზოროსლლო, არა შეშისა და წყლის ზიდვა, არა მუახლე, არა ძი-და, არა ქორწილის ხარჯი და არც მიცვალებულისა, არათუერი, რაც მოიგონების და ან რაც მწერლისაგან დაიწერების, არც ბაზიერთა და არც მეურმეთა, თვინიერ ღაშქარ ნადირობისა და მტრის დარაჯობა, და თუ მცხეთისა და უდაბნოსაგან მოცლით იუენენ, ციხე გვიმუშაონ და სსახლეც უმიზეზოდ იმუ... .

არც თქუენი უნდომო მოკვლე და ჩვენგან გაგებუელი. ესე ასე დაგიმტკიცეთ და მოგახსენეთ ძმას ჩუენსა ჰატრონს კათალიკოზს, წმიდის ბასილის და იოვანე ოქროპირისა და გრიგოლის მიმსგავსებულსა და მათის წესის მიმბაძვსა კათალიკოზს ნიკოლოზს, ასე მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა, და სუეტსა ცხოველსა, და გუართსა საუფლოსა, და მირონსა წმიდასა. აწე ვინცა და რამნცა ამის დაშლად და ქტევად კელეოს და გამოკუებად და დაქინებად, ჯერემც რისხავს დამბადებელი ღმერთი, მამა, [ქე და] სული წმიდა და მისი უბიწოდ მშობელი წმიდა ქალწული მარია და წმიდანნი ზეტისა ძანნი¹⁾ ანგელოზნი და მთავარ-ანგელოზნი, წმიდა ცხოველს მუოთელი ძელი ჯვარისა, ქრისტიანეთა შესავადრებელი, წმიდანნი წინასწარმეტუეულებნი, მოციქულებნი, მოწამენი და ნეტარნი მამანი, წმიდანნი ქალწულებნი, მეუდაბნოენი, მესუეტენი, რომელთა დაჯერეს ღმერთი ღუაწლითა მათითა. მშლეელი და მატკეველი ამისი კრულმცა არის ცათა შინა და ქუეუანსა ზედა, ნურათამც სინანულით ნუ იქნების კსნა სინანულისა მისისა, მასედამცა დაესრულების დადადება მესადარკისა ფსალმუნისა, იუავნ ცოლი მისი ქურივ და შვილნი მისნი ობოლ, მასედამცა მოიწევის კმა იგი: „წარკვლით დაწეულებო ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისათვას“. მასედამცა მოიწევის მეხი მსგავსად დიოსკორესა, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა, და შიშთვილი

¹⁾ დაწყებული სიტყვებითგან სული წმიდა აქამდე აღდგენილია სხვა ხელით.

უფლის მიმტკეპელისა იუდასი, და წეევა ნისტორ და ოროგინესი. დამამტკეცებელნი ამისნი ღმერთმან აკუროხნეს და წმიდამან უბიწოდ მშობელმან მარიამ და სუეტმან ცხვეელმან, სამოციქულომან საუდარმან და მას შინა მკუიდრმან კუართმან უფლისსმან, და წმიდამან მირონმან. დაიწკრა ინდიკტიონსა მეფობასა ჩუენისსა თხუთმეტსა, ქვსა „სნიზ“, კეკლითა წინამძღურის ვახნაძის იოსებისათა და მოწამეტა ვართ¹⁾.

აღუქსანდრე ვამტკეცებ ნებითა ღმერთისათა²⁾.

ამას შემდეგ ხელმოწერილია კათალიკოზისგან, მაგრამ ეს არ გაიხრევა. შემდეგ აზის ოთხი ბეჭედი. ერთზე იკითხება: ალექსანდრე.

4. სიგელი დაწერილია ქალაღზედ მხედრულის ხელით. ნამღვილი ღროებით ჰქონდა თ. ი. გ. ჰავჰავაძეს, რომლიღგანაც ჩვენ გაღმოვსწერეთ 1892 წ.

1768, დეკემბრის 13. ქ: წუაღობითა ჭთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოღომანიან ჰანკრატოვანმან, ორთავე სრუღიად საქართვეღოს³⁾ და უასახ-ბორჩაღოს მჰურობელ მქონებელმან, ჰატრონმან მეფემან, მეორემან ჰირაკღიმ, და თანა მეცხედრემან ჩვენმან, დაღიანის ასუღმან, დედოფაღმან ჰატრონმან დარეჯან, და სუეგარეღმან და სუსურეღმან ძემან ჩვენმან, ორთავე საქართვეღოთა⁴⁾ უფლის წუღმან, ჰატრონმან გიორგიმ, ლეეან, იუღონ, ვახტანგ, თეიმურაზ, მირიან, და ძის ძემან გიორგისმან დავით და იონემ⁵⁾, ესე უამთა და ხანთა გასთავებეღი მტკეცე და მოუშლეღი საჯიღღაო წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩვენთა ერთგუღთა და თავ-დაღებით ნამსახურსა ვახნაძეს ბებურის-შეიღს ჰაჰას, და ძმასა შენსა ასღანს, დიმიტრის, ძმის წუღთა შენთა ქაიხოსროს, შვიღსა შენსა გრიგოღს, სვიმონს, აღამს

1) უკანასკნელი სამი სიტყვა უფრო წერილის ხელით არის დაწერილი.

2) ეს სიტყვები დაწერილია ხელჩართულით.

3) დედანში სწერია: საქთვეღოს.

4) დედანში სწერია: საქარვეღოთა.

5) დედანში „იონემ“ სწერია.

და შვილთა და მომავალსა სახლისა თქვენისასა, ასე და ამა პირსა ზედან: რა შენს ოჯახში გამოიზარდე, მუდამ ამისი მტდელი იყავ, ჩვენს წინ სსიკვდილოდ მრავალს ომებში თავი არ დაგიზოკავთ ორ-თავ¹⁾ ძმთ, ციხის უკუდომში, თუ მრავლის ეიზილობით, თუ და-ღისტის ჯარების ომებში, მრავალჯერ მტრის თავები მოკვართვით, აკრიზედ რომ დაუმარცხდით და გამობრუნდით(sic), ერთს უფონოს ადგილს ალანის წყალში შემოვცვივდით, შენ ზაზა ახლო შეგვრჩი, შიგ წყალშიგ შვიდი რვა კაცი ჩვენს ცხენს და ჩვენ მოგვეჭიდა, წყალმა რომ ცხენი და ჩვენ და ჩვენ ჩავწვივა, იმ დროს მოგვეშვე-ლე, ის კაცნიც ხმლით მოგვაშორვე, და ღმერთს კარდა იმ დღეს შენ გვიხსენ სიკვდილისაგან, და იმავე ძნელის გაჭირებიდამ ღმერთა და შენის მოხმარებით და შემწეობით მოუჩინო. ამრიგად დიდი ნამ-სახური და გარჯილი ხარ ჩვენზედ. მასუკან ხუნძახის მეზატონე მუ-ცალი დაღისტის ჯარით, აჯიხლახის შვილი და ჭარულნი, და ის ძირობის კაცნი უურკელის ციხეს შემოადგენ, ციხეს რომ საქმე გა-უჭირეს და აღებაზედ მიწურეს, იმ დროს შენ და სოლომონ მდივნის შვილი კახეთიდან, ქართლიდან სამი ოთხი საზატოის კაცის შვილები და აზნაურიშვილი, ეიზიუიდან ას სამი კაცი, და კახეთიდან და ქარ-თლიდან ოთხმოც-და-ჩვიდმეტი გლეხი კაცით, ამ ორასის კაცით და მრავლის ტყვია-წამლით მიგაშველეთ. ჯერ ღვთის სიუვარულისათვის და მერე ჩვენისა და ჩვენის ქვეყნის ერთგულობისთვის და სარწმუ-ნობისათვის თქვენი თავი სსიკვდილოთ გადადევით და იმ დღეს არ დაზოკეთ არც შენ და არცა ამ სხვათა თავადთა და გლეხთა, წახვე-დით ღმერთ და ჩვენის ბძახებით. დიდათ შემოსაფრული იყო ის ცი-ხე, ხმალდახმალ შეხვედით, ღმთის მოწყალებამ და თქვენმან შესვლამ შეამაგრა, შესვლაში და შიგნით ციხიდან მრავალი კაცი მოკალით, და ღომსავით გაისარჯენით, თითონ შენ შიგ დაიჭერ, მას უკან გა-რეთ ხმალდახმალ გამოუხედით, და ბევრი კაცი მოუკალით. ოცდა-მესამეს დღეს გაქცეულნი, გაწიბილებულნი, პირმავნი, უკეთურნი წა-ვიდნენ. ახლა ამ უვარელში ციხის შესვლის და ასე გარჯისათვის გი-ბოძეთ თქვენივე ნაუმივი კარდანეხს მარტას-შვილი ჯერანა, ამისი

1) დედანში სწერია: ორავ.

შვილი გიორგი თავისი მამულით, რისაც მქონებულნი არიან; კიდევ ჩვენი უმანი სარგანიელი სამოურაოდ, რაკვარადაც რიგი არის, იმ წეს-რიგით მარტას შვილი მკვიდრ უმათ და საჯილდაოდ, სარგანი სამოურაოდ გვიბოძებია, ყოვლის კაცის უცილებლად¹⁾. მეორე შენის ნამსახურობის დიდი ვალი კიდევ ჩვენზედ არის, ღთვით იმისი წყალობა და მაგარი ჩვენგან დაგემართება. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეჭილ-ვეზირნო და ყოველნო ჩვენო მოხელენო, მოსაქმენო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით ამ ჩვენს საჯილდაოდ ნაბოძებს სიგელსა. რაც²⁾ ამას შიგან ეწეროს, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა შეუეთა და შეპატრონეთაგან და არცა უფლისწულთაგან. ქონდესთ და გიბედნიაროსთ ღთნ ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში. დაიწერა ბძახუბა და ნიშანი ესე დეკემბერს „იგ“, ხელათა ხუბულიძის მდივნის ოთარისათა.

ქვს „უნგ“ — 1768.

აზის ბუჭედი ირაკლისი, დარეჯანისი, მეფის ძის გიორგისა და დეონისა, სახლთ-უხუცესის გრიგოლისა და მდივნის ოთარისი.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

ქ. რაკვარადაც სიგელითა ამით მარტას შვილი ჯერანა და თავისი შვილებით გვიბოძებია, ეგრეთვე ამისი ძმის წული დათო გვიბოძებია ხელ-ერთ-პირ ცოლშვილით და მამულით.

დეკემბერს „იე“, ქვს „უნგ“ — 1769.

ირაკლი

მერმე სწერია:

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ბოძებულს სიგელს ჩვენცა ვამტკიცებ(სი), თებერვალს „იგ“, ქვს „უნგ“³⁾ — 1770.

ხელჩართულად ხელს აწერს კათალიკოზი.

შემდეგ ამაზე სხვა ხელით სწერია:

1) დედანში სწერია: უცლებლად.

2) ეს სიტყვა დედანში არ არის.

3) ორი უკანასკნელი ასო არ მოხანს დედანში.

ქ. ჩვენ ორთავე საქართველოს მეფემ ირაკლიმ კიდემ გიბოძეთ საჯილდაოთ კარდანუხს სამი კომლი კაცი ვაჟბედაშვილი ზატარკაცი ჭუნია, ამთი ბიძაშვილი ტუტია, ურუმაშვილი გოგია და ივანე, მესამე მარტაშვილი დემეტრე და სიხო თავისის მამუღითა, სსხლაფითა, სსხნაფითა, შესაფლითა, გასაფლითა, მთითა, ბარითა, გვიბოძებია, ღთნ ჩვენს ერდგულობასა და სამსახურსა შინა მოგახმარას.

ადიწერა მარტს „დ“ „ქქს“ უჟ—1772.

ახის ბეჭედი ირაკლისი.

5. სიგელი, 202X24 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღდზე ლამაზის მრგვალის მხედრულის ხელით. სიძველის გამო ზოგიერთი ადგილები აღარ განირჩევიან. თავში აკლია, ზოგ ადგილას ქალაღდის დაწებების გამო სიტყვები და ასოები აღარ მოჩანან, ამას გარდა განცალკევებული ნაწილები სიგელისა თავ-თავის ადგილას არ არის მიწებებული. ამიტომაც ჩვენ ტექსტი შინაარსის მიხედვით დავაწყეთ. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ ჩვენ სიგელში მოხსენებული ბაგრატი მეფე არის ბაგრატი III იმერეთისა (1510—1548). ქორონიკონი სიგელისა უჩვენებს 1545 წელს, ხოლო ინდიკტიონი 1514 წ. ინდიკტიონი უნდა ყოფილიყო ოცდამეთოთხმეტე, ვინაიღღან ვიცით, რომ ბაგრატი III დაჯდა მეფედ 1510 წელს და ეს წელი მართლდება ოყურუმის ეკლესიაში დაცულის ზომლის ხატის წარწერით, რომლიღღანაც სჩანს, რომ ბაგრატი III და მის მეუღლეს ელენეს ხელმეორეთ მოუჰედიათ ეს ხატი ქკს „სკღ“, ინდიკტიონს „კკ“. აქ ინდიკტიონი და ქორონიკონი ერთგვარათ უჩვენებენ 1536 წ. (Brosset. Voyage arch. Rapp. ix p. 26). მაშასადამე ჩვენს სიგელში მეოთხე ინდიკტიონი შეეღღომით არის ნაჩვენები. ეს და ამის ქვემოთ მოყვანილი 23 სიგელი გაღღმოგვცა ჩვენ გ. ე. წერეთელმა, რომელსაც მიეღღო ისინი ქუთაისიღღან ერთ წიღღნათ შეკრული, ხოლო გაღღაწერა მათი იკისრა ა. ვ. ქუთათელაღღემ.

1545, ივნისის 12. ...ბელსა და შვიღღწიღღ უღღღვეღღსა, მოწამეთა შორის მხნესა წმიღღასა გიორგის და საუღღარსა შენსსა სამარხოსა და სიღღაღღსა ჩვენსა, ჰი, უოფღღად წმიღღათ დეღღოფღათ, ხსხუღღა-

სა საკურთხევლისა და გაენათისა ღმრის მშობელო, და მოწამეთა მთავარო, წმიდაო გიორგი, შეიწირე მტირე და უნდო ესე ძღვენი და შესწირავი ჩვენი, ვითარცა შეიწირა ქრისტემან მწველილნი იგი ქრისტიანნი, და მეოხ და მფარველ გვექმენ წინაშე ძისა შენისა და ღმრისა ჩვენისა, რათა გვიხსნას ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, და გვიკისნას ჩვენ ცოდვილნი და უღირსნი ესე მონანი თქვენნი, მეფეთ მეფე ბაგრატ და თანა მეცხედრე ჩვენი, დედოფალთა დედოფალი ელენე, და ძენი ჩვენნი, და აწ ვიგულებთ და ვიგულისმოდგინეთ და კეჯუვავთ საუდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. ჰირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლავებოდა(sic) და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა საშარხოდ და სა[ძ]ვალედ შევექმენით, აღვაშენეთ და შევაძკევით ხატითა, წიგნითა, კანდლითა, კელაპტრითა, სანთლითა, საკმეველითა და მამულითა. მივიღეთ ჰატრივი მასზედა და დავადგინეთ სასოდ და შესავადრებულად სულისა ჩვენისა მოძღვარი, და დავდევით ენქერი, და გა[ვან]ინეთ მწირველად ჩვენთვის, და დავსდევით წირვა წელიწადთა შინა თორმეტთა საუფლოთა დღეთა, და იწეოს მეზვერისა და ფარისეველისა შაბათ-გვირაკითგან ვიდრე აღდგომამდის, წირონ დიდნი მარხვანი სრულად და უცვალებლად, და ქრისტეს შობისა მ[ა]რხვათა სწიროს ოცი დღე უკლებლად, და სულის მარხვათა [ში]ნა წიროს თორმეტი დღე უკლებლად, და მარიამობისა მარხვათა შიგან წიროს ათი დღე უკლებლად, და ამა ჩვენგან გან[ნახენ]-განწესებულსა წირვასა ენქეროსანი ჩვენი მოძღვარი ნურაოდეს მოგვაკლებს ჩვენ მეფეთა მეფესა ბაგრატს და თანა მეცხედრესა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა ელენეს, და განვანწესეთ საუკუნონი აღაპნი წელიწადსა შინა ოთხნი, და გარდ[იხ]-დებოდეს ერთი აღაპი ყველიერისა ხუჩაბათს(sic) და სწირევიდეს თ[ვითონ] და ჰატრონი გაენათელი და თვითონ ჩვენი მოძღვარი და ს[რ]ულად გაენათის კელის მქონებელნი ძმანი, და მიერთმეოდეს ამა[თ] საწირავად მოძღვრის კელითა ჩვენგან შეწირულის სოფლების მოსავლისაგან: ჰატრონს გაენათელსა თეთრი ოცდაათი. ჰატრონის გაენათლის საწირავი ასი თეთრი არის, მაგრამ მოძღვრისა] და ძმთ გულისთვის დაგუჟერდა. თვითან მოძღვარსა თეთრი ექვსი, სეფეთ ჯვარის მტვირთელსა, კანდელასსა, აღმაშენებლის მ[წირველ]სა, მეფის ბაგრა-

ტის მწირველსა, ვახტანგის მეგობრესა—ამა [ხ]უთთა სმსამი თეთრი მიეცემოდეს. მეფის ვახტანგის მწირველსა და მეფის ალექსანდრეს მწირველსა, ხატრანის გიორგის მწირველსა, გაე[ნათი]ს ჯვარის მტვირთველსა და ამფორის მოლარესა, კელარსა და ერისთვის მწირველსა—ამათ ორთლი თეთრი მიეცემოდეს სწირავად. ამავე აღაშვიგა წაიგებოდეს ორმცის თეთრისა ოვეზი და უველი და კვერცხი, წმიდა ჰური კოდი სამი, ღომი კოდი სამი, ღვინო კოკა ოცი ათიანი, სანთელი, საკმეველი, რაც მოუნდებოდეს, გაჩენილისაგან იხმარებოდეს.

+ მეორე აღაშვი გარდაიხდებოდეს საკორციოთა სულის წმიდის მოსლვასა . . . [შაბათსა] და წაიგებოდეს ზრთხა ორი . . . ორმცდა-თორმეტი, რა რიგადცა ეპირიანებოდეს, მოძღვარი მოიგმარებდეს, და ამა ათას ორას სამცდაოთხის კო[კი]ს ღვინისაგან ოთხმცეს კოკასა ღვინოსა ჩვენს აღაშვიგან წა(ი)გებოდეს და ორმცდა ორის კოდის წმიდის ჰურისაგან და სამას და ქვესის კოდის ღომისაგან თორმეტი კოდი წმიდა ჰური და თორმეტი კოდი ღომი ჩვენს აღაშვიგან წაიგებოდეს, და სხვა რაც იყოს . . . [ჰური], ღომი, ქერი, სამცდა თექვსმეტი ძღვენი ეს უვალ[ა] მოძღვრისათვის მიგვიბარებია, და რა რიგადცა მოძღვარსა ეპირიანებოდეს, სასმლად, საჭმლად, სახარჯოთ საყდრის მუშაობაზედა, რითაც იყრად [ეპირიანებოდეს], ისრე იგმაროს.

+ რაცა ნიჟარაძის ეულნი გლეხნი არის და ან მკეციძის ეულნი გლეხნი, სამოქალაქოს რაცა სამეფო კელი შევა, არა მოგვიძლია რა, და სხვა რაცა სახნაურშილო ბეგარი და სამსახური მართებს, ისი ჩვენგან ნასუიდი არის და [სა]უდრისათვის შეგვიწირავს; აგრევე უურემლიძე და მამრივის შვილები შეგვიწირავს, ციხისთვის ეული გლეხნი კელშეუვალად, და აგრევე ნაკენახევი შეგვიწირავს კელშეუვალად და განთავისუფლებით თვინიერ ნადირობისაგან კიდე, და ნადირ[ი]ს ჯერგად ნუ დაგვკლდებიან, ამა ჩვენგან შეწირულსა და გლეხთა სხვა ჩვენის კარიდაღმა გამოსული სათხოვარი არა [ე]თხოვებოდეს რა, არასთანა არა.

+ აწ განგვითავისუფლებია უოვლ[ი]სა სათხოვრისაგან, არა ეთხოვებოდეს რა, არა სამეფო, არა სა[ღე]დოფლო, არა ჰური, არა ღვინო, არა საკორციე, არა ზრთხა-საკლავი, არა საციხისთვო, არა

საჯინიბო, არა საბაზიარო, არა ლაშქრობა, არა ულასი, არა გოჭქათამი, არა საუველიე[რ]ო, არათერი არა ეთხოვებოდეს რა.

+ ვინცაფინ ამა ჩვენგან დადგინებულსა მოძღვარსა უჯერო და ურიგო ჭკადროს, ანუ სიკვდილითა, ანუ დაკოლითა, ანუ კელთ დაჭირვითა, ანუ გაცურცურითა, ანუ შეკობრობითა, ანუ საკლად ჩახდომითა, ანუ ჯოგის გატებითა, ანუ გინებითა, [ამას]ცა და რაცა [ჩვე]ნ გლეხნი შეგვიწინავს, რარიგაცა გაენათის საუდრის ძველს იადვარსა და გვიჯარშიგან(sic) სწერია, ისრე დაეურვებოდეს.

+ აგრევე ვქებით მოკითხული და წმიდის გიორგის საუდარსა [ძ]ველად შეწირული მამული ჟამთა ვითარებისკან მოშლილ იყო და დაკარგულ იყო, და რასაცა ოდენ მოვესწრებით და შევიტყუებითა, ისიცა შემოუკრობეთ, და მოძღვრისათვის მიგვიბარებია, და რარიგაცა მეფეთა და დედოფალთა შეეწიროს, და მათგან დადებულსა ძველსა სიგელშიგან ეწეროს, რაცა მათგან დაწესებული აღაზნი და წირვა იყოს, ისი მათ ნუ მოეშლების, და მოძღვარი გარდახდიდეს, ნურას დაკლებს.

+ არის გლეხი ზღუდეს გარეთ, საბას მოძღვრის ეული სენაკი მისითა ჭურმარნითა, ვენახითა, სახარდნითა, საბოსტნითა, კიდევე მას ქვეშეთ ე[რთ]ი მეხორე მისითა სახლკარითა, ჭურ-მარნითა, ვენახითა, მისითა [დანა]რჩომითა. **ოხომირას** გლეხნი ვირისაღაძენი ოთხნი, იბრიალა კვამლი ორი და ჰარტახტი ორი, **ჯოხინას** მემნაძე კვამლი ათი. არის ნაბოლელეგს კოზოლაძე კვამლი ორი. **კურსებ[ს]**.... [სამა]რხო თეთრი ორი. იმ ორის ჰარტახტისა ასრე იქნას, სანამდის [კა]ცი დაესხლებოდეს, ვინც იხმარებოდეს, ან მინდორსა და ან ტუესა, [დ]აღასა გამოიღებოდეს, და როგორც კაცი დაესხლოს, რაც იმა [აღ]აგსა ბეგარა მართებოდეს, იმას გამოიღებოდეს.

+ კვლადცა გაა[დ]რეთ, მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ჩვენგან ნასუიდი იმავე ნიჟა[რა]ძისეული მადლაკს გლეხნი ოთხი კვამლი, და მართებს ბეგარა ეს: [დ]ეშეტრასა თეთრი ოცი, დვინო კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, დომი ნათხალი ათი. მართებს ლეჭვი[ინა]ძესა გიორგისა თეთრი ათი, დვინო კოკა ოცი, ბატკი ერთი, სამაჭრობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, დომი ნათხალი ორი, სამარხო თეთრი ორი. მართებს მებუნისეილსა თევდორასა თეთრი ათი, დვინო კოკა ორმოცი, ბატკი ერთი, დომი გვერდი ორი. მართებს [ე]ამაზა-

შვილსა აბესალამსა თეთრი ოცი, ღვინო დიდით კოკითა [ას] ოცდა-
თი, ღვინო ნათხალი ოცი, და ღვინო ურემი ერთი, სამაჭრობო სა-
კლავი ერთი, ქათამი ოცი, ღვინო კოკა სამი, ბატკი ერთი, სამარხო
თეთრი ოცი. იმავე ნიჟარაძისეული ჩემგან ნასუიდი ნამაშეგს ჭოფა-
ძე მამუაი. მართებს თეთრი ოცი, ღვინო კოკა ოცმეტი, ღვინო ნათ-
ხალი ოცი, სამაჭრობო საკლავი ოცი, ქათამი ოთხი, ღვინო კოკა
ექვსი, ბატკი ოცი.

+ ესე [ცხ]რა კვამლი კაცი და ოცი ჰარტასტი ნიჟარაძისა
ესტატეს ლაშხ[იშვილისა] ნასისხლად მიეცა, და ლაშხიშვილისაგან
ჩვენ ვიუიღეთ ჩვენით თეთრითა, ესე ნიჟარაძისეული ნასუიდი გლეხნი
ფარსმანაჟანეგს, ქუტირს და ნამაშეგს ვიუიღეთ მათითა მამულითა,
ეკლ[ესი]ითა, სასაფლათა, წელითა, წისქვილითა, გელითა, ვენახი-
თა, უხითა, სათბობთა, ტუითა, სანადიროთა, ჭადითა, სათეგზითა,
მითითა, ბართა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრი-
თა, მისითა მ[ც]დვრითა, და მისითა სამართლიანითა უოფლითურთ
უცილებლად. კვალადცა გადრეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ფარ-
სმანაჟანეგს მ[არ]დალაშვილები ფუზეთ ერთი და კვამლათ რვა, მარ-
თებს ესტატე მარდალაშვილსა ღვინო კოკა ოცმეტი, თეთრი ოცი,
მ..ფნი კვამლი სამი, და ზემო ქუტირს ფეტურშედიძე კვამლი ოცი.
ესე გლეხნი ღვინობრიძის ციხისთვის მკვიდრი მამული იყო და უშვი-
ლოდ გარდახდა, და ჩვენ ნაშვილეობით მოგვცა, და ჩვენ ჩვენის სუ-
ლისათვის შევსწირეთ.

+ ნაგენახევი ჰირველადცა საუდრისა უოფლიყო და ჟამთა ვი-
თარებისაგან გამოხვმოდა, და ღვინობრიძისა დაეჭირა, და საზნაური-
შვილოდ შექნილიყო, და ამას უკანის ჟამთა აშლილობისაგან მხეცი-
ძისა ეშოგნა, და მერმე მხეციძისა მრავალი ჩვენი საქმე და უზატობა
შეგარდა, და ჩვენ საუზატოდ გამოგართვით, და ჩვენ ჩვენის სულ-
ისათვის შემოგსწირეთ, ამისთვის გამოხვებასა და მოშლასა არაფინ
ბგეპართლებს.

+ ნაგენახევი ძველად ოცი ფუზე უოფლიყო, და ცოტა ად-
გილი ჰქონდა, და სასვიმანეთოს შარას აქად ვერ გარდმოფიდა. აწე
აშენდა ისინიცა, დამრავლდეს, სხვა გვარნი კაცნიცა ბევრნი დაფასხ-
ლეთ, და სამეფელო არ ეუოფოდა და ჩვენ ჩვენ . . . ნით თეთრითა.

ამას გარეთ იმავე მხედობისაგან ვიუიდე [მე] სამკვიდრო მამული: მესხეთს გლეხნი კვამლი სამი, და ჰარტახტი ერთი. მართებს ღანდურძესა ვარსიმეს თეთრი ოცდათი, ღვინო კოკა სამოცი, ღობი ნათხალი ექვსი. მართებს ღანდურძესა ივანას თეთრი ათი, ღვინო კოკა ოცი, ღობი ნათხალი ორი, ესე ასრე ჩვენგან ნასყიდი არის. მხედობის ჟანგაშის-შვილსა მისის ბიძისა სსსისხარი საქმე შეხდა და იმაშიგან დასჭირდა, და რითაც გული შეუჭერდებოდა, სრული ფასი მიგვეც, და ვიუიდე ფარსმანაუნეგს მარდალაშვილები კვამლი რვა და ჰარტახტი სამი, და მესხეთს ღანდურძენი კვამლი სამი და ჰარტახტი ნახევარი მათთა მამულითა, ეკლესითა, სსსაფლათა, წყლითა, წისქვილითა, გელითა, გენახითა, უნითა, სათიბითა, ტუითა, სანადიროთა, ჭაღითა, სათეფხითა, მთითა, ბარითა, შესაფლითა და გამოსაფლითა, სძებრითა და უძებრითა, მისითა მზღვრითა და მისითა სმარტლიანითა უაფლითურთ უცილებლად.

+ **ჭოღვეს** უურუშვიდი კვამლი ერთი. რაოხს მ[ა]მრიკის-შვილი ნაცვალი და მისნი განყოფნი [მართებს] მარდალაშვილსა მამისთვალსა ღვინო კოკა ორმოცი და [თე]თრი ორი. მართებს მარდალაშვილსა ნაროზასა ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი; მართებს მარდალაშვილსა გოგალასა დ[ვინ]ო კოკა ორმოცი, თეთრი ორი. მართებს მარდალაშვილსა . . . ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი. მართებს მარდალაშვილსა გიორგასა ღვინო კოკა ორმოცი და თეთრი ორი. მართებს მარდალაშვილსა ესაიას ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი. მართებს მარდალაშვილსა მიქელასა ღვინო კოკა ორმოცი, თეთრი ორი, ჰარტახტი ერთი. ვინც აშენებდეს, ოცს კოკას ღვინო[სა] გამოიღებდეს და, როგორც კაცი დაესახლოს, როგორც [თე]ითოს, სხვასა ბეგაკა ემართოს, აგრევე ის გამოიღებდეს, [ო]რი ჰარტახტი სხვა და, ვინც ჭამდეს, ან მინდოროს და ან ტუე[სა, და]ლას გამოიღებდეს და, თუ კაცი დაესახლოს, მართალი [ბე]გაკა ქნას, ესე გლეხნი მარდალაშვილები ჭიდაძესა ზითვა . . . მხედობესა ურო სახლები და გვიწუალობები თქვენ სახლშიცა და დარბაზშიცა მისით ზედა-ქვედათ სახლითა.

+ რაცა ამა სიგლითა მამული და გლეხნი, სოფელი და დაბანი, შეგვიწიონავს და მაგვიბარებია ჩვენის მოძღვრისათვის, და საუ-

კუნთნი წირვა და აღაპი გაგვიჩენია, ესე ნურაოდეს მოგვეშლები ჩვენ მეუთე მეუფისა ბაგრატს და თანამეცხედრისა ჩვენსა, დედოფალთა დედოფალსა ელენეს, რათა ღირს აუფენეს წინაშე უფლისა, იესოს ქრისტეს, ღმრისა ჩვენისა.

+ აწ ესე ჩვენგან ბრძანებული სიბგელი და იადგარი მტკიცე და უქცევადი და შეუცვალადელი უფლისა აღამის ტომისა კაცისაგან და შემდგომთა ჩვენთა მომავალთა მეუთეთა და დედოფალთა, და თქვენ წმიდანო მე[უ]ფენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, და უოგელნო მღვდელთ-მთავარნო, დაჯერებით დაუმტკიცეთ, და დიდსა და ზესთა აღმატებულისა, ახლისა იერუსალიმისა, გაენათისა საუდრისა მამათ მთავარეუთისკაპოზო და წმიდანო საღმრთონო მ[ა]მა[ნ]ო [და ძმა]ნო და [სრ]ულთბით კრებულნო და ერთბ[ა]შად ლაფრანო და უოგელნო კარისა ჩვენისა გაზიარნო, ერისთავთ ერისთავნო, ათაბაგ ამირ-სპასალარო, დადიან-გურიელო, სვანთ ერისთავო, მანდატურთ უხუცესო, და უოგელნო ერისთავნო, ქუთათისისა ციხისთავთ ციხისთავნო, და ღიხთ ამერისა და ღიხთ იმერისა ციხისთავნო, მოლარეთ უხუცესო და მოლარენო, მუამბურეთ უხუცესო და მუამბურენო, მუჟინბეთ უხუცესო და მუჟინბენო, მესტუმრეთ უხუცესო, მესტუმრენო და მზარეულნო, ბაზიართ უხუცესო და ბაზიარნო, ფარაშთ უხუცესო და ფარაშნო, ახოსლართ უხუცესო და ახოსლარნო, მელგინეთ უხუცესო და მელგინენო, მუქიფთ უხუცესო და მუქიფნო, უოგელნო კარისა ჩვენისა წარყვლენილნო, მალისა, ხარაჯისა და ზროხსა საკლავისა მკრეთელნო, და უოგელნო კარისა ჩვენისა მოსაქმენო, და ხ[ე]ლისა მქონებულნო, არაგისთფის გეობრძანებია ამა ჩვენგან ბრძანებულის სიბგელისა შლად და ქცევად თვინიერ[ი] შეწევისა და თანა დგომისა კიდე. აწ ვინცა და ვინც, რამანცა აღამისა და ევას ნათესავმან კაცმან ესე ჩვენ[გან] შეწირული გლენი და სოფელნი, და აგარანი, და ესე [ჩვენ]გან გაჩენილი წირვა და აღაპი მოგვიშლოს და გაენათსა გამოახვას, და კელეოს შლად და დაქცევად ამისადა [და] ესე ჩვენი ბრძანება უკულებელს უოს, და შეცვალოს, [გინა] მეუთეთა, გინა დედოფალთა, გინა მამაცმან, გინა დედაკაცმან, გინა თავადმან, გინა აზნაურმან, გინა უზუდაესთა, გინა უქვედაესთა, ანუ სამოციქულოდ შემოვიდეს, [ანუ გამო]საკუებად და შესაცვლელად, შემცაიცვალეების სჯულისა ქრისტო-

ანეთსა, რისხავსმცა დაუსაბამო ქრისტე ღთი ჩენი, მამა, ძე და სული წმიდა, დამცაწუეელები სული [და] კორცი მისი შვიდთა კრებათაგან და ოთხთა პატრიარქთაგან და ათორმეტთა მოციქულთაგან, შემცაედების ძრწო[და] კაენისი, კეთრი გეზისი, შიშთიფი იუდასი, დანთქმა და[თან და აბი]რონისი, მასზედამცა დახდების კმა იგი ჟვარც[მელნი]ისა, რომელთა თქვეს: „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა, მას ზედამცა დასრულდების მესადარგისა ფსალმუნთა წუეეა, ნესტორს და ოროგინესთანამცა არის ნა[წი]ლი და სამკვიდრებელი სულისა მისისა, კრულმცა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ნურარათამცა სინანულითა ნუ იქნების კსნა სულისა მისისა, ნუ წირვითა, ნუ ღოცვითა, ნუ გლ[ახაკ]თა მიცემითა, ნურცა იელუსარემს წასვლითა, ნურცა სინ[ას] და შთაწმიდას წასვლითა, ნურცა საედართა და ეკლესიათა შენებითა. მშლელი და მქცეველი ამისი კრულ, წუეულ და შეჩვენებულ იუენ უკუნითი უკუნისამდის, და დამამტკიცებელნი ამისნი ღთნ აკურთხნეს და წმიდამან და დიდმან საედარმან მონსტერმან გაენთისამან. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩენისასა მეოთხესა, ქგსა „სღგ“, თვესა ივნისსა „იბ“, კელითა ფრიად ცოდვილისა გიორგი აბა[შიძ]ისათა. თქვენ წმიდანო მღდელთ-მოძღვარხო და საღთონო კრებულხო, გევედრები, რათა შენდობა ბძნოთ ცოდვილისა სულისა ჩემუსათვის(810).

დაიწერა სიგელი ესე შვიდ ათას ორმოც და [ცამეტსა] ¹⁾.

ჩ.ნ. ქს. მწრ. ქართლისა პატრიარქი. კანონითა. ვამტკიცებთ.

(ამას შემდეგ სანახევროდ დასულია ხელჩართული ხელის-მოწერა კათალიკოსისა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს კათალიკოსს მალაქია აბაშიძეს).

იაკობ. კლენე (ხელჩართულად).

შემდეგ სხვა ხელით და მქრალის მელნით: „...[ჩვენ უნისა ჩრდილოისა და] აუხაზეთასა დიდი [გ^წზი?] . . . ვამტკიცებთ.

ამას შემდეგ სხვა ხელით სწერია:

1701—1709. ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოისა და აუხაზეთისა კ^წზმან ბატონმან გრიგოლ თქვენ ცათა [მობაძ]ავსა ბიჭვინტისა ღმთის მშობელსა ეს მოგახსენეთ, რომ დავით ნემსაძეს კ^წზის დრთს [გიორგი] მეფის შვილს აღექსანდრეს ბიჭვინტისა ღმთის მშობლი-

¹⁾ ეს სტრიქონი სხვა მელნით არის დაწერილი მქრალად.

სთვის სხმი კუამლი კაცი, [კუბლ]ასშვილი ერთი და ორი ობ-
ლაძე გიორგას შვილები შეეწირა, და ნემსაძეს კათალიკოზს ამ სხმი
კუამლის კაცის ბეგრის დადება არ დასცალებოდათ, მერმე ჩვენ [ახლად]
გაგუერი(გ)ებიათ, რომ კუბლასშვილმან ნასხიდამ, დათუნამ და ასან-ბეგ —
ამ სხმან [კაც]მა ერთი შამახური სანთელი ხატს მიაართვას, და სხვა
ამას გარედ ხატის სხმსახურისა და [ჩვენ]ის შინაუმობისა მეტი მართე-
ბული ამ კუბლასძეს არავისგან რა ეთხრებოდეს. ორს ობლაძეს სხ-
მი შამახური სანთელი დაფადევით და ხატს მიაართმევდეს და
(შემდეგი აკლია).

6. გუჯარი, 108×22 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ მრგვა-
ლის მხედრულის ხელით, თითოეულ სიტყვის შემდეგ უზის სამ-
სამი წერტილი. თავი და ბოლო აკლია. გვერდებიც ტყავისა და-
ზიანებულია. ქორონიკონი არა სჩანს, მაგრამ სიგელი უნდა ეკუ-
თვნოდეს, ჩვენის აზრით, ლევან II დადიანს († 1657). ამის დროსვე
ცხოვრობდა ჩვენ გუჯარში მოხსენებული აფხაზეთის კათალიკოსი
მაქსიმე მაჭუტაძე, რომელიც 23 აპრილს 1640 წ. ნახა ლევან II
კარზე რუსის დესპანმა ელჩინმა, ხოლო 1650 წ. მაქსიმემ იმერე-
თის მეფესთან ალექსანდრე მესამესთან ერთად ფიცი მიიღო რუ-
სეთის ქვეშევრდომობაზედ პაპნი და პაპის პაპნი ლევან მეო-
რისა გიორგი, ვამეყ. შერგილ და სამადავლე, ანუ შამადავლე,
მართლა დასაფლავებულნი არიან ხოფში. ერთი წარწერა გუჯ-
რისა უჩვენებს, რომ ლევან II ჰყოლია ძმისწული სახელით ლე-
ვანი, რომელიც უნდა იყოს ლევან III, ანუ შამადავლე († 1680)
(H. G. II, 1, p. 646. II, 2, 438).

1611 — 1617. . . . ერთ ბუნებისა, ერთ ჭთაებისა, ერთ უფლე-
ბისა, ერთ კელმწიფებისა, განუყოფელისა და შეუკენელისა, გამოუ-
თქმელისა, მიუწდომელისა, შეუ[ხებელ]ისა, შეუწერელისა, შეუსაზღუ-
რებელისა, უმიზნობის, უკვდაუის, საუკუნოს ც[ხოვრებ]ისა მოუკლე-
ბელისა, დაუსრულებელისა, გამგებელისა, მფლობელისა, შემოქმედი-
სა, გამოუკუდეველისა, დიდება სხაიერებისა და სუფევა დაუსრულებე-
ლისა, და ღვინება მოწყალებისა, ამის წმიდისა სხმებისა წყალობითა,
ძალითა, შეწვნითა, რომელნ კაცთ მოყვარებისათვის წარმოცარედა

თავი თვისი და კაც იქმნა თვინიერ ცოდვისა, და მრავალთათვის თვისთა მოწყალებათა ჯუარცმა და დაფლვა თავს იღვა, ხოლო ვითარცა ჭთი აღდგა მესამეს დღესა და ჯოჯობეთი შემუსრა, და წარმოსტეუენა, და აღამ უოფლით ნათესავითურ დაჰქუარა, დანისნა და ჭთაებასა თვისისა იზიარა სასუფეველსა თვისსა, და უოფლად წმიდა უბიწოდ მშობელი თვისი, მარადის ქალწული მარიამ, შუამდგომელ იყო თვით ჭთაებისა თვისისა და კაცთა შორის, ამის უოფლად წმიდისა თავდებობითა, მეობებითა, შუამდგომლობითა, მინდობითა და ძლიერებითა, ნიშოვან [ქმნი]ლის და ნიშ შემოსილისა, ზატოისნისა და ცხოველს მუოფლისა ჯუარისა, მტერთა მატებელისა და უოფლისა ძალისა ეშმაკთასა დამწუეელისა, წმიდათა ურულოთ მცველ მართებელთა ჩუენთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა, მიქაილ და გაბრიელისთა, წინა მობებდისა ნათლის მცემელისა და უოფელთა დედათა ნაშუთა უმეტესისა, იოვანე წინა მსრობლისა, და გზათა მშვიდობისთა განმმზადებელისთა, წმიდისა იოანე ჭთის მეტეველისა, რომელმან მკედისა საუფლოსა მიუდნობითა აღმოიწრიდნა ჭთის მეტეველებისა უფსკრულნი დაუღევენენი, წმინდათა მოციქულთა და უოფლად ქებულთა თუაღით მხილველთა და კეღით მსახურთა, და თუაღით მხილველთა ჭთისთა და განგებულებისა მისისა მესაიდუმლოეთა, თავთა მოციქულთა, ჰეტრე, ჰავლე, ადრია და სხვათა ათორმეტთა მოციქულთა. და ჯლად სხვათა სამეოცდა ათთა მოციქულთა, და წმიდათა მოციქულთა თანა სწორებით შესატევისთა წდათა წინასწარმეტეუელთა, მამათა, მამათ მთავართა, მდრდელთ მოძლუართა, მოწამეთა, ქალწულთა, მამათა მეუდაბნოეთა, აღმსარებელთა და უოფელთა საუკუნითგან სათნოოფილთა ჭთისა წდათათა, ზეცისა და ქეუენისთა, და განმაცხოველებელისა ქრისტეს საფლავისა აღსადგომელისა, საუფლოსა საფლავისა და ჯუარისა ცხოველს მუოფელისა თავსდებობითა, შუამდგომლობითა და მინდობითა, გკადრეთ და მოგანსენეთ დაწერილი ესე სიგელი, იადგარი უმიზეზო და უკუნისამდე წელთა და ჟამთა შეუცვალებელი, და მარადის განთავებით განსრულებელი, ოქვენ ჩუენსა მცველსა და მოარველს და ცხოვრებისა ჩუენისა წარმმართველსა, და განმარჯვებითა მძლეველსა მტერთა და მბრძოთა ჩუენთასა ქალწულსა, უბიწოსა, მარადის ბიწ შეუხებელსა, დედასა ნათლისასა და

მშობელსა მეუფისასა, უთროსნისა ჭთის მშობელსა, და ძელსა ცხოველსა, ხოფს ტაძარსა შინა განსუენებულთა, მისაძინელთა და საძალთა ზირველ კურთხეულთა და საუკუნოდ განსუენებულთა ჰატროსანთა და სახელფანთა ძუელთა ჩუენთა ჰაზთა და ჰაზის ჰაზთა უფლად სანატრელთა: გიორგი, ვამეუ, შერგილ და სამადაფლე—ამთოთხთა ღთივ ჰატოვცემულთა და გვრგვინოსნთა საფლავსა, და ჩუენსა სასოებით შესავდრებელს ხოფს განსუენებულსა სახესა და ხატს წისა ჭთის მშობელისასა და ჟუარის უფელთა განმაცხოველებელსა, მოგახსენეთ და კადრეთ იადგარი და სიგელი მტკიცე, ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი, ჩუენ, თქვენ მიერითა მადლითა და ცვა ფარვითა მძღედ და ძლიერად ამადლებითა განძლიერებულმან, და ოხითა თქუენითა ზესთა ადმატებულმან, და მტკიცედ მპრობელ-მქონებულმან, თვთ განმგებულმან, თქვენ მიერ სახელ ამადმატებულმან და ფდ მსასობულმან, და მადლთა და წყალობათა თქუენთა მინდობითა საწმუნოდ მოსავმან, და სურვილით მოქენებან, კელმწიფებან, ჰატრონმან დადიანმან ლეგან, შიშით და კრძალვით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე ესე უკუნისამდე კაცთა ნათესავისაგან შეუცილებელ-შეუსარხელი წიგნი და ნიშანი ასრე და ამა ზირსა ზედა, რომე ჟამთა ვითარებისა და წელთა გარდასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფელი და ტუე და ველი, ვნახეთ და მოკითხული ვქენით, და ძუელთა ჩუენთა მამა-ჰაზთა საფლავი უფილიყო, კურთხეულთა და სახელ-დებულთა, და მათ მიერ დადებულნი და კარიგებულნი იადგარი და სიგელი ვნახეთ, და ჩუენცა გულს მოდგინებით ესრეთ დაუმტკიცეთ: ესე ვითარცა დადიან გურიელისა, სულ კურთხეულისა სამადაფლსაგან კარიგებულნი სიგელი ვნახეთ, ესრედ ეწერა და გაერიგა: „ძუელითგანი იადგარი გრუენილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ჭთის მშობელისაჲ, მას ჟამსა უღმთოდ და უსჯულგობად მი(ი)ქცეს აფხაზნიჲ, და ადვიუფანეთ იოფაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დაფსვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა კარუენეს სჯული და ჳზობა, ხოლო ჩუენ მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათაჲ და იერუსალემისა და ანტ(ი)ოქის ჰატრიაქისა მიხაილის ნება დართვითა გაფარიგეთო ჟუარითა და ონფორითაჲ“. აწე ჩუენც მათი კარიგებულნი და დადებულნი იადგარი ვნახეთ, განვიცადეთ და ჩუენცა მსგავსად მა-

თებრ დაფამტკიცეთ, და გაფარიგეთ თავს მსხულები წადა გიორგი მის შესაფლითა და გასაფლითა, წყლითა, ტყითა, სანადირთათა, სათევზოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა, იმა რიგითა გლეხებითა, ჯუარის მტვირთლითა; ბერი ზოსიმე, კემხელს გეგებერია, ვაჭრის შვილები ბაბადში და მისნი ძმანი კახია და ვაჟიბუდაი, მასთანა ორნი მამის ძენი დეის მამაი, და ორნი ლაღარია მიქაილ და მამისთუაფი, წუწუნარი მამული და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესის კართა, და სათევზოთა, კურია მასხუელი მისითა შვილებითა, თათარია წუწუნავა მისის მამულითა, ბერია მისის მამულითა, წყლის ჰირს ბონია ქრისტეშია მისით მამულითა. წყლის ჰირს რიონზედა ჭაღადიდსა ნახევარი ბაჟი ხოფისა ღის მშობელისა არის. . არის ქარაჭას და კემხელს მესამედი ნაფი და ბაჟი უდ წადის არის, ნახუდენს ოთხი კუამლი კაცი უურუა და სხვიტავა ანდაღარის შვილი და შონია მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზოთა და ეკლესის კართა. აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი და სხუათა თავდათა და აზნაურის შვილთა ნიშანი ჯზისა არის, სხუათა ევისკოზოზთა ს დგოთ მართებს და ამას არა ეთხვებოდეს-რა. აგრევე ცუს გამოდმა და ჭვირას გამოდმა ვინც ნადირი მოკლას, სეფეს უდ წმინდას წინ მძლებდენ, ნურავინ დაქლებთ. აგრევე ჩვენ ჰატრონმან, დადიან-გურიელმა შამადავლამ, იადგარი ძუელითგნი ვნახეთ და ასრე უოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა: „ვინცა ხოფისა საქდარსა გარეშემო უზატობა იკადრეს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საუდარსა, ვინცა სახოფისა ზედან მოუხდეს, დარბიოს და დაწუას, მესადილე გლეხი დაუურვოს საუდარსა, ბოდ(?), ანუ ლაღატითა კაცი მოუკლან, ორი ზომს სისხლი დაუურვოს; ვინცა ძმათაგანს უზატობა ჰკადრეს, ანუ აგინოს, ათასი ჰოტინატი დაუურვოს, აგრევე ჭვირას და ცუს შუა ტეე და წყალი უოფლად წის ხოფისა ღთის-მშობელისა არის უცილებელი“. ესრეთ ეწერა ძუელსა სიგელსა და იადგარ შიგან, ამა წევევითა და კრუფვითა, აწე ჟამთა ვითარებისგან სიგელი გარევილიყო, და კურთხეულს დადიან-გურიელსა შამადავლსა გაერიკებინა, რაკორც ძუელად უოფილიყო, ისრევე გაერიკებინა. აწე მეღია და

საუდრის კაცები იცილებოდეს, და დავსხედით ჩვენ კელმწიფე ჰატ-
რანი დადიანი ლეონ და ჯიხი ჰატრანი მაქსიმე მაჭუტაძე და ვნახეთ
ძუელი იადგარი, და სრულიად ჩვენი დარბაისელები დავსხით, და გავ-
სინჯეთ, და ასრე ეწერა წყევით, რომე ჭვირის და ტუს... (ამას ქვე-
მოთ სიგელს ცოტახედ აკლია).

მეორე გვერდზე, სადაც ტექსტი ყოფილა გადატანილი, დარ-
ჩენილია:

ლეონ დადიანი (ხელჩართულად).

ჯიხი მაქსიმე (ხელჩართულად).

ზირველი გვერდის აშიაზე სწერია სხვა ხელით:

1701—1709. სახელითა დმთისათა ჩვენ ქრისტეს დმთის
მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილასა და აფხაზეთისა ჯიხან,
ბატონმან გრიგოლ, ესე გკადრეთ დავთარსა თქუენსა წარწერით
მტირედითა სიტუჯთა და კინოღენითა შესაწირავითა, ასრე რომე მე-
ობებითა შენითა, საშინელო ხობისა დმთის-მშობელო, და გულის-მო-
დგინებითა ჩვენითა, ეს შონია მამაში ჩვენ მოვიუყანეთ და მისი ძმა
მამიდა, რა ამას წინეთ ყამთა ვითარებისგან დაკარგული იყო, და
ჩვენ მოვიუყანეთ და ისრევე თქუენ შემოგწირეთ ჩვენის ცოდვილის
სულის სახად და ერთის . . . ველს ყოველს დიდს ხუთშა-
ბათს, ხობისა დმთის-მშობელო, თქუენ მოგართმევედეს, რათა მეობ
მეყო. აწ ვინცა და რამნცა კაცმან ეს ხელახლად ჩვენგან შემოწირუ-
ლი შონია თქვენგან [გამოწი]რის და გამოგახვას, ჩვენს კანუნსამც
ქვეშ ის იქნება მაშინ.

ხელჩართულად ხელს აწერს: „გრიგოლ“.

მეორე გვერდზე სხვა ხელით სწერია:

1661—1680. ქ: როგორათაც ბიძა ჩემს ლეონ დადიანს გა-
ურვიგებია, იადგარი ეს უნახეთ და ჩვენ ხელმწიფეს დადიან ლევანს
ასრე გაგვირიგებია, და ჩვენცა ასრე დაგვმტკიცებია, და ამა წიგნში-
დაც ასრე სწერია: სამი ნაფის თათრები რომ მოვიდეს, ორი ჩვენი
კაცისას დადგეს და მესამე ხატის უმისას დადგეს, და ჩვენმან მე-
ბაჟენმან ასრე გარიგოს.

ლეონ (ხელჩართულად).

იმავე გვერდზე სხვა ხელით სწერია:

XVII სუკ. ქ: მე ხსხუმ ფაცას კაცი შემომაკდა და სკანონო გამიჩინეს, და ბიძაბ ცხომარია დავისსენი, და ხატს შევსწირეთ. ბატონმა კაზმა და ხოფელმა გამიჩინა სკანონოდ და შევსწირეთ ხატს. არის ამის მოწამე ბატონი ჭყონინდელი და ხსხუ ჩინუვა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

1673—1696. ქ: ჩვენ ჩრდილოს და აფხაზეთის კაზმან დავით შემოგწირე ბაჟუნაი მირცულა მისის შვილითა და ძმისუფითა, მისის სახელ-კართა, ეკულის კართა, ტუითა, წუფითა, უძებარსაძებართა და მისის ყოფლის ფერთა. ხსხუა ფაცას ნიშნად ბატონმა დადიანმან მიბოძა ეს გულები და მე ხობის ღთის მშობლისათვის შემწირაუს ჩემის სულის სახად და საცხოუნებლად.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

1673—1680. ქ: ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოს და აფხაზეთის კაზმან, ხატრომან დავით, შემოგწირეთ თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტის ღთის-მშობელსა და ხოფის ღთის-მშობელს ლიფონავა ისუფ და მისი ძმანგარაი მათის ცოლშვილითა, სახლ-კართა, ჭურ-მარნითა, მისის ეკლისის კართა, მისის მამუ-ლითა, საყანითა, ტუითა, ვუფითა, გასაფლითა და გამოსაფლითა, დღეს რისიცი მქონებელი იუოს, მისის [ყო]ფლის ფერთ სამართლიანის საქმითა, ასრე არის ამისი რამე გულებრის კარს ბიჭვინტის ღთის-მშობლის მეთ[ევზობა] . . . შენაწირი ესახლა და ასანა ფადავამ გაიქურდა, და სახლ-[კარ]ობით დაგვიკარგა, და მერმე მის გარდასახად ბატონმან დადიანმან ლეონ ხორგას ეს ლიფონავა გვიბოძა, და ჩვენ ბატონის დადიანის და დედოფლის ბატონის თამარის ბრძანებითა ბიჭვინტის და ხოფის ღთის-მშობლისათვის შეგვიწირავს, აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ დადიანმან, ანუ დიდმან და ან მცირემან, ამ ჩვენს შენაწირს გ[ანაჩენ]ს შლად, დაქცევად ხელ-ყოს, ისიმიც შეიცულების რჯულ[სა] ქრისტეანობისაგან, ნუცა იხსნების წირვითა და ლოცვითა, ნუცა გლახაკთ მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წასვლითა, მასამც რისხავს დაუსაბამო დაუსრულებელი ღთი მს . . წყუელ და შეჩვენებულმიც არის მისი სული და ხორცი ამა და მას საუკუნოს, აწდა უკუნისამდე ამინ. არიან ამისნი

შუამავალნი ღიზარტიანი ბატონი გიორგი, ჩიჩუა ხახუ, და[რ]ისმანი ჯიანი, და მოწამე სრულად სჭობ და სახოფო ანაურის(sic) შვილები.

ლეგან. თამარ (ხელჩართულად).

კათალიკოზი დავით (ხელჩართულად).

ამას შემდეგ თათრული ხელის მოწერა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

1682. ქ. მაჟამს ოდეს გურიელმან ოდიში დაიჭირა, მე ზე-ბედეს ქვაჩი ყურუა შემომეხვეწა, და აქ ხოფის შევახვეწა, და დავა-ეხეთ ამ იასამ უტუუა, და კახაბერს ჩიჩუას მისცა, და მამა-შვილი ორი გამოიედა, აწე ხობის ღთისმშობლის განატეხშიდ ეს იასავები შევსწირეთ ბაძულები და მომადინი მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარი-თა, ჭურ-მარნითა, ტუითა, ველითა, საძებრითა და უძებრითა, რისაც მქონებელი იუოს, მისის სამართლიანის საქმით, ვინც ეს ჩვენგან შეწირული ბიჭვინტისა და ხოფის ღთის მშობელს-გამოსწიროს, ჩვენსამც კანონსამც ქვეშე არის. დამატკიცებულნი ამისნი დმერთმან აკორთხნეს და წმიდამან ღთის მშობელმან. დაიწერა წიგნი ესე ქო-რნიკონს ათას ექვსას ოთხმოც და ორსა.

შემდეგ კიდევ სხვა ხელით:

1673—1696. ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხე-ულმან, ჩრდილოსა და აფხაზე[თისა] ჯზმან, ზატონმან დავით, შე-მოკწირეთ მცირე და კინი ესე შესწირავი თ[ქვენ] საშინელსა და შვიდ ცათა უმაღლესსა და ქერაბინთა უწმიდესსა ხობისა [ღთის]მშო-ბელსა მირცხულავა ბიჯოჯია და მისი შვილი ქოჩუა და სპაჭკუ მ[ისი-თა ც]ო[ლ]შივილითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა... (დანარჩენი აკლია).

კანის აშიაზედ სწერია სხვა ხელით:

1673—1696. ქ. ეჭა შენ ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშ-თაესო და ქერაბინთა უწმიდესო, რომელმან შეგ ერთი სამებისგანი და შობითა მისითა განხეთქე ცოდვათა ჩვენთა კელით წერილი, შენ უდ კურთხეულო, ცათა მობაძავო ხობის ღთის მშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა შენისამან, და სა-კუთრებით მოურნემან ნამსახურისამან, კინმან მადლთამან . . . და ფრიადმან ცოდვითა, წინამძღვარმან ზებედე, შემოკწირე მცირე ესე შესწირავი ასრე და ამა ჰირსა ზედან, რომე ამას წინათ ხობს ვი-

დექით ჩვენ, და ღოდებერიძის კაცს ამ ხობისა ღმთის-მშობლის ფი-
ცის ტეხა დაეღვა და ბატონმან კათალიკოზმან [დავით] თავს შეიღვა
და მერმე საად ღოდებერიძემ გასტეხა და . . . აღარ გაეწეობდა
და ის კუამლი კაცი ხატს შემოსწირა, და ჩვენც მოგვაშორა ეცადია
გეგენავა და მისი ოთხი ჩვენ გვსახუ[რებდა] . . . ბდა. მერმე ღიპარტი-
ანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს დაშკრად, და ჩვენ ზუგდიდამდის
ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყავით, და დავბრუნდით, და აქ ხობს
მოვედით. აწე ეს გეგენავები პირველად ამ ხატის [ყოფილ] იყო,
მაგრამ ჩვენ . . . და ცოდვათა ჩვენთა შე[სწინდობელად] ხელ-მეო-
რედ ორივე ძმანები შემოგვიწირავს. შეიწირე [ანი]ნი ესე შესწირა-
ვი ხობისა [ღმთის-მშობელად]... (დანარჩენი აკლია).

7. სიგელი, 27X12 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ მრგვა-
ლის მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია
სამ-სამი წერტილი. მარცხენა ნაწილი სიგელისა ჩამოჭრილია სი-
გრძობზე. თავი აკლია. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც სი-
გელი იხსენიებს ლევან დადიანს და გიორგი ლიპარტიანს, ამი-
სათვის ეს სიგელი უნდა ეკუთვნოდეს ლევან II და გიორგი I
ლიპარტიანის დროს, აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე, როგორც
ვიციტ, 1611 წლის წინეთ დადგენილი იყო კათალიკოსათ, და
1615 წელში კათალიკოსათ იხსენიება მალაქია გურიელი, მეო-
რეს მხრით ლევან II 1611 წლამდის არ ყოფილა დადიანად, მა-
შასადამე სიგელი უნდა იყოს დაწერილი 1611—1615 წლებში.

1611—1615. . . . ტას ერთი კვამლი . . . ვანდაი შაფათია
და მისი შვილები მათის . . . რისაც მქონებულნი არიან მისის . . .
ლევან დადიანის გასაზრდელად სადღეგრძელო . . . [ღიპ]არტიანის
გიორგის სადღეგრძელოდ და ასადო[რძინებელად]. [ბიჭვინტი]სა
ღმთის-მშობლისათვის სახსრად სულისა . . . თი კუამლი კაცი ბა-
ტონს გოზს ეფთუიშის აწე . . . მესამეს წელიწადს თითო ძროხა
ერთ[ი] . . . [ე]რთი მახათელი ღომი, კიდევ მართებს ეს ბე[გა-
რი]: ერთი ჯამი ზური; მარლი კიდევ მართებს] . . . ამას გა-
რეთ სამი კოკა ღვინო, სხვა მართებს . . . [ე]რთი მახათელი ღო-

მი და სხვი გუდა ღვინო [არან ამის მოწმენი] თავად ჭთი, კაცთა-
გან მეკაბ ქართოძე მო . . . ი და ვაზირთ უხუცესი, სხლით
უხუცესი . . . [მესტუ]მრეთ უხუცესი კაკაუჩა ქვითია, მეღვინეთ
უხ[უცესი] . . . აწე ესე ჩეენგან შეწირული გლეხი ვინც გამ[წი-
რის] . . . ჭთის მშობელსა, რისხავს თავად ჭთი და ბი[ჭუინტი-
სა ჭთის-მშობელ]ი და უოველნი წმიდანი ჭთისანი ზეცისანი [და
ქუეუანისანი და უოველნი კორციელ]ნი და უხორცონი, და დამატკი-
ცებელნი ამის[ა ჭნ აკურთხნეს].

ლეგან (ხელჩართულად).

აზის მგვალი ბეჭედი, რომელზედაც აწერია:

გიორგი ლიპარტიანი.

8. ფიცის წიგნი, 29×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე
მრგვალის მხედრულის ხელით. თარიღი არა აქვს, მაგრამ რად-
განაც წიგნი იხსენიებს აფხაზეთის კათალიკოსს მალაქია გურიელს,
რომელიც იხსენიება 1615 და 1641 წ., ამისათვის დაახლოებით
ეს ფიცის პირი უნდა იყოს დაწერილი 1615—1641 წლებში
(H. G. II. 2 p. 438, 440).

1615—1646. ესე წიგნი ფიცის, და პირი, დღეს დაწერილი
და აღმოეჩნე უკუნისმდე უამ გასათავებელი, დაგიწერეთ და მოგარ-
თეთო ჩუენ ქართოძემან როსტომ თქუენ შუიდ ცათა უმაღლესსა,
საშინელსა ბიჭუინტისა ჭთის-მშობელსა და სრულიად საქართველსა
მაკურთხეველსა, აფხაზედისა(sic) ჳზსა, კელმწიფესა გურიელსა, ზა-
ტრონსა მალაქიას, ასრე და ამა პირსა ზედა: თქუენ რომ წყალობა
გუიყავით და წიგნი გუიბოძეთ, და გაგუირიგედ და გაგუისზღურეთ,
იმასდა გარდაის არას შემოგეცილოთ, და თუ ვინმე ჩემი უმა შემო-
გეცილოთ, სამართლიანის საქმით გაგეიფინოთ, რაცა ამ თქუენსა
წყალობას წიგნიშვიან არ სწერია, სახიბულს აღაგას არას შემოგეცი-
ლოთ იმის მეტსა. ამისდა გასათავებულად თავდაბად მოგუიციეთა თა-
ვად ჭთი და საშინელი ბიჭუინტისა ჭთის-მშობელი და უოველნი
წმინდანი ჭთისანი, კორციელი და უკორცონი, ზეცისანი და ქუეუა-
ნისანი. +

9. ფიცის წიგნი, $25 \times 16,6$ სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია სამ-სამი წერტილი თითოეულს სიტყვის შემდეგ, თარიღი არა აქვს, მაგრამ ამაში მოხსენებული ლევან დადიანი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ლევან II და ამისათვის ფიცის წიგნი უნდა ეკუთვნოდეს 1611—1657 წლებს. ამავე დროს ცხოვრობდა გიორგი პირველი ლიპარტიანი, ბიძა ლევანისა, რომელიც მოწმეთ იხსენიება ჩვენ ფიცის წიგნში.

1611—1657. ქ. დაუსაბამოსა ღთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თავსდებობითა, მინდობითა, შუაობითა და შუამდგომლობითა, ყოველთა წმიდანთა ღთისთა ზეცისათა და ქუეყნისათა, უხორცონთა და კორციელთა, ესე აუარებელი ფიცი, წიგნი და პირი დაგიწერეთ და მოკასსენეთ ჩუენ შანგუღია ქაიხოსრო და¹⁾ თქუენ დადიანსა ბატონსა ლეუანს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე საჯო და საცაიშლო მამულზედან, სახევისთაოზედან, და სათქუენოს საქმეზედან ვყარყაშობდით და აწუ თქუენ გაგვარიგეთ, და რაც თქუენ არ გაგუიხინეთ, და ამას გარეთ რაც წესი და სამართალი არ ყოფილიყოს, არც ჩუენის მტერობისა და გამორჩომის გულისათვის არა ვაწუინოთ რა, და არც იქაურის მოხელის შუეკითხავად სასაქმოდ მივიდეთ, არც ძალი და უსამართლო უყოთ. ამისდა გათავებისად თავსდეზად მოგვიცემია თავად ღთი და ბიჭვინტისა და ცაიშლის ღთისმშობელი, და წმიდა გიორგი ილორისა, და ყოველნი წმიდანი ღთისანი, და კაცთაგან ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ბატონი მოქუელი, გოშძე თოდორუხუ, ჰაპუნია²⁾ ამჯათარიძე, და წესსა და სამართალს გარეთ თუ რამ ვაწუინოთ, რაც გუიყოთ, ღთნ უბრალოდ გამყოფოს, და რაც წესი სამართალი ყოფილიყოს, ბატონის კუზის მოხელეებთა არ დაუმალოთ და მივისცეთ.

10. შემოწირულობის წიგნი, 21×22 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღდზე მრგვალის მხედრულის ხელით, ნიშნებათ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამი წერტილი. თავი და ბოლო აკლია. გვერდზე ქალაღდის დაწებების გამო ასოები არ მოჩანან. ამ წე-

1) ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია ორი სიტყვა: „ჯოდერია ზარიამ“.

2) ამას შემდეგ წაშლილი სიტყვაა: „გოშძე“.

რილში მოხსენებული ლეონ დადიანი უნდა იყოს ლევან II. ამის დადიანობის დასაწყისში იყო ეფთვიმე კათალიკოზი, რომელიც ამ სიგელში იხსენიება, ვგონებ, გარდაცვალებულაო. ამისათვის წერილი უნდა იყოს დაწერილი 1611—1657 წლებში.

1611—1657. ...ცხორებასა. ივანესაგან ვიუიდე ჩემის ალაღის თეთრითა გო სსსხლე და კიდევ ახლად მე გავაწეობინე სსსხლე მისის სათიბითა და ერთის სათევზოს წელითა, და ერთის შინ მოსსახლის კვამლის კაცითა, კიდევ ბატონს დადიანსა ლეონს გარდვეკიდეთ და შემოვაწირვინეთ, ღთნ ადიდ[ნეს], სსსხლე მისის სამის კვამლის კაცითა, სათიბითა, საყნითა, და მისი [ერ]თი კვამლი კაცი მე მიბოძა და ჩემაგერად მე შემომიწირავს. კვალად[ცა გკადრეთ]... ქორისაგან მიშოვნია და ერთი კვამლი კაცი სუბი[შ]ს დამისხლებია. გკადრეთ და მოგახსენეთ, ამილახორისაგან მიშოვნია ხარაიქ და ხიბულას და[მისხლებია]. გკადრეთ და მოგახსენეთ, ხიბულას სალარო არ იყო, ნაციხვარი სალა[რო და] სსსხლე გამიკეთებია, ერთი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა [მიე]იღია და შიდ მოსსხლეთ დამისხლებია, ცინე სალარო გაკეთებ[ული] ერთის კვამლის კაცითა შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ... [მე]ჯოგე, საურისა გატეხა, და მისის საუხატოთ ვიშოე; ერთი კვამლი . . . მოსსხლეთ დამისხლებია. კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ . . . [მოგა]ხსენეთ ხოარს სსსხლე არ იყო, სსსხლე ადგილი, დიდი სხლი ჩარდახბო, [სახ]ლეები დგას ჭიშკრიანათ, ჩემის ალაღის თეთრითა მიუიღია და სამი . . . ეთ ჩამისხლებია, და კიდევ შვიდი რვა საყანე მისის მამულიანათ ჩემ . . . და ასრე გაკეთებული სსსხლიანათ მისის სათიბითა მე თქუენთვის შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ [ერ]თი მოსსხლე კაცი ხურჯინი ამილახორისაგან მიშოვნია და თილითს დამისხლებია, და შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ, ჯიქთუბანს სსსხლე არ [იყო და გამიკეთ]ებია მისის სათიბითა, და რაც სხლეები დგას ჭიშკრიანათ, ისი ჩემი . . . სათევზე-სადობი ბატონის მეფეს აქეთ დაკარგული და მოშლილი იყო. [მე]რმე დადიანისაგან კაცი ავიბარე და მე ვიშოე და ძველითგან დაკარგული ახლ[ად გამია]ხლებია, ერთი კვამლი კაცი ზედ დამისხლებია და ისრე გაკეთებული [შემომიწირ]ავს. კვალადცა გკადრეთ და

მოგახსენეთ, მუკასა ბარტუელა და მანარა . . . მარგალიტითა, სხვა
 ოქროს ვაგარჯენი კურთხეულს ეფთვიმეს ჯნსა გ . . . პირი, კარ-
 გი ვერ იუო და ვერცა კარგი თვალი და მარგალიტი არ [ესსა],
 [მო]ვაყვანინე ოსტატი, ოქრო ისივ არის, მაგრა ახლად დავარდვე-
 ვინ[ე და] მრავალი თვალი და მარგალიტი ჩემი შევმატე, კარგი და
 პატიოსან[ი] . . .

11. ფიცის პირი, 41×16,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე
 მრგვალის მხედრულის ხელით. ნიშნებით ნახმარია ზოგჯერ ორ-
 ორი წერტილი და ზოგჯერ სამ-სამი. თარიღი არა აქვს, მაგრამ
 ამ წერილში მოხსენებული დავით კათალიკოსი გვაძლევს საბუთს
 წერილი მივაწეროთ 1661—1680 წ., რადგანაც კათალიკოსი
 დავით ნემსაძე ამ წლებში კათალიკოსობდა, რამდენათაც ვიცით.
 ამას გარდა ყუაპუ შარვაშიძეც ამავე დროს ცხოვრობდა (Bros-
 set V. arch. Rapp. VIII, p. 143). ძმა მისი ქერექიმ ცნობი-
 ლი არ არის.

1661—1680. ქ: სახელითა სახიერისა, ზეშთა არსისა, დაუ-
 სრულებელისა ჭთისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, თავდ-
 ბობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, მეოხებითა უოვლად წმი-
 დისა ჭთის-მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდ-
 ბობითა, მინდობითა, და შუამდგომლობითა, ძლიერებითა პატიოსნისა
 ცხოველს მეოფელისა ჯუარისათა, რომელმან განიპყრნა ქრისტეშან
 ჭთნ ჩვენმან უკრწნელნი მელაზნი თვისნი სამეუფონი და მეწამულყო
 სისხლითა პატიოსნითა კსნისათვის კაცთა ნათესავთა, თავდ-
 ბობითა და შუამდგომლობითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზ-
 თა და მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, და სხვათა ცხრა-
 თა დასთა ანგელოზთათა; თავდ-
 ბობითა, მინდობითა და შუამდგომ-
 ლობითა წმიდისა იოვანე ნათლის მცემელისა, წინა მობედისა და
 უოველთა ნაშობთა დედათას უზეშთაესისათა და იოვანე ქალწულ მ-
 ხარებელისათა, და თაკთა მოციქულთა პეტრე და პაულესითა, ათორ-
 მეტთა მოციქულთა და კვალად სამეოცდა ათთა მოციქულთათა, თავ-
 დ-
 ბობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა და რანიცა დიდსა საუ-

ფელსა სვინაქსარსა შიგან წმიდანი ჭთისანი სწერიან და ან დღითი დღედ უოველ მოხსენებთან, ამათის მადლითა და მეხეებითა, ზეცისა და ქუეყანისათა, კორციელთა და უკორცთა, სათნო უოფილთა, და კვალად სათნო უოფადთა ჭთისა, ამა უოველთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შეამდგომლობითა, ესე აუარებელი და დღეთა ჩვენთა სიკუდილამდის საბოლოოდ გასთავებელი, მტკიცე, უტუყარი ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან უუაჟუ და ჩემმან ძმამან ქერქიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ ნაუნაურელი და კოირული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქვენდა უკითხვად ადარც გაგვიდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ, და არც თქვენი ბეგარა და სარგო, რომელიცა ემართოს, და ჩვენ, რომელიც არ დავხარჯოთ, ის მოგიშალოთ, და დაგიჭიროთ კიდევ. როდისაც მობრძანდეთ, როგორათაც სხვას ძველს კათალიკოზებს ემსახურებინოს და ეხმაროს, თქვენც ისრე გამსახუროთ და გერგებოდეს. ამისდა თავდებად და გასთავებლად მოგვიცემია თავად ჭთი და უოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი, და ქუეყანისანი, კორციელნი და უკორცონი. და ¹⁾ ამაზე მოწერილის მადლმან ჩვენ კელიცა გულის მართლით ჩაგვიერთავს ასრე რომე ა (დანარჩენი ხელის-მოწერა აკლია).

12. წერილი, 43×17 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქზე ნუსხა მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია ორორი წერტილი. წერილი დროთა ვითარებით ცოტა დაზიანებულია, უფრო მეტად თავში და ბოლოში. ქორონიკონი არასჩანს, მაგრამ წერილი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს დაწერილი 1650—1658 წლებში, ვინაიდან აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ, რომლისადმი მართა მონაზონს ეს საყურადღებო წერილი მიუწერია, უნდა იყოს, ჩვენის აზრით, გრიგოლ პირველი, რომელიც დაახლოვებით ამ წლებში კათალიკოსობდა. ამავე წერილ-

1) ამ სიტყვიდან იწყება თვით შარვაშიძის ხელი.

ში მოხსენებული კათალიკოსი მაქსიმე უნდა იყოს აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, გრიგოლ პირველის მოადგილე. შეიძლება ეს მაქსიმე იყოს ის, რომელიც, ტიმოთე გაბაშვილის აზრით, ყოფილა იერუსალიმში 1640 წლებში. (H. G. II, 2. 438, 440).

კანონი გრძელს.

1650—1558. ...დარწმობილი, ცოდვითა ჩემთა მიერ მოვლი-
ნებული, ამ . . . საქართველოს ამბის დანატრებული, მარამ დე-
დოფალს აქეთ სისხლის [ნთხევ]ით ამ დიდს დავითის ქალაქს და
წმიდას იერუსალიმს მავალი, ცოდვისაგან დახშულის ჰირით მაგათის
ტახტისა, და დოფალთისა, და უფროსად ამ წმიდად იერუსალიმად
მოვლინებისათვის მხურვალედ რუღუნებით ცრემლით მტირალი, წმი-
და საფლავსა და სისხლ-მეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი,
საბრძოლო, ხელის დებადცა უღირსი, მონა უფლისა და ერდგულად
მადიდებელი მაგათი, მონაზონი მართა ვკადრებთ აიე კირ ჰროტო-
სინგელო, უფალსა და მეუფესა ჩვენსა, ზეტის კაცსა და ქვენიერსა
ანგელოზსა, სავანესა და ჰალატსა წმიდისა სულისასა, თვით ბრძენ-
სა, თვით ვრცელსა, თვით ფილანთოფოსსა, რიტორსა და გამომე-
ტეუელსა, მსმენელსა და მსწრაფლ მიმგესა მსჯულსა და მართლ-
მსჯულ მწემს-მთავრად განხინებულსა, უზესთაეს და აღმატებულს,
ხარისხზედ ხელ განხერობ ეოგელთათვის უშურველად მკურნალსა, და
ჯვარის მსახველსა, წმიდათ წინასწარმეტყველთა ნაქადაგვესა და გრი-
გოლის და იოვანეს მღთის მეთქისაგან გამომეტყველებულსა, და მათ
სახელ დებულსა, და მათგან ჰატრიაქადვე კურთხეულსა,—და აწ მრავალი
რადა თავი მოვაწყინო: ბატონს მრავალი შიშით და მოძიწებით(SIC)
თაყვანის ცემა, მაზარის კალთას განკრძალვით შემთხვევნა და, თუ
მაგათი მოლოდინი სული მედგას, მორეს წელიწადს კიდევ მაგათის
მშვიდობის გაკონების ნატრა მიკადრებია. რასთვის ასრე იქმნენ?
ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყანასა? თუ ამის-
თანა კათალიკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი ურჩ იქმნების მა-
გათის ბრძანებისათვის? რასთვის კრებას არ იქმენ ეფისკოპოზნი?
რომ ქრისტიანს მოუჭირონ, ხომ უველა დამონდების? ვისი შიში

აქუთ უფროს უფლისა? ასრე არ მობსენებს სადთო? „კეთილ არს მოსავ უოფა უფლისაო, ვიდრე კაცისაო, კდ ხოლო შიშისაკან თქვე-
ნისა არ გვეშინოდისო“. დავით მამა უფლისა ამას არ მოგახსე-
ნებს? „უკეთუ დავიფიწყო შენ იერუსალიმ, დავიფიწვენ მარჯვენეტა ჩე-
მიო“. აქ არ მობრძანდით, მაგრამ უნებლიად ერთს წამეს არ მოვლენ
უოველი სული, მაგათი თავის ჭირიშე, აქ სიონს არ ეგულები მ-
სლად ბევრეულთა გუნდითურთ უფალსა? ამისთანა რა გასაჭირი არის,
რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ ს-
ქონელი და სიმდიდრე ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეტა.
აქაური ამბავი ამ ჩემსა შვილმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირდება
არის მაგისთანა, რომ მონასტერი ასრე დაკარგეთ? ბატონი კათალი-
კოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუბელ არს მისი სახე-
ლი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდა ჩვენი კაცი, რომ
მონასტრები, საქართველო ამთ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უნ-
გარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების! ამანათი არის,
ხვალ ზეით ჰატონები მოვლენ და ეშურებიან. ბერები გამოგზავ-
ნეთ, თავი თქვენ ბრძანდები, გამოიდეგ ჰირად ამ ცხოლს-მეოფელის
საფლავისა და ჯვარის სიუვარული. ახლა ჩემი სვიმონ—ოსტატე და
ბრძენი შეიქნა, აქაური ანბავი დიად კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი
ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოინდინა საქმე, თუ
დმერთი წარუმართებს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა
ვარო და მონასტრეს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძან-
დებისო, იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოფო, მე წინ მოუძღვებიო.
და ახლა ცოტა ნამუსი დაიდგეს. ნუ იქო, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის
სახლს, უოველი სული ამისთვის კდების, რომ აქ ერთის ტრანზის
დასადები ადგილი იშონოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ!
ეს წმიდა ადგილი სრულიად ქართველის უოფილა, და ესლა ლ[ამის]
რომ სულა გამოვრდეთ: წმიდას საფლავზედ ფრანგნი ჟამს სწირავს.
ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის
ბატონების ზიარეთი და სალოცავი იუოსო, არა კადროთ რამეო“.
ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ
გამოგზავნოთ სტამბოლს რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს,
რომ ჰატონისანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს:

ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს. ბეთლეში ფრანგმა აი-
ლო, მაგრამ მაკათი შიში და მოლოდინი აქუს, და ჩვენი სამწირველ
ისრევ მორთული არის, თუ არ მოხვალთ, დაქტევენ. საბრალო ჰატ-
რიაქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამო-
გზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგცემსთ. უსაღილოთ გოლგოთასაც
და გესამნიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერ-
ძი გო[ლ]გოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჯვარ-
რის მამა გა[ი]ჩინეთ, რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გა-
მოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახლა საქმე. უსათუოდ შავის ზღვით
გამოგზავნეთ კაცი და სახატრიაქშიდ სტანბოლს მოვიდეს, და იქი-
დამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუ-
სოლიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უუურებთ, თავისის¹⁾ ფე-
ხით იარეთ და ვინც ბატონები იყოს, ან გურიას, ან ოღიშ, ან იმე-
რეთ და ქართლით, პირობა დასდევით და ამ გვარად კრება და ვე-
ზირობა ქებით. თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასდა სჯული და
ან რასდა პირჯვრის წერა გექნებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მან-
დაური შიში უფროსი მოსდის. მოგვეხმარებით, თავს აღარ იქნა,
თხუთმეტი წელი არის ჰატრიაქი ა[რ] მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ
ხვანთქარის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსოლიმი გაგიცემია-
თქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი, რაც ქართველის არის,
უველა გაგიცემიათქო, ან დაგვათათრე, ან დაგ[ვ]ხოცე, და ან სჯულ-
სა და სალოცავს ნუ წაგვართვამთქო, თვარა არ იქნება.. თვარა...

....[კა]თალიკოზის მეოხებაჲ ვაი რომ...

....[სა]ტუძველი აიშენეთ, ტაროსი არის, ეცადეთ...

....[სა]ქციელი ზოგი ნუ გვარს აგრე უქნია...

....არ უნდათ თქვენ აქური ანბავი.

(აქ უზის მრგვალი ბეჭედი. წარწერა არ განირჩევა).

განის აშ:ასე სწერია:

მაგრამ მ[ავას] ნუ იქთ, ქართველნი კიდურნი არიან, რაც ამ
მონასტრის მამულები არის, თქვენ ნახეთ და გა[ჩინეთ]...

1) დედანში სწერია დავისის.

13. ფიცის წიგნი, 26,5×15,5 სანტიმეტრი. დაწერილია ქალღმერთ ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებით ნახმარია ზოგჯერ ორორი და ზოგჯერ სამ-სამი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც ფიცის პირი მიცემულია აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძისათვის, რომელიც დაახლოვებით კათალიკოსათ იყო 1661—1680 წლებში, ამისათვის ეს წერილი ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს.

1661—1680. ქ. დაუსაბამოს დამბადებელისა ღაისთა, მამისა, ძისა [და] სულისა წმიდისათა და უფელთა მისთა წმიდათა თავდებობითა, მინდობითა და შუა მდგომლობითა ესე საბოლოოდ გასთავებელი ფიცი, ზარი და წიგნი მოგართვით თქვენ კანს ბატონს დავითს ჩვენ ჭაიანმან დეისმამ ასრე და ამა ზიხსა ზედან, რამე თქვენსა და ჩვენს შუა სსსმდურავო საქმე ჩამოვარდა, და გვიწერებოდით, და მოვედით ხორგას სსსსლეშიდ და შემოგებეწეთ გარიგების საქმეზედ, და სსსმდის თქვენის მამულის საბუხარგო არ გამოგვართვი, მანამდის არ შეგვირიგეთ. აწე ეს ზირობა მოგვისსენებია; დღეს ამას იქით ჩვენგან ამ ხორგას რომელიც თქვენი უმა იუოს, ან აზნურის შვიდი, ან მსახურისა, ან გლეხი ძალად და უსამართლოდ ჩვენგან და ჩვენის შვილისგან, და ჩვენის მორჩილის უმისგან, არა წაერთმეოდეს რა, თუ რამე სათხოვარი და გარდასახადი მოვიდეს, ან დადიანის, ან დედოფლის, ან ღიპარტიანის, ან სხვა რამე სათემო საქმე მოხდეს, თუ ბრძანდებოდეთ, თქვენ დაკითხოთ, თვარემ თქვენი მოხელე არ დავიხვედრო, ისრე არა ვსთხოვო რა, თუ, ვინ იცის, და ნაქურდალი რამე გამოჩნდეს, ან თქვენ არ დაკითხოთ, თუ ახლო სადმე ბრძანდებოდეთ, ან თქვენს მაგიერს უმას, და მოხელეს არ ვაცოდინო, ისრე არა ვისაქმო რა, და არა გადავადდევი რა, და გარდასახადი სათქვენო თქვენთვის დავსდვა. თუ აქ ნავი მოვიდეს, გულის მართლით რომელიც თქვენი ბაჟა უოთილიუოს, არც ის დაგაკლოთ და რომელიც წესი უოთილიუოს, ნავიცა ისიცა მოვაბაროთ თქვენს მოხელეს, ამ ხორგის ქვეყნას თქვენს უმაში არა გასვალი, არა გამოსვალი, არა სათხოვარი მაგისტანა, თუ რამე მოხდეს, ცუდს სათხოვრის ჩამოისად არა გარდასახადი თქვენის მოხელეს უკითხავად, ან ჩვენის ნებით არა ვისაქმოთ რა, და გასა-

თავებლად თავდებლად მოგვიტემა თავად ღთი და უოველნი მისნი წმი-
დანი, ზეცისანი, ქვეყნისანი, კორციელნი და უხორცნი. არიან ამისი
შუამავალნი და მოწა]შენი თავს ცაიშეღი მაქსიმე, გენათელი გირ-
გოლი, ჯოლია ხახუ, ზებედე. ამა ზ[ემოთ] წერილთ მადღმან კე-
ლიცა გულისა მა[რთლითა] ჩაკვირთავს, რომ ამისი გამთავე ვიყო . . .
(ამის შემდეგ აკლია).

14. სიგელი, 44×18 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ ნუსხა
მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი. სი-
გელი სანახევროთ არის დატული. პირველ გვერდზე სხვა სიგელი
ყოფილა მოყვანილი წითლურის სათაურით და მშვენიერი მრგვა-
ლი მხედრულის ხელით, მაგრამ ამ სიგელისა მხოლოდ შესავალი
არის დარჩენილი, რომელიც ჩვენ არ მოგვეყავს აქ. ეს ქვემო
მოყვანილი სიგელი დატულია მეორე გვერდზედ. აქ მოხსენებუ-
ლი გიორგი გურიელი უნდა იყოს გიორგი III, დედოფალი თა-
მარი იყო მისი მეუღლე. პირველი ორი სიტყვა თარიღისა გა-
დასულა და ჩვენ დავუმატეთ გიორგი გურიელის მოხსენების
გამო. გიორგი გადაიცვალა 1684 წ.

1682. ...[შეს]ვლითა და გამოსავლითა, საქებრითა და [უქე-
ბრითა], რისცა შქანებელი იყოს, მისის უოველისფერით სამართლი-
ანის და მისის ეკლესიის სასაფლაოთ კართათ. ამისი საქმე ასრე
არის . . . ბიჟუჟია დეისმის ომზედ დაიკარგა და შაქარის ცხმა-
რის და . . . უგანა ცოლად და შაქარმან დაიხსნა, და მეჩმე ხარა-
ჯა ბაბადიშმან . . . ვიწყო ღამ კაცი, რადგან შენი დახსნილი არი-
სო . . . და ერთი მისი შვილით და მეჩმე ბიჟოჟი და . . .
შაქარმან რომ დამიხსნაო, ის ადგილი, მას უგან ვიეიდყო და . . .
და მისმან შვილმან დაუფიცა და მეჩმე ხუთმან ცხმაარიებმან დაი-
ფიცეს . . . ოსაღის და ამით ჩამოვიხსენით და მეორე მის . . .
ქოჩუას საქმე ასრე არის, რომ მეღვინე ბიჭი გუჟვანდა მაკარს . . .
ღთის მშობლის უმის შვილი და ბაბადიშმან ის გაკვივიდა და ქოჩუა
ამ ბიჟო-ჟუას შვილი იმაშიდ გამოფართოვით მაგიერად, უმაგიეროდ
არა გვაქვს რა. მას უამს ოდეს გურიელმან გიორგიმ იმერეთი დაი-
ჭირა და ოდიში და მის ბრძანებით და ნება დართულოვებით, და ბა-

ტონის დედოფლის თამარის ბრძანებით, შემოგწირეთ. აწე ვინცა და რამანცა ქემან კაცისამან, ანუ მეფემან, ანუ დადიანმან, ანუ გურიელმან, ანუ დიდმან და ან მცირემან თქვენ ამის . . . უოს, მასმც რისხავს დაჟად(sic) დაუსაბამო საშეებით . . . უღნი და უოველნი მისნი ანგეღოსნი.... (მერე ჩვეულებრივი წყევაა მოყვანილი).

[არის ამისი მოწამე] თავს ჩიჩუა ხახუ....

. . . საკათალიკოზო აზნაურის შვილი მსახური . . . და მოწამეცა [ვარ]. დაიწერა წიგნი ესე ქორთნიკონსა [ათას ექვს]ას ოთხმოც და ორსა.

ქ. ჩვენ ქრისტეს მიერ [კურთხევით] კურთხეულმან, ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან, ზატ[რონმან გრიგოლ შე]მოგწირეთ მცირე ესე და კნინი შესწირავი . . . ცათა უმაღლესსა და ქერაბინთა უწმინდესსა ბიჭვინტისა ღთის მშობელსა.

- 15.** ფიცის პირი, 27×15 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით, თითოეულს სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ აქ მოხსენებული კათალიკოსი გრიგოლი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, გრიგოლ მეორე, ვინაიდან მის მოწინავედ იხსენიება კათალიკოსი დავით ნემსაძე. ეს რომ პირველ გრიგოლს ეკუთვნოდეს, მაშინ დავით კათალიკოსი არ იქნებოდა ნახსენები, რადგანაც დავით გრიგოლ პირველის წინ არ ყოფილა კათალიკოსად. არ შეგვიძლია ეს ფიცის წიგნი მივაწეროთ აგრეთვე გრიგოლ მესამეს, რადგანაც დავით კათალიკოსს და გრიგოლ მესამეს შუა დიდი დროა და ამდენხანს დავა ვერ გასწევდა ჭილაძე და კათალიკოსს შორის. კათალიკოსი გრიგოლ მეორე ბროსეს აფხაზეთის კათალიკოსთა სიაში მოხსენებული არ არის, მაგრამ ჩვენ ამას კვემით ვბეჭდავთ თარიღიან წერილებს, რომლებშიაც ის იხსენიება (ნახ. № № 17, 18).

1680—1710. ...საბოლოო გასათავებელი წიგნი, ფიცი და პირი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჭილაძემან ჭკაინდელმან(sic) ბატონმა ზეტრემ თქვენ კათალიკოზს ბატონს გრიგოლს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე კათალიკოზს დავითს გლეხები მივხიდეთ და მას

აქეთ ჩვენსა და თქვენს შუა სადგომთ საქმე შეგვექნა, და აწე ბატონის გიორგი ჭილაძის ზირით ასრე გავრიგდით, რომ ხუცესი მჭედიძე(sic) ჩვენს სიტყვებშიდ საკუთრი დაგვანებეთ, რომ თქვენი ხელი არა გაქვან რა, და ამშილავას ბეგარა თევზს გარეთ, და ერთი დღის შველა ამშილავისა, და ერთი დღის შველა გელაზონისა, ჩვენს სიტყვებშიდ ასრე. და ზირობა მოგვიტემა, და ჩვენს უკან თქვენ გიბედნიეროს ჭთნ მჭედიძეც და ყველა და

აწე ამის მოწამე და გამრიგე არის თავად ბატონი ჭილაძე გიორგი და სულ მისი აზნაურიშვილები: აზნაგებუ კორძია, სენისა კორძია, ზაზუნა ლორთქიანიძე(sic), კანდალაკი ნიკოლოზ, დავით ნანაიშვილი, ლონია გურგულაშვილი. მე მდივანს ოთარს დამიწერია და მოწამეც ვარ ამის. ჩვენს უკან არც არავინ მოდავე მოგადგეს და არც არა ეთხოვებოდეს ვისგან. †

ქვემოთ სხვა ხელით წერია: ჭილაძე ზეტრემ.

- 16.** ფიცის წიგნი, 41,5×30,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქ-ზედ ნუსხა მხედრულის ხელით. თითოეულს სიტყვის შემდეგ უზის ორ-ორი წერტილი. წერილი დაზიანებულია, თავში და ბოლოში შეტად. თარიღი არა სჩანს. მაგამ ვინაიდგან ფიცის წიგნში იხსენიება ლიპარტიანი გიორგი და კათალიკოსი გრიგოლ, ფიცის წიგნი უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენის აზრით, გრიგოლ მეორის დროს, ანუ 1680—1710 წლებს.

1680 — 1710. ...[დაუსება]მოსა, დაუსრულებელისა, გარე შემოუწერელისა, არსად ყოველ[ლთა] . . . ან მომუყანებელისა, ჭთისა მამისა, ჭთისა ძ[ისა] შუა მდგომლობითა ყოვლად წმიდისა უხრ[წნელისა, უფროსად დიდებულისა დედოფლისა] ჩვენისა ჭთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა [მარიამისა] . . . [შუა] მდგომლობითა წმიდისა და ცხოველს-მოფთხელისა [ჟუარისათა, რომელსა ზედან] განი-ზერნა უხრწნელი მკლავნი თვისნი ქრისტ[ემან] . . . ჩვენთაჟის, თავდე-ბობითა მინდობითა და შუამდგომლობ[ითა ყოველ]თა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა შუამდგომ-

ღობითა უოველთა დედათა [და წმიდათა] . . . ღისა წინასწარმე-
 ტეველისა, წინა მობრუდისა და ნათლისმცემელისა [იოანესითა]. . . .
 ქალწულთ მახარებელისათა, თავდებობითა მინდობითა და შუა[მდგომ-
 ღობითა] წმიდათა ათორმეტთა თავთა მოციქულთა ჰეტრესი და ჰავ-
 ლესითა და წმიდათა [მღვდე]ლთ მოძღვართა, ბასილი დიდისათა,
 გრიგოლი ღთის მეტეველისათა, იო[ანე ო]ქროზირისათა, ათანასე და
 კვირიკესითა, და ნიკოლაოზ მირო ქალაქისა, საკვირველთ მოქმე-
 დისათა, და წმიდის მხნის მხედრისა, ახონისა, შვიდწილ უძლევე-
 ლისა დიდისა გიორგისითა, დიმიტრი-თევდორესითა, ამათ თავდე-
 ბობითა, მინდობითა, რანიცა წმინდანი ღთისანი დიდსა [მას საუ]ფ-
 ღლსა სვინაქსარსა შიგან სწერია და ან მოხსენებობან, ამათ დღითი
 დღე, ამათ [უოველთა] წმიდათა ღთისათა, თავდებობითა, მინდობითა
 და შუამდგომლობითა, ესე აუარებელთ, მტკიცე შეუცვალებელი,
 უტუჟარი, უჩხუბარი, სიტყვით სრულ-ქმნილი და [დღ]ეთა ჩვენთა
 სიკუდილამდის გასათავებელი ფიცი, ჰირი, და საფიცარის წიგნი
 გ[იბოძეთ] ჩვენ ღიპარტიანმან ბატონმან გიორგიმ და ე[რისთავ-
 მან] ბატონმან შოშიტამან და წულუკიძემ გიორგიმ¹⁾, და მიქე-
 ლაძემ გიორგიმ, და მიქელაძემ ჰატამ და ჰაქარმან, [და ჭილაძემ] გი-
 ორგიმ, და ჩიჯავაძემ ვახუშტიმ, და ჰატამ, და სახლის უხუცესმან
 ჩხეიძემ გ[იორგიმ], აბაშიძემ გიორგიმ, ბოქაულთ უხუცესმან მამუ-
 კამან და იაშვილმან ქაიხოსრომ და ბაკამ [ჯანიმან?] . . და და მხე-
 იძემ ქაიხოსრომ და გიორგიმ, და ფირან და წერეთელმან ქველ-
 მან და ჰაჰუნამ, და სხვამ მისმან ძმებმან, მოურავმან ოტამ და ვახ-
 ტაგ(sic) და ღორთქ[იფანიძემ] ქაიხოსრომ და ხახუტამ, და ნიჟარა-
 ძემან გიორგიმ, ბასილ, მამუკამ და თ[ავად] ჩხეიძემ მთავარეპისკო-
 პოსმან და მისმან ძმამ ხოსიამ და მისმან ძმისუღმან ჰატამ, ქვარციანმან
 გიორგიმ, თქვენ ჩრდილღლსა და აფხაზეთისა ჭაზს ბატონს გრიგოლს
 და ქუთათელს ე[ვდემონს] და გენათელს ნიკოლაოზს ასრე და ამა
 ჰირსა ზედან, რომე იბერეთს თათრ[ებისგან] დიად ძალი დამარ-
 თებოდათ და ქრისტიანობა მოუძღურებულაიუო მერმე [მო]გვადე-
 ქით კარსა და ერთობით საფიცარი მოგართვით ჩვენ, რომ დღეს

1) ეს სამი სიტყვა ხაზს ზემოთ სწერია.

შემდგომათ იმერეთის წასახდენად და ასახსრებელად ჩვენ თათარს არც ჰირ[ი] მივსცეთ და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქარით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინაძღვროთ, და არც არა მათი ვიწამოთ რა. ამ იმერეთის წახდენის საქმეზე და კიდევ ამ ციხის აღება და წახდენა მართლის გულით მოვიჭიროთ, და არ უსუსტოთ ციხის აღების საქმე. თუ ამაშიდ ვინმე ვიმტეუვნოთ, ჯერ რაც იმ ციხით საცოდავი ქნილა და ან აწ ამას იქით იქნება, ისიმცა მას მეორე მოსვლამსაცა ჩვენსამც სულსა ეკითხვის, და მერმე თქვენის ბიჭვინტისა ჭთის-მშობლისაგან, და თქვენის ჯვარხატისაგან, ამ სოფელს დღის სიმოკლისათვის გვეკითხვის, და მას საიქიოს ჩვენსამც სულს წაწუმედით ეკითხოს. ამისა[დ გასათავებლად] მომიტემათ თავად ჭთი და ყოველნი მისნი წმიდანნი, [ზეციისანი და ქვეუანისანი], კორციელნი და უხორცონი, ამაზედ მოწერილნი მადლნი [და სრულად ჩემი კრებულნი?] ამის ჰირობის [გამთავებელი ვართ]. † †

17. ხელწერილი, 26×16,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქზე მრგვალი მხედრულის ხელით. აქ მოხსენებული გრიგოლ კათალიკოსი არის მეორე გრიგოლი, რომელიც ბროსეს აფხაზეთის კათალიკოსთა სიაში მოხსენებული არა ჰყავს და რომელიც, როგორც სჩანს, ყოფილა კათალიკოსათ დავით ნემსაძის შემდეგ 1680—1710 წლებში. ამას ქვემოთ იბეჭდება მეორე საბუთი, რომლის თარიღი ამავე გრიგოლს უჩვენებს 1709 წელს. აქედგან კათალიკოსობა გრიგოლ მეორისა უტყუარად მტკიცდება 1701—1709 წლების განმავლობაში მაინც. ჩვენს ხელწერილში მოხსენებული გიორგი ლიპარტიანი არის კაცია ჩიქვანის შვილი (H. G. II, 1, p. 648; II, 2, p. 439, 440).

1701. ქ. ჰირველ ჭთისა და ყოველთა მისთა წმიდათა თავდებობითა ესე კელით წერილი მოგართვით თქვენ ბატონს ჯოჯო გრიგოლს მე ღიპარტიანმა გიორგიმ ასე რომ, დიდი საცოდავი საქმე მომიხდა და თქვენ საკანონოდ ტუვის უიღვის გარდაგება გვიბძანეთ, აწე თუ გურიელი და ჩვენ გავერთდით და გავრიგდით, მასუკან ტუვის უიღვა გარდავადო, და სხვა რომელიც შემუქდოს, რომელიც ან თქვენ, ან ჩემს მოძღვარმა და ან ბატონმა გენათელმა გვიბ-

ძანოს, ის ვქნათ, თვარამ თქვენ უბრალო და უკანონო ბრძანდებოდეთ. ამისად თავდებად მოგვიცემია თავად ჭთი და ყოველნი მისნი წმიდანი, უხორცონი და კორციელები. არის ამისი მოწამე თავად ბატონი გენათელი ნიკოლოზი, ჩაისეული დოდბერიძე სვიმონ, პატრიარქის ვეჭილი ჰაპა ლავრენტი. ქორონიკონსა აღამს აქეთ შვიდი ათას ორას და ცხრასა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ერთსა. †

18. ფიცის წიგნი, 19×14,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქზე ნუსხურ მხედრულის ხელით. თითოეულ სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. ქორონიკონი წიგნისა უდრის 1709 წ. ხოლო ამ წელში აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი, როგორც მოვიხსენიეთ ზემოთ, ცნობილი არ ყოფილა. ეს გრიგოლ არის გრიგოლ მეორე.

1709. მაისის 7. ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრისათა ესე ფიცი, ჰირი და წიგნი მოგართვით თქვენ ჳჳს გრიგოლს ჩვენ ჩიჩუა კაციამ და ჩემა ძმამ გიორგიმ, ასე რომე ჩვენის კაცების სჯა იყო ერთმანეთში, და რითაც საქმით იყო, გავრიგდით. აწე ჩვენ ეს ფიცი მოგვიხსენებია: თუ საჩიჩუო კაცმა ან საკათალიკოსო კაცსა და ან სახობოს ჰირ მიღმა აწეუნიოს რამე, ან მიხდომით, ან დაჭრით და სიკუდილით, ან წართმევითა და გალახვით, სამართალი რაც გაჩნდეს, იმაზე ორი ზომა გარდავანდევიანო. ნაქურდალი თუ გამოჩნდეს, ხუთოულად შივაცემინოთ. შინაკულევი თუ ვერ გაუკვლიო, კაციც დავაფიცოთ, და მთავნიც გარდავანთევიანოთ, არც ჩემს მამულში, თუ შესარიგებელი არ იუოს, თქუენი კაცი დავაუენო გოთაულ[ს]. ამისი გასათაუბელად მოგვიცემია ჭთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, კორციელი და უკორცონი, და მეომე ბატონი ბიჭვინტისა ჭთის-მშობელი. არის ამისი მოწამე ბატონის მაგიერი კაცი ხუჭ(უ?), ჯაიანი იესე, მოგული ჩიჩუა, ლომკაცი ნორაკია, მამაგული აღანია. მე მდივანს ლევანს დამიწერია და მოწამეტა ვარ. დაიწერა ესე წიგნი მაისს შვიდს, ქჳს ცჳზ.

19. ფიცის წიგნი, 42×12 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხურის მხედრულის ხელით. თითოეულ სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არა აქვს, მაგრამ ფიცის წიგნი იხსენიებს მეფე გიორგის, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა იყოს იმერეთის მეფე გიორგი VI, რომელიც გამეფდა 1707 წელს და მეფობდა 1711 წლამდის, ხოლო ამას შემდეგ 1721 წლამდის სამჯერ დაკარგა ტახტი და სამჯერვე ხელმეორედ დაიბრუნა. აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი, ამ ფიცის წიგნში მოხსენებული, უნდა იყოს მეორე გრიგოლი, რომელიც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დავით ნემსაძის შემდეგ უნდა ყოფილიყო აფხაზეთის კათალიკოსად 1680—1710 წ. მაშასადამე ფიცის წერილი უნდა იყოს დაწერილი გიორგი VI და კათალიკოსის გრიგოლ მეორის დროს, ესე იგი 1707—1710 წლებში.

1707—1710. ქ. ბძანებითა მღთისათა ესე სამუხაგო ფიცი, წიგნი და პირი მოგართვით თქვენ კოზს ბატონს გრიგოლს ჩვენ: ხ: ბიჭვიტისა მღთისმშობლის ყმაჲ ბურჯანაძენმა, სეხნასა და თანას შვილებმა, გიორგის შვილებმა, ჩარკვიანის შვილებმა, ნახუცვარას შვილებმა, სხვა სულა ერთობლიმა ბურჯანაძენმა, ასე რომე დღემდე სიბრძევეთ და უცოდინარობით ბევრს ავს უმართებულსა და საკანონოს საქმესშიდ ვერეოდით, მობძანდით თავათ თქვენ ქუთათელი ბატონი ევდემონ, გენათელი ბატონი ნიკოზ, ჯერ კიდევ გაცვიწყერით, მერმეთ კიდევ შეგვიწუნარეთ, დღეის ამას იქეთელი: ბ: პირობის მოცემა გვიბძანეთ, აწ ეს პირობა მოგვიერთმოვია ყველას ერთობილს ბურჯანაძენს: არც ტყვის გაყიდვას და შვამავლობასშიდ გვევრიოთ, არც მოპარული მტევკ დევიჭიროთ და ვამთხრობლოთ, არც ჩვენ ერთმანეთის გაცემასშიდ, ქურდობასშიდ, მთხრობლობასშიდ გვევრიოთ. თუ ამასშიდ გავიმტყუნდეთ, თავად ბატონმა მეფე გიორგი მისდა დალატათ და შეცოდებათ გვეითხოს, თქვენ თქვენის კატისა და ჯვარის უარის ყოფად გვეითხეთ. ამისდა გათავების თავდებათ მოგვიერთმოვია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი, კაცთაგან არის ამის მოწამე თავს სახლთ უხუცესი ჩხეიძე გიორგი, სულათ თქვენი კრებულნი, წინამძღვარნი, მღღელმონაზონნი, მთავარ დიაკონნი და ერთობით კარის მოხელენი. ამ ქვეენის უმფროსი კაცი: ჰანინას-შვილი იოთამ და ჰატა. † † † † † † †

20. წერილი, 29×11 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხური მხედრულის ხელით. აქ მოხსენებული დადიანის შვილი გრიგოლი უნდა იყოს კაცია II შვილი; წერილი დაწერილია კაციას სიცოცხლეში, როგორც ეტყობა, ხოლო კაცია გადაიცვალა 1788 წ. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1732—1788 წლებში.

1732—1788. ქ. ესე წიგნი მოგართვი ჩვენ ჯორჯიკიებმა თქვენ ბატონს კათალიკოსს: თუ რაც შენ ჰირობა მოგართვით, ეს გაუტეხთ შენი ბიჭვინტისა მღთის-მშობლის გამტეხი ვუოფილვართ, და თქვენი დადიანის მოლაღატე, მისი გრიგოლის მკლელი, არის ამის მოწამე სიონის დეკანოზი იასე, დადიანის მაგიორი გეგეჭკორი გაბუ, ხობის კანდელაკი ბასილ ბერიძე, მაქსიმე ერისთვის შვილი ჰაჰუნა. მე ამათ უოველთა დამამტეკიცებულმა ჯოზმა დავსწერე და მოწამეცა ვარ ამისი. ++

21. ფიცის წიგნი, 24×12 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა-მხედრულის ხელით, ნიშნებათ ნახმარია თითო წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. თარიღი არა აქვს, მაგრამ აფხაზეთის კათალიკოსი ბესარიონი კათალიკოსობდა, რამდენათაც ცნობილია, 1756—1761 წლებში და ამიტომაც ჩვენი ფიცის წიგნი აქ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

1756—1761. ქ. თქვენ ზეშთა აღმატებულსა წმინდასა და უოვლად სანატრელს აფხაზეთის ჯოზს ბატონს ბესარიონს ესე სწორებით დასამტეკიცარი წიგნი, ჰირი და საფიცარი მოგართვით ჩვენ, თქვენის სიმღლის მსასოებელმან და საფარველთა თქვენთა შამოვედრებულმან გვაღიამ გიორგიმ ამა ჰირსა ზედან, რომე ჩვენის უმეტრებით ღთის შეცოდებასა და თქვენს ურჩებას ქვეშ ვიუავით, და ჩვენს სახლშიდ მისანი ურია გეუავდა და ჯერისაებრ გვიწინეთ და დაგვითხოვეთ, რომ ეს უმეტრული უწესო საქმე ჩვენგან ჩვენს სახლშიდ აღარ იქნეს. დღემდის დანაშაური რადგან მოწყალება ქებით და ღმერთს ახატოვეთ და შეგვიწინარეთ, დღეს ამის იქეთ ან ის ურია ვინდომოთ და ჩვენს სახლშიდ დავაუენოთ, ან მისანი შევიწინაროთ.

ან სადაც შეგვეძლოს და ჩვენი რამ გვეიდეც, ჩვენს ქვეყანაშიდ დაფა-
ხელოთ მე და ჩემა შვილებმა ის ურია, თუ სხვა მისანი, და არ და-
ვიჭიროთ, და თქვენის რჯულის კანონით არ გვეიკითხოთ, შენგან
შეჩვენებული ვიყოთ. ბრძანება-ჯერ-ჩინებითა ბატონის ჩვენი ჩინუას
ხახუსა და ჯაიანის გიორგისათა მოგართვით წიგნი ესე მე და ჩემა
შვილებმა. თუ ამაში გაგიმტუნდეთ, ნურც სიკვდილის დღეს და
ნურც, თუ ვიცოდებლოთ, ნუდარ შეგვიწყნარებთ. +

22. წყალობის წერილი დაწერილია ერთ თაბახ ქალაღზე გაკრუ-
ლი ნუსხა მხედრულის ხელით.

1838, აპრილის 20. ჩუღჭ-სა წელსა, აპრილის კ-სა დღესა,
წყალობითა ჭთისათა მფლობელი მენგრელიისა ღენერალ-ლეიტენანტი,
სხვათა და სხვათა ორდენტა კავალეროსანი, მთავარი ლეონ გრიგოლის
ძე დადიანი, და თანა ერთხორცი ჩემი მთავრინა მენგრელიისა და კა-
ვალერი მართა, ზურაბის ასული, და შემკვიდრე ძე ჩვენი ლეიბ
კვარდიის შთაბ-კაპიტანი და კავალერი დავით ლეონის ძე, ხოლო
ძენი ჩვენნი, გრიგოლ და კოსტანტინე, ამა წყალობის წერილს გი-
ბოძებთ თქვენ ჩვენს სამფლობელო საეკლესიო სოფელს ონტოფუს
მცხოვრებელ ადრითგანკე ჩვენს სახასო უმასა თამაზია კუხადაშვილს
და შვილთა შენთა სიმონიკას და მიხაიას და მათთა შვილთა და მო-
მავალთა, მას შინა რომელ მამა-მამანი თქვენნი კინჩხას სოფელს
ცხოვრებულან და ჩვენი სახასო უმა და მეჯინიბე ყოფილხართ, და
რომელისაშე მიზეზით კინჩხილამ აყრილან, წამოსულან და სუჯუნას
წმიდის გიორგის ეკლესიას მინდობით და, უამთა ვითარებისა გამო,
მიმინოშვილს ნადარეიშვილისათვის მიუციხართ; გარნა მე ძიება ვეავ
ჩემის სახასო თქვენ ჩვენის უმისა და მეჯინიბისა და გიპოვეთ ნადა-
რეიშვილის ხელში და რადგან ადრევე ჩვენი სახასო უმა იყავით,
ჩვენს საკუთარ საკუთვნელად სახასო უმად დაკავეთ და ნადარეიშვილს
ჩამოვართვი თქვენი თავი თქვენის ქონებულის საცხოვრებელითურთ
საშვილის შვილოთ, და ამ წყალობას გიყოთ: ამიერთგან თქვენ თქვე-
ნი შვილი და შვილის შვილნი და შთამომავლობა არც ნადარეიშვილს

საუზოდ მიეცემით და არცა სხვათა ჰირთა ზედსა საუზოდ არ გაციტეთ არას დროს, და ამიერიტგან ჩვენს სახსრო უმად ირიტებოდეთ საშვილის შვილოდ, და გვმსახურებდეთ ჩვენ, ვითარცა მამა-მამანი თქვენნი მსახურებდნენ წინაჰართა ჩვენთა, რომლისა დასამტკიცებლად ვაწერ საკუთრითა ხელითა ჩემითა და აღვსტვიფრავ სამთავრომთა დერბითა ჩემითა. *П. Дадіанъ. ლეონ დადიანი.* (ზედ არის ლერბი სამეგრელოსი).

23. წერილი დაწერილია ნახევარ თაბახ ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. წერილი ეკუთვნის ლევან მეხუთის დადიანის დროს († 1848).

XIX საუკ. ქ. ვსწერ წერილსა ამას მე თავადი ჩარკვიანი დავით. ინება ასულმა ჩემა ნინომ მონაზნობა და ცაკერის მხთის მშობლის წინაშე მდგომარობა. მომიტემა სისოკია მეშველიანი, მისი ძმა გიტაღა, მისი შვილი ივანია, გლახუა, ნიკთა, ბესიღა თავისი ბეკრით, ადგილითა და მამულით, რაც მართებდეს უოვლის ფრიანთ, ამაჩი(sic) მოღვევე არაჲინ მოტადგეს არც მე და არც ჩემი მეტვარე, არც ძმა და არც ჩემი მეზატრონე, არც ჩემი ძე და მომავალი. აწ არის ამის მოწამე თავათ ღმერთი, უოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან არის ამისი მოწამე თავადი ჩიქვანი სიმონ, თავადი ჩიქვანი რევაზ, თავადი ჩიქვანი მანუჩარ, ჩარკვიანი გიგოღია. აწ რამაც ძემან კაცმან ეს ჩემგან მოცემული წიგნი შეგიშაღოს, ისეც შეიშლება რჯულია ქრისტიანობისაგან, მასაც მიეცემის სიშტილი(sic) იუღასი, ძრწოღა კეენისი, მატღი უძიღი, ცეცხლი უშრეტი, სატანასთაც დემეკვდრების მაგის სული და ხორცი. ვსწერ ხელითა ჩემითა თავადი ჩარკვიანი დავით.

ვამტკიცებ წერილსა ამას ღენერაღ ლეიტენანტი, სხვათა და სხვათა ორღენტა კავალერი, მოღლობელი მეზგრელიისა და მთავარი *П. адіанъ. ლეონ დადიანი.*

24. ეს ნუსხა სიგელთა და გუჯართა, ვგონებ მოწამეთის მონასტრისა, დაწერილია ნახევარ თაბახ ქალღმრთელზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ეტყობა რამოდენიმე ფურცელი ყოფილა წინეთ, მაგრამ ჩვენამდის მარტო ნახევარ თაბახს მოუღწევია. ნუსხა შედგენილი უნდა იყოს მე-XIX საუკუნის დამდეგს.

XIX საუკ. ... შეწირული და ამ სხოლიოზე მარჯვნივ არის ათს ადგილს სიგრძეზე, თუ განზე ჩამოწერილი ხუცურათვე, გარნა სხუა და სხუა ხელით; და ერთს იმათგანზე კელჩართულად მოწერილი არის მხედრულის ასოებით (მეფე სვიმონ), და სხუას არც ბეჭედი აზის და არც კელ-მოწერა, და მარცხნის მხრის სხოლიოზე ბოლოდგან არის ორს ადგილს ხუცურად მოწერილი სხუა და სხუა კელით და დასასრულეებზე ერთს ადგილს ბეჭედი აზის მეფის გიორგის და მეორეს ადგილს ბეჭედიც აზის მისვე მეფისა და კელჩართულად მოწერილიც არის (დედოფალი თამარ), და იქვე ერთი ხელგასმულიც არის ჭურის სახედ, და შესამეს ადგილს კიდევ ზევიდგან მხედრულის ხელით ჩამოწერილი არის კათალიკოზის დაუთისგან სხუა და სხუა გლეხების მოსუიდვისა და მისვე ეკლესიისადმი შეწირულობისა. ამას არც ბეჭედი აზის და არც ხელმოწერილი არის.

ამავე გუჯრის უკანა ჰირზე თავიდგან ბოლომდის დაწერილი არის ხუცურათ და წითლუფითაცა, გარნა სხუა და სხუა კელით და აგრევე სხოლიოებზედაცა, რომელიმე ხუცურათ და სხუა ხელით და რომელიმე მხედრულათაცა, მისვე ეკლესიისადმი სხუა და სხუა უმის და მამულის შეწირვისა. სხუა და სხუა მეფეთა და კათალიკოზთა და მთავართაგან შეწირული, აზის ბეჭედი ერთი დიდი კათალიკოზისა დაუთისა და სიძველის გამო მქრალი არის და მეორე ბეჭედი სხოლიოზე . . .

. . . დაწერილი იყო გარნა სხუა კელით, და სულ უკანასკნელს ერთი ასოც აკლია თავს, ესე იგი (კანი). ხ სხენებულისა მის მეფის ბაგრატის წიგნიცა დასრულდება აქა, არცა არს მისგან კელმოწერილი და არცა არის ბეჭედი მისი ამას ზე; და ვითარ ესე მე ვჭკონებ

არის ზირქტლის ნამდვილისაგან გარდაწერილი¹⁾ და არა ზირქტლი ნამდვილი: ეს ქუჩა ამისა არის ხუცურათვე დაწერილი ხუთი სტრიქონი, გარნა სხვა ხელით, რელიც აცხადებს კათოლიკოსის დავითისადმი დადიანის ლეონისგან ერთის გლეხის წუაპუტია ჭეყას ბოძებასა და [ნივ]თების ეკლესიისადმი შეწირვას, და აქ არის მეხუთე ქალაქი გარდაკრებული ტუავისავე და ხუცურათ ნაწერი წითლუღითავე, გარნა სხვა ხელით და სხვა დროს დაწერილი, რელიც კათალიკოზთ ევდემონს და ეფთვიმეს შეუძენიათ მისივე ეკლესიისათვის საეკლესიო და სამღვდელმთავრო სამკაულნი სხვა და სხვანი მრავალნი, სკირფისის ნივთები და ეგრეთუჭ ზირუტუჭ ფოგები. ამ წინის წინა ზირი აქ დასრულდა. და ამ წინა ზირის სხოლიოზე ორისავე მხრით მოწერილი არის სხვა და სხვათა მეფებთა(sir), კათალიკოზთა, მთავართა და თავადთაგან სხვა და სხვა უმათა და მამულთა მისვე ეკლესიისადმი . . .

სიგარძეხე სიას გარდიგარდმო აწერია: „მოწამეთის და ეკვდრის მაცხოვრისა“.

25. ნასყიდობის წიგნები, 231 X 18 სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ, რომელიც შესდგება ექვსი სხვა-და-სხვა ერთმანეთზე მიკერებულის ნაჭრისაგან. ყველა ამ ნაჭრებზე სულ 26 ნასყიდობის წიგნია მოთავსებული. ხელი ყველასი ერთგვარია, მრგვალი მხედრული, ხოლო ერთი ნასყიდობის წიგნი დაწერილია ნუსხა-ხუცურის ხელით, და სამი სხვა-და-სხვა ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. თარიღი არც ერთს არა აქვს, მაგრამ წერის ხასიათით ეს ნასყიდობის წიგნები უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. საჭიროთ არა ვრაცხთ ყველა წერილები მოვიყვანოთ აქ. ნიმუშათ მოგვყავს მარტო ერთი, მით უმეტეს, რომ მყიდველი ყოველთვის ერთი და იგივე პირია; ხოლო გამყიდველნი ადგილებისა სხვა-და-სხვა. ეს და ქვე-

¹⁾ ამის პირდაპირ აშიაზე იმავე ხელით სწერია: ამაში არის ხონის ეკლესიის ყმების წიგნები და ერთი წიგნი წევის ეკლესიისა არის.

მთ მოყვანილი თერთმეტი წერილიც იმ გუჯარათა კრებულის-
გან მოგვყავს, რომელიც გ. ე. ... ტელმა გადმოგვცა და ა. ვ.
ქუთათელაძემ გადმოსწერა.

XVII საუკუნე. ქ. ღმრთისა და დედისა მისისა და ყოველთა
ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქვეყნისა, თავსდებობითა, მინდობითა და
შუამდგომლობითა ესე წიგნი ნასყიდობისა მოგვცე მე ტურანბერაძემან
დედისმამამან, ჩემან შვილმან მამაგულამან, ჩვენთა შვილთა და მომა-
ვალთა ყოველთავე, მოგვიდე მამული იფელენასა და ვლიანაული ნახე-
ვარი შენ მოძღვარსა იობს ფაღლაძესა, შენსა შვილსა ესტატეს, მა-
ხარებელსა და იოვანეს, თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე.
ჩვენ ფასითა შევსჯერდით, რაკვარიც გული შეგვიჯერდებოდა. ამისნი
მოწამენი არიან ხოლმე ღმრთი, კაცთაგან: მოძღვართ მოძღვარი ილა-
რიონ, ტურანბერაძე მამია, მისი შვილი ბედანსა შუა იყო და ქალამა-
ნიც აიღო. ვინც ესე ნიშანი შეგიტყვალს, შემტაიცვლები სჯულსა
ქრისტიანობისასა.

26. სია, 17×11,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-
მხედრულის ხელით. ბოლოს მეორე გვერდზე უზის ბეჭედი კათა-
ლიკოსის დავით ნემსაძისა და ამიტომაც ამ სიას დავითის დროს
ვაკუთნებთ. ბეჭედზე განირჩევა მხედრულად სიტყვები: „იმერ-
პონტო. აფხაზთ. ჩრდილო. დავით პატრიარქმან. ჯ. ით. ვადილო“.
შუაში ხუტური გრეხილიანი სიტყვა ვერ გავარჩიეთ.

1661—1680 წ. სიჭინავისა.

კ ქ.	ბაბა კოჩი სიჭინავა ხელისაწმამა	ოცი
იე ქ.	გემბაია სიჭინავა	თხუთმეტი
იე ქ.	ბაბუნკოჩმა	თხუთმეტი
იე ქ.	გვიგვიმ სიჭინავა	თხუთმეტი
იე ქ.	გაჯინელი სიჭინავამ	თხუთმეტი
იე ქ.	ახაჯკოჩი	თხუთმეტი
იე ქ.	ბაბუშიამ	თხუთმეტი
იე ქ.	მუხვიმ	თხუთმეტი
იე ქ.	ქრისტესიამ	თხუთმეტი

იე ქ. ჯგებემ	თხუთმეტი
იე ქ. ძღვიკიმი	თხუთმეტი
იე ქ. სისოზღიამ	თხუთმეტი

ჯამი: რზე

ჯამი: ას ოთხმოც და ხუთი.

მეორე გვერდზედ სწერია: ბეგრის ანაწერი. უზის ბეჭედი კათალიკოსის დავით ნემსაძისა.

ამავე დავით ნემსაძის ღროს უნდა ეკუთვნოდეს მეორე სიაც, რომელიც მათხოჯის საყდრის უნდა იყოს, ხელი ამისა და პირველი ნუსხისა ერთია. მეორე გვერდზე აწერია: „მათხოჯის ანაწერი“.

ქ. მამაკაცი ჰიტრეიშვილი	ქ. დავითელა ადამია
ქ. მამაკულა ბარაბაძე	ქ. საყვარელა ადამია
ქ. გოგინა ბარაბაძე	ქ. ჭუჭუელა ადამია
ქ. მამუკელა ადამია	ქ. მამუკელა ადამია
ქ. ნათათრი ბარაბაძე	ქ. ობოლი ადამია
ქ. მამისთვალა ბარაბაძე	ქ. მამისთვალა კარსანიძე
ქ. ივანე დუძაძე	ქ. ხახუტა კარსანიძე
ქ. გიორგი ბარაბაძე	ქ. დიაკონი მელაძე
ქ. ხოხონელა ბარაბაძე	ქ. ფილდა მახარებელი
ქ. ივანიკა ბარაბაძე	ქ. საყვარელა მელაძე
ქ. ხელოსანი ფიცხალავა	ქ. ჭუჭუა გვარამია
ქ. სვიმონ ჩიმაგაძე	ქ. ბახუნია დოჭვირი
ქ. ხახუტა ჩიმაგაძე	ქ. მამუკა დოჭვირი
ქ. გოგიტა ჩიმაგაძე	ქ. ხახუტელა ადამია
ქ. ბუჭუელა ჩიმაგაძე	ქ. ბუჭუელა ხუროძე
ქ. საყვარელა მჭედელი	ქ. რატიანი ბუჭუელა
ქ. მამუკელა ადამია	ქ. მარშანა ადამია
ქ. გიორგი ფიცხალავა	ქ. ბიძისთვალა დოჭვირი
ქ. კაცობელა ფიცხალავა	ქ. ივანე სურმავა
ქ. საყვარელა ფიცხალავა	ქ. მეორე კიდე სურმავა
ქ. ივანე ჩიმაგაძე	ქ. ლაჭუპია
ქ. გიორგი ადამია	ქ. ორი ზარქუა
ქ. შუშუა ფიცხალავა	

სამათხოჯო კაცი — ორმოცდა რვა კვამლი კაცი ღარიბიანათ.

27. შეწირულობის წიგნი, 32×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე ნუსხა მხედრულის ხელით. ყოველ სიტყვის შემდეგ დასმულია ორ-ორი წერტილი. პირველ გვერდზე მოყვანილია სხვა ხელით სხვა სიგელი, რომლიდანაც მარტო შესავალია დარჩენილი. ამიტომაც ეს შესავალი აქ არ მოგვყავს. წიგნი საზოგადოთ სანახევროთ არის დაცული. დანარჩენი აკლია. წერილი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს.

XVII საუკ. . . . ნაშოვარი და შეწირული ექუსი მოსახლე . . .
 იაქნაძენ ყმაღ

ქ. ღავითის ტომად მკე
ჭიფი რე
ჩხობაძე
 ვანღ სყიდამაღე მნღ

განის აზიაზე სწერია სხვა ხელით:

ქ. მე მარტყოფისა და ბოჭორმის მოურავმან ჩერქეზისშვილმან ქაიხოსრომ ბძანება ესე ვათავეთ.

- ✓ 190. ქსნის ერისთვიანთ გარიგების წიგნი. ამ წიგნისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში, გადაწერილი ბ-ნ ქრისტეფორე მამაცაშვილის მიერ და მის მიერვე შემოწირული სხვა საისტორიო მასალებთან ერთათ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავისათვის (იხ. № 1397). ნიშნებათ იშვიათ შემთხვევაში აზრის დამთავრების შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. ეს გარიგების წიგნი გადმოწერილია, როგორც ეტყობა ბოლოს რუსულათ მინაწერისაგან, იმ პირისაგან, რომელიც მართებლობას მიუცია 10 თებერვალს 1830 წელსა პოლკოვნიკ შანშე ქსნის ერისთვისათვის, ნამდვილი ყოფილ-მართებლობის ხელში.

1768, მაისის 22. ქ. ქსნის ერისთავი დავით და ეულარადაზი გიორგი სახლის კაცობას მამულსა და გაურაზედ ერთმანეთს ედავებოდნენ, და ეულარადაზი გიორგი გაურას ითხოვდა. საში და ოთხი წელიწადი უშალეთ და გაურელობას ურჩევდით. მათი სახლის კაცების საქმეც გაურჩევლათ იყო, მაგრამ არ იქნა და ეულარადაზი გაურელობას არ მოეშვა. ჩვენ საქართველოს მზურობელმან, ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადილისა მჭირავმან, მეფემ ერეკლე, საქართველოს მსაჯულნი, ქართლისა და კახეთისა მდივანბეგნი და მდივანნი ვიახელით, და დიდხანი გვქონდა ამათი ლაპარაკი და სარჩელი—ეს საქმე ყოველთავე შეტეობილი აქუსთ და დამსწრენიც ბეგნი არიან, რომ სანატრელმა მამა ჩვენმა, ცხებულმა მეფემ და ჩვენ, და ჩვენის ქვეყნის კაცმან ქსნისა და არაგვის საერისთოზედ რა სასჯელი ვნახეთ, და რა ჭირ-დებულება გარდაგვკდა, და რამდენი კაცი მოგვიკუდა, და რამდენი დაგვეხარჯა, ყველამ კარგათ იციან და ახსოვთ. ქსნის ერისთავის ოჯახი ერანის ხელმწიფისაგან¹⁾ დატევევებული იყო და მიტაცებული. ერანის ხელმწიფის ორგულისა

¹⁾ დედანში ამ სიტყვაში და სხვა ამგვარ შემთხვევებში უნდა წერებულ იყოს „ხელმწიფისაგან“.

და ოსმალის მიმდევის კაცის მამული ქსანა ჩვენ ხელში დავიჭირეთ ღთის მოწყალებით. მისუკან მამიდა ჩვენი, ბატონის შვილი მარიამ, ბატონს მამა ჩვენს მეფეს და სანატრელს დედა ჩვენს დედუფალს ევედრა ჩვენის მამიდა შვილის ბატონის ქეთეონის დახსნას, და იმათმა მიზეზმა სულ ეველანი გამოიკისნა. როდესაც რომ მოვიდნენ, ჩვენ ის მამული ბატონის ქეთეონის შვილებს მეტისათვის არავისთვის მიგვიცია. ეს საქმე სხვას, მტრისაგან დატუვევებულის კაცის საქმეს, არა გაგს, არც მოსულსა და არც ნამოგნსა. დატუვევებული ვინც რომ იქნება, თავის მამულზედ, თავის მუბატონზედ დანაშაული არ ექნება რა და არც არა იმის ბატონს იმის მამულზედ დიდი რამ ჭირნახული ექნება, ამისათვის სამართლით ერგება ჰატონს ის მამული, მაგრამ ჩვენ არც ვიუავთ მაშინ ქსანას საერისთოს ბატონი და არც ქსნის მუბატონის ბატონი; არც ქსნის მუბატონენი მაშინ ქსანზე იუვენენ, ხელმწიფის რისხვით გარდაფანტულნი იუვენენ. ჩვენ ღთის მოწყალებით, ჩვენის გარჯით და ხელმწიფის წყალობით ვიშოვეთ და ჩვენის დისწულის შვილებისათვის გამოვიმეტეთ და, როდესაც მოვიდნენ, მათი სახლის-კაცებიც თავეთს მამულზედ ვატევეთ. თუ სხვა შეუებები ბძანებულ იუვენენ, სარწმუნოა, რომ არავინ მისცემდათ ქსნის საერისთოსა. ჩვენ ნათესაობამამ გამოგვამეტებინა. თუ რომელსამე ასეთი ნამსახურობა ჰქონდეს დასაწეისით აქამდე, რომ ქსნის საერისთოსთანა მამული გამოემეტებინოსთ, თუ არ ნათესაობისათვის, უველას ეცოდინებათ. და ამ ნათესაობამ თავიდან ბოლომდის დავითისა და დავითის ძმებისათვის მიგვაცემინა ეს მამული, რავარადაც კიდევ მამის ჩვენის მეფის ბოძებული წიგნი აცხადებს, და ის წიგნი რას დროს და რისათვისაც არის მიცემული, მრავალთ იციან. რადგანაც ჩვენის ნებით შანშე და უულარადასი და იმისი ძმა ზურაბ შეიუვანეს ამ ჩვენმა ნათესავებმან და კიდევ თავეთს ოჯახში ჰუვენდათ, და ის სახლის კაცებს და შანშე და ზურაბ როგორ დარჩნენ ჩვენზედ, მრავალთ იციან. და დავით ერისთავი და მისი ძმები ბეგლარ და იესე, როგორც მართებდათ, ჩვენკენ ერთგულად დარჩნენ, ამათი საქმე როგორც იყო, ამისგან უფრო რომ კიდევ გავვევრცელებინა, განჩინებას არ ჰკენოდა, და როგორც იყო მათი საქმე და არის ჩვენს გონებაში, უოველივე განსჯილი არის და არ ეჭირება ამისგან უფრო

ადმოჩენა, და ამ განჩინებას გარეთ აღარცა რა განწესდება, ასე დაგვიმტკიცებია.

ქ. ერისთავს დავითს და მისს ძმას იესეს მიეტყვეს საუფროსო და საჭირნახულო და თავეთის მამის წილი მამული, რომელიც იქნება ქსნის საერისთოს შესამედი, ერისთვის მამის წილი.

ქ. გასამურელო აიღება საჩვენოდ, რა რომ საუფროსოს გამოსარჩევენ, მერმე გასამურელო უნდა აიღონ.

საუმტროსო და თავისის მამის წილი მიეტყვეს უფლარაღაზს გიორგის და ამის მამის წილი არის შესამედი. რადგანაც ამდენი ხანა არის ჩვენის ნებით შემოსულა, ჩვენც ამ ოჯახის შემკვიდრის შვილობით გვეურება, და ჭკუმარიტი შვილიც არის, ამისთვის თავის წილს ასე თამამად ვაძლევ.

ქ. შანშე რადგანაც ჩვენს ორგულობაში მოკვდა, მისი წილი მამული, რომელიცა იქნება შესამედი საერისთოსა, ჩვენთვის უნდა დაიდვას, ამისთვის რომ მისი ორგულობა და ორგულობაში სიკვდილი სასწმინოდ გამოცხადებულია სამართლის ძალით, მისი წილი შესამედი მამული სამეფოდ არის დასადები. ამგვარი მეფესა და ქვეყანაზე დანაშაული ცოცხალს რომ ვეღარ მოეკითხოს, წესია, რომ სიკუდილს უკან მამულის მიხუთით მოეკითხება. და რადგანაც ჩვენის მუხანათის წილი ჩვენთვის აგვიღია, წუალობით ჩვენ მათთვისვე ამგვარად წუალობა გვიქმენია და გვიბოძებია, ნათესაობისა და ერ[თ]გულად დარჩომისათვის, დავით ერისთვისა და მისის ძმას იესესათვის გვიბოძებია შანშეს წილის მამულისა უმა და მამული სამა წილი უფლისფერისაგან. აგრევე უფლარაღაზის გიორგისათვის წუალობად გვიბოძებია შანშეს წილის მამულ[ი]სა უმა და მამული მეოთხედი უფლისფერისაგან. ასე დაგვიმტკიცებია და აღარც ამ განჩინების განდრეკა იქნება, უფელთავე უწოდენ, თვეს მისსა რიცხუსა კბ. ქ. ქრისტეს აქეთ ჩდჲ, [ქქსა] უნგ წელსა. (დასმულ არს ბეჭედი მეფის ირაკლისა). ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა მსაჯულნი და მდივანნი ამ განჩინებისა თანახმანი ვართ.

(აქა დასმულ არს ექვსი მდივნის ბეჭდები).

191. განჩინება მორიგი ჯარის შესახებ მეფის ირაკლი მეორისა, სიგძით ხუთი ადლი და ათი გოჯი, განით სამ-გოჯ-ნახევარი, ანუ 399×15 სანტიმეტრი, დაწერილია თხელს, მაგრამ მტკიცე ქალღებზე. ეს გრძელი გრაგნილი შესდგება თერძმეტი ერთი-ერთმანეთზე მიწებებულის ნაჭრებისაგან. იქ სადაც ერთი ნაჭერი მეორესთან არის მიწებებული, ყოველთვის მინაწებებზედ უზის ბეჭედი ირაკლი მეორისა ისეთისავე წარწერით, როგორც № 189-სა. ნიშნებათ ნახმარია ორ-ორი წერტილი თითოეულის მუხლის თავში (ასო ქ-ის შემდეგ) და ბოლოში, სხვა შემხვევებში წერტილნი და მძიმეები. წერა ნუსხური მხედრულია, არა მსხვილი, მელანი შავაა. დედანი ამ სიგელისა ჩვენ შევიძინეთ ბუქინისტი-საგან წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. გარდა ამ დედნისა ჩვენ გვაქვს ხელში ორი პირი. ერთი ქრისტეფორე მამაცაშვილის მიერ გადაწერილი (იხ. № 1397 წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავისა) და ერთიც გრიგოლ შანშიევის მიერ გადაწერილი, რომელიც ჩვენ გადავეცით წერა-კითხვის საზოგადოებას. უკანასკნელი პირის ბოლოში შანშიევის ხელით აწერია: გადიწერა ესე ნამდვილის პირისაგან, რომელიც იყო ყარანგაზოვის სახლში წელსა 1853, მაისის 15. გრიგოლ შანშიევი. უმთავრესი განსხვავებანი აღნიშნული პირებისა ჩვენ სხოლიოებში მოგვყავს.

177^წ, იანვრის 4. ქ. ღთით ეს მორიგობის¹⁾ დაშქრობის განაჩენი დაიწერა ჩვენ მეორე ერეკლე მეფისაგან²⁾, თან დასწრები-თა ძისა ჩვენისა უფლის წულის გიორგისათა და უოფლად სამღვდელოთა საქართველოთა ეპისკოპოსთა, და ბრწყინვალეთა თავადთა, და ეგრეთვე უოელთა კარისა ჩვენისა მოკელეთაგან, და შემდგომთა დარბაზის ერთა, და უოელთა სამღვდელოთა დასთაგან, და ეგრეთვე უოელთა ჩინებულთაგან³⁾; რადგანც საქართველოს ქვეყანა ლეკთაგან ამდენს ხანს ამისთანას მოუსვენებელს მტერობით შეიწრდა, და მოუთმენელს ჭირს მიეტა, ჩვენც მრავალ გზის ბევრ რიგის გარჯილობით ვეტადენით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვე-ძოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერგო რამე და ამხანად ღთით

1) შ.: მორიგის.

2) შ.: ჩვენ ერეკლე მეორისა საქართველოს მეფისაგან.

3) შ.: საქართველოსა ჩინებულთაგან.

ეველასგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამოფარჩიეთ, და სურთოდ ეველამ ვამჯობინეთ, რომელიც ამათს ქვემოთ დაგვიწერია:

ა) ქ. პირველი ეს არის, რომ თუ დიდი მტერი ორი და სამი ათასი კაცი და კიდევ მეტი არ შეიუაროს და ამისთანას ძალით ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა არ მოინდომოს, ათასის კაცისათვის და მეტ-ნაკლებისათვის და კიდევ ასისა და მეტ-ნაკლებისათვის ეს გაგვირიცხება, რომ რაც თავადნი და ან მოკლე, ან არ მოკლე, ან აზნაურნი მოკლე, ან არ მოკლე, გლეხნი მოკლეები, თუ მსახურნი, თუ მოჟალენნი, თუ ხიზანნი, რამდენიცა რომ იფუნენ ერთს სახლსა და ოჯახში, თვითონთვის მორიგობაში ჩაგვივდია და დაგვიწერია, და სხვას დავთარში გაგვიჩვევია. სარდრებსა, მინბაშებსა და უზბაშებს გარდა, ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიუვია, და როგორცა გაგვიუვია ერთი დიდი სურთოდ დავთარა ჩვენის მოკლეებისათვის მიგვიბარება, და თვითოდ დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია, და სხვა სოფელ და სოფელ მებატონეებისათვის და მოკლეებისათვის მაგვიცია, და ასე გაგვიჩვევია ეველასთან, როგორც ამაში დაგვიწერია¹⁾

ბ) ქ. რომელიც აქამდის ჩვენგან გლეხს კაცს კოდის ჰურის მაგიერი სურსათი და ღვინო ჯარისათვის ეთხოვბოდათ, ის აგვიდია, აღარ ვსთხოვთ, რომ ეს თავიანთის მორიგობის ლაშქრობაში თვითან მოიკმარონ და მეტი და ნაკლები ამ ლაშქრობაებში თვითან შესრულდნ²⁾, ჩვენ ამისნი მთხოვნი აღარ ვართ და ჩვენს სახასის ემას კოდის ჰურსა და კულუნს გარდა ჯარისათვის სურსათს რომ ვსთხოვდით, იმ სურსათს აღარ გამოფართმევთ.

გ) ქ. როგორც თვე და თვე დაგვიწერია კაცნი, რომ თვეცა კაციცა სახელდობ ჰქნება, იმ თავის პირველის დღის წინა დღეს მოვიდეს, სადაც ჩვენგან დაბარებული იქნება, სწორედ თავადია, აზნაურია თუ გლეხი, თვარემ თუ არ მოვიდა, თავისის ერთის თავის სურსათის თადარიგით, რომელიც ამათს ქვემოთ დაგვიწერია გარდაკდევიანება, სწორედ ის დაემართება.

¹⁾ ამ პარაგრაფს თავისკენ განის აშიაზე უწერია: „ქ. იოანე ოსეს ძისა მიერ პრობა ქმნილი“. ეს წარწერა სხვა ვარიანტებში არ არის.

²⁾ შ. უმატებს: ღთით.

დ) ქ. ღთით როდესაც ეს ჯარი იმ ვადაზედ აქ ქალაქში შე-
მოგვეყრება, რასაც სურსათის ჩამოიტანენ, ვინ იცის, რომ ჩვენ
ქართლსა და კახეთში, თუ უზახ-ბორჩალოში, ან არაგვზედ მიშვე-
ლება და მღვერობა მოგვიკადა, თუ თავისის სურსათისათვის იმ კაცს
თეთრი წამოუღია, ხომ ის თავისს სურსათს, როგორც უნდა, ისე
თადარიგსა იქს, და რომელსაც ჰური, ღვინო და ქერი ექნება თავა-
დისშვილსა და აზნაურშვილს გარდა, გლეხს კაცს ჩვენ უნდა წაღების
გზა მივსტეთ, მარამ იმ ერთისთვის სურსათი საკსნილო და სამარ-
ხო, ჰური, ქერი და ღვინო, როგორც შეუძლიან თავადსაც, აზნაურ-
საცა და გლეხსაცა სრულებით უნდა ჰქონდეს, თვარემ რადგან ჩვენ
სურსათს აღარასფრისას აღარას გამოვართმევთ, ჩვენ რომ ჯარს სურ-
სათს დაუწყოთ ძლევა, დიად ბევრი იქნება, და ჩვენს სარქარს სურ-
სათის მიტევის ბინა არ ექნება, ახლავ უველამ იტოდეს, იმ ერთის
თვის სურსათს რომ წამოიღებს, მაშინც თავისს სახლშიაც ჭამა და
სმა მოუნდება და ბარემდაც თავისის წმიდის სარწმუნოებისა და სჯუ-
ლისათვის, და თავისის მტრის შეშინებისათვის, და ქვეუნიის დამშვი-
დებისათვის, ღთისა და ჩვენის სამსახურისათვის, ამ ერთს თვეს აქავ
დახარჯოს თავისს თავზედ.

ე) ქ. ღთნ აშორროსთ, თუ ვინმე ავად გაკდეს, და ან სსიკვ-
დილოდ ძნელად ავადმოყოფი ან მამა ჰყვანდეს, ან დედა, ან ცოლი,
ან შვილი, ან ძმა, ან და, რომელსაც თვეში წამოსასვლელი იუოს,
ღთნ კიდევ აშორროს, ან მოუკვდესთ რამე, იმისი ამბავი იმისმა მე-
ბატონემ და მოკვლემ, და იმისმა სოფლის ჯარის კაცმა უნდა მო-
გვიტანოს, და დაგვაჯერებინოს, იმას ვერას უსაუვედურებთ, მაგრამ
თუ ტუთილად მოიგონა ავადმოყოფობა, რაც გარდახდევინება არის გან-
წესებული, ერთი ორად მიადგება. თუ კიდევ სოფლის ჩვეულებრავ
მკმკვიდრე, თუ ხიზანი კაცი, აიყაროს და სხვაგან წავიდეს, იმ სო-
ფლიდამ უნდა შეგვატეობინონ¹⁾ მებატონემ და მოკვლემ, და იმ სო-
ფლის ჯარის-კაცმა, რომ ესე და ეს აყრილი კაცი ამა და ამ სო-
ფელში წავიდაო, რომ იქილამ ვითხოოთ ის კაცი, თვარემ რომელსაც
სოფელზედ ჰსწერია, იმასვე დაუწევთ თხოვნას, და იმათ უნდა გვიპოონ.

1) შ. უმატებს: იმისმა.

ვ) ქ. სადაც სოფელში მივიდნენ ეს ჯარის კაცნი, თუ იმ სოფელში წაკდინეს რამე, ზური, ქერი, ღვინო, ქათამი, ბატი, ღორი, ძროხა, ცხვარი, ბაღი, თუ ვენაკი, ღობე, ჭიგო, თუ მოსავალი და რაც ჭინახული, ამისთვის თავისი სარქარდა და მინბაში და უზბაში ავად მოეპურას და გარდახდევინოს, თუ ჭითთ ჩვენ ვიქნებით იქი, ჩვენ გარდავაკდევინებთ, მაგრამ სოფლის კაცი ბზესა, შეშასა და თივას კი ვერ დაუშდის, და თუ სახლის გამოსაუყენებელი და ხის იარაღი იყოს რამე, არც ის უნდა დააწვევინოს.

ზ) ქ. ჭითთ, როდესაც ეს ჯარი შემოგვეურება, იმ ზირველს დღესაც და გასტუმრების დღესაც ჩვენ უნახავთ სანსა, და ამათ გარდა თავისი სარქარდა და მინბაში უნახავდეს ყოელს კვირას სანსა. იმ მორიგეში მოსულს კაცს იმ ერთისთვის თავისა სამეოფი ტუფია და წამალი სრულად უნდა ჰქონდეს, რომელიც არ მოიტანს, იარაღს გაუხსნეკო, სანს რომ უნახავთ, და ავად მოგეპურებით.

წ) ქ. რომელიც ამ ჯარს ეჭირება, ეგულა გაგვირიგებია, რომ იქნება აქიმი, ჯარა და ურდო-ბაზარი.

თ) ქ. რომელიც ქართლისა და კახეთის ადებ-მიცემის კაცნა არიან, დუქნის ჰატრონნი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თუ თათარი და ჭურია, თუ რისაც მილათის¹⁾ კაცი იყოს, ამათს ბადალს ვიუახულებთ. მწემისა, მებაღისა, ხაბაზისა, მზარეულისა, გუთნის დედისა და რომელიცა შემძლებელი მეწისქვილე არის, იმათს ბადალსაც ვიუახულებთ, მაგრამ ამათი ბადალი რომ არ მოვიდეს, არ იქნება, და კიდევ გარდაკდებთ. რომელიც ვაჭარი გზას წავა, რომ ქართლისა და კახეთის მამულში არ იქნება, ამისთანას კაცს თავისის თავისას ამ მორიგის ლაშქრობაში ვერას უსაუვედურებთ. ჩვენს საბძანებელში კი არ მიგვიცია მურახასი თავისის მორიგობისთვისა.

ი) ქ. რადგანც მართებული არის, რომ ხუთის თავი, გინა ათის თავი, უნდა მივართვათ დმერთსა, და ჩვენ ყოელმან კაცმან ჩვენის თავისა და ჩვენის ქვეუნიის სასარგებლოდ წელიწადში ერთი თვე მივართვათ დმერთსა და ვმსახურეთ.

ია) ქ. ამ საქმეში თუ ზირველმან თავადმან დაშაოს რამე, რ-

1) შ.: მილეთის.

შოც და-ათი თუმანი წაერთოს, თუ თეთრი არ ჰქონდეს, ჯინსი გა-
მოერთვას, და¹⁾ ჩვენის ბძანებით სხვას სსსრდლოს ჯარს მიეტყოს.

ბ) ქ. ამას გარდა, რომელიც და რომელმაც წინააღმდეგი თა-
ვაღმან, თუ იკადროს რამე, ან ლაშქარს აკლდეს, ან კაცი დააკლოს,
და ან სხვა რიგი რამ საქმე დაიჭიროს წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა,
ამას ოცი თუმანი წაერთვას, რომელსაც თეთრი არა ჰქონდეს, მამუ-
ლი გაესუიღოს, და ის გამონართმევი ჯარიმა ჩვენის ბძანებით სხვას
სსსრდლოს ჯარს გაეუოს.

ი) ქ. აზნაურშილი თუ თავისი რიგზედ დააკლდეს, ან ლაშ-
ქრობაზედ ერთი რამ დააშაოს, ათი თუმანი ჯარიმა წაერთვას. ეგრე-
თვე მისი გამონართმეული ჯარიმაც ჩვენის ბძანებით სხვას სსსრდლოს
ჯარებს უნდა გა[ე]უოს.

ი) ქ. სოფლის მოკელები, ნაცვალმა, ქემხამა²⁾, თუ მამასხ-
ლისმა, წინააღმდეგი ამ ლაშქრობისა თუ დააშაოს რამე, ექვსი თუ-
მანი წაერთვას ჯარიმა, და ჩვენის ბძანებით სხვას სსსრდლოს ჯარს
მიეტყოს. თუ თეთრი არა ჰქონდეს, მამული გაესუიღოს.

ი) ქ. თუ თავადი და აზნაური, ახალი თვე რომ დადგებოდეს,
იმ თვის შირველის დღის წინა დღეს, რომელიც წინას თვის გასუ-
ლი დღე იქნება, მზას ჩვენთან არ გამოეტყვადლება და მზას არ გვე-
ჩვენება, რაც ჯარიმა და კარდაკევილება დაგვიწერია, ის კარდაკება.
თუ იმ ერთს დღეს დააკლდა, ერთი ჯარიმა იქნება, თუ ორს დღეს
დააკლდა, ორი ჯარიმა იქნება, და რამდენსაც დღეს დააკლდება, იმ-
დენი ჯარიმა ერთმევა³⁾, და თუ გაიზარა და ან კაცი გაიზარა, ან ამ
ლაშქრობის წინააღმდეგი რამ ქმნა, ამას სამად და ოთხად კარდაკდეს,
თავადისშილის, აზნაურშილისა და მოკელებს.

ი) ქ. და თუ გლეხი კაცისა, კიდევ ამ რიგად ერთი თვე რომ
გავა, იმ გასულის თვის დღეს თუ ჩვენთან მზას არ იქნება, და თა-
ვისის მორაგობის თვისა ერთი დღე გაიყვანა, ერთხელ გავატაროთ
რუსულად წიკებლში, თუ ორი დღე გაიყვანა, ორჯერ გავატაროთ, და

1) შ. უმატებს: ის გამონართმევი ჯარიმა.

2) მ.: ქემხამა.

3) მ.: გამონართმევა.

რამდენიც დღე დაიგვიანოს, იმდენჯერ გავატაროთ, და თუ გაგვეზაროს, ოთხჯერ გავატაროთ. თუ ურშიობით¹⁾ შინაღამ იმ თვეში, რომელიც იმისი რიგი იქნება, ანა წამოვიდეს და არც მოკვლეს შეუპოვოს, არც შეპატარეს, და მალე დაიწეოს აქა და იქი ტყეებში და სოფელში, ამისთანა კაცი იმავე სოფელმა ან იზოვოს, მოგვცეს, და ან ექვსი თუმანი ჯარიმა წაერთვასთ, და ის გაქცეული კაცი, რომლისაც დასტისა არ იყოს, ჩვენის ბძანებით, ის ჯარიმა სხვას დასტებს გაეუოს და თუ იმ გაქცეულმა კაცმა სხვას სოფელში ბუნაცობა დაიწეოს და დამალვა, და ან კიდევ ერთს კომელს კაცთან ნათესავთან, თუ მოუვარესთან იმალებოდეს, და ან თუ სოფელი მალევედეს, იმათ ან ის კაცი გვიპოვონ, მოგვცენ, და ან ის ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ. და ეგრეთვე თუ ერთი კომელი კაცი მალევედეს, იმანაც ექვსი თუმანი ჯარიმა გასწიონ და ის ჯარიმა, როგორც სეკით დაგვიწეონ; იმ რიგად იმ ჯარებზედ გაიუოფოდეს ჩვენის ბძანებით, და თუ ის გაქცეული კაცი ცოლშვილით იმ სოფელს გაეზარა, ეს ჯარიმა კიდევ იმ სოფელს გამოერთვას. თუ რომელმაც კაცმა იმისი გაზარვა იცოდეს და არ გაამხილა, ეს ექვსი თუმანი იმას გამოერთვას, თუ არ შეეძლოს, სხლი, კარი, მამული, დედული გაესუიდოს და ჯარიმაში მიეტეს, ესეც განწესებისაებრ ჩვენის ბძანებით სხვას სსარდლოს ჯარს გაეუოს. და თუ ის გაქცეული კაცი სოფელმა, თუ ერთმა თავისმა შეზობელმა, ან ნათესავმა და მოუვარემ მოგვეგვაროს, მაშინ ამ წინას სამართლების მიხედულობით გაესინჯოთ და იმისი შესაფერი სსსჯელი მიჰკატოთ.

იზ) ქ. ეს ეგელაყამ დიდმან და მცირემ შეიტყვევით, როგორცადაც სჯულის კანონის შეცვლა არ იქნება, ისე ამისი შეცვლა არ შეგვიძლიან, და არც ამ ლაშქრობისა და განწესებისა ცოტას რისამე დაკანა და დაკლება არ შეგვიძლიან; ვერც ჩვენ მოვინდომოთ, ვერც ჩვენმა შეილებმა, არც დიდის ვისგანმე შუამავლობით ამისი მცირის რისამე შეცვალება იქნება, რომელიც ამაში დაგვიწეონ, და თუ ან სამდღელო კაცი გაერიოს, ან დიდებული თავადი, ან აზნაური, ან გლეხი კაცი, თუ დედაკაცი, ვინც უნდა ჰატოისანი ბძანდებოდეს და

1) მ. და შ.: უარშიობით.

იყოფებოდეს, კანონსა და ბრალსა ქვეშე იქნების და სიტუვის მიცემას ჰპირთებს ღმერთთან სულითაც და კარცითაც.

იწ) ქ. რომელსაც თავადისშვილს მამულისა და საქონლის ილაჯი არ ჰქონდეს, ის სატუსადოში ერთი თვე დაეხას ბოროტებით და ცარიელის ჰურისა, წულისა და ღვინის მეტს ნურას მიაღებინებენ ჭამითა და სმით ზედამდგომელნი. და თუ იმ ზედამდგომელთ შეუტყვევით, რომ ამის მეტი, რაც არ დაგვიწერია, სასმლისა და საჭმლისაგან მიუტანინებიათ რამე, იმისს გარდასახდევინებულს ზედამდგომელს გარდავაკდევინებთ.

იო) ქ. ეგრეთვე აზნაურშვილი, რომელიც ჯარიმის უილაჯო იუოს, ასი ფარემის გამორჩეული ჯოხი დაჰკრან, და ერთი თვე იმავე დასტურით, რომელიც თავადისშვილებისა დაგვიწერია, იმისთანა ტუსადობა გასწიოს საპურობილეში, მაგრამ მნახავი ნურც ერთთან ნუ მივა თავიანთის მოსამსახურისა, ჰურისა და წულისა და ღვინის მამუტანის მეტი. იმ ერთს თვეს ჰურიც თავისი ჭამოს და ღვინოც თავისი დალიოს, და თუ ის ტუსადი ავად გაკდეს, ჩვენის ბასნებით აქიმა ნახოს და ფიცით დაგვიმტკიცოს იმისი ავადყოფა, და გაუშვათ. თუ ტყუილად მოიგონოს ავადყოფა, ათი დღე კიდევ მოემატოს ტუსადობა, მაგრამ ეს დამნაშავენი ქალაქს უნდა დატუსადდენ და აქ აღასრულონ თავეთი გარდასახადი სასჯელი.

იკ) ქ. ამისს პირზედ გარდანაწერი დავაშკობი სოფელში, რომელიც პირველი მღუდელი არის, იმას უნდა ეხაროს და კარგად შეინახოს. თუ წააკდინა და კარგად არ შეინახა, ორს კარს წავართმევთ. თუ იმ სოფელში წიგნი კარგად არავინ იცოდეს, არც მღუდელმა და არც სხვამ კაცმა, რომელსაც ახლის¹⁾ სოფელში კარგი მწიგნობარი იუოს, იქ მიიტანონ, წაიკითხონ და შეიტყონ.

იკა) ქ. თუ ერთს სოფელში ორისა და სამის კაცის უმა იუოს, თვითთა მუხატონემ კაცმა ამ დავთრის პირი ამოსწეროს, და თავთავის უმისა შეინახონ, და მუდამ იკითხევდენ და აკსოვდესთ, რომ ამ განახენებს არავინ გარდაკდეს, თვარემ, რაც დაწერილია, ჩვენ ამას ვერას მოვაკლებთ დამნაშავე კაცზედ, უველამ დაჯერებით იცოდენ.

1) მ.: ახლოს.

ეგრეთვე სახსოს მოკელებმა და ეკლესიის მოკელებმა გარდასწერონ და შეინახონ.

კბ) ქ. რომელიც კაცი, რომელსაც მინაშს და რომელსაც უბაშს აბარია, იმის წინააღმდეგი რომ ქმნას, უნდა გარდაკდეს დანაშაულობის მსგავსად. გალახონ, დააბან ბორკილით და ეგრეთვე გუნდით, თუ ასეთი დანაშაული ჰქონდეს, ჩვენი გასასინჯავი იყოს, ჩვენთან მოიყვანონ.

კგ) ქ. ამ სარეპტისა და საქმისათვის წელს ქართლი და კახეთი რომ ავსწერეთ და იმ აწერაში, რომელსაც ჩვენის მწერლებისათვის კაცი დაუმალავს და არ დაუწერინებია, თავისმა ბატონმა და მოკელემ ამ ადღგომამდის თუ არ გამოაჩინა, და მასუკან სხვისკან ვიპოეთ, ის კაცი იმას წაერთმევა, ან სახსოდ დაიდება, და ან სხვას კაცს მიეცემა.

კდ) ქ. რომელიც გლეხი კაცი სახსარში, თუ ეკლესიის უმაში, თუ სათავადოსა და სააზნაურშიველოში შემკვიდრე, თუ ხიზანი იყოს ასეთი, რომ ერთს თვეში უქონლობით და სიღარიბით ლაშქრობა არ შეუძლოს, იმ კაცს იმისმა მებატონემ¹⁾, რომლისაც იყოს, თვეში ხუთი თუნგი ღვინო და ერთი კოდი ჰური მისცეს და საუფოი მარჯი ერთის თვისა, და ისე გამოგზავნოს შეუძლებელი, თავისი შემკვიდრეცა და ხიზანიცა, ჩვენ ბრალი აგვიკლია და შეგვიტოვებინებია იმის მებატონისათვის, და სამარტლიანის საქმით გაარიგონ ხოლმე თავის უმიდამ და სახელოდამ.

კე) ქ. საცა რომ ღვინო და ვენაკი არ იყოს, იმისთანას სოფლის მებატონემ და მოკელემ და გლეხმა კაცმა, სადაურიც ის კაცი იყოს, იმ სოფლიდამ ღვინის ფასით ჯინსით შეიჯერიონ იმ კაცის გული თავთავისმა მებატონემ და მოკელემ.

კვ) ქ. აქამდის რომ სოფლებს სამასშინძლას შევაწერდით ხოლმე საჩვენოდ, და ან ვინც ჩვენ გვიახლებოდენ ხოლმე, უცხო სტუმრის სამასშინძლას გარდა, ის სამასშინძლოც ამოგვიკვეთია ამ მიზეზით. როდესაც ქარაღსა და კახეთს წავიდოდით ხოლმე, სხვა მრავალი მუღუფე კაცი გამოგვეუბოდა და ამ გზით სოფლის კაცნი შეწუხდე-

1) უ. უმატებს: და მოხელემ.

ბოდენ ხოლმე, და რადგანაც ეს ლაშქრობა ასე განწყესდა, ეს ხარჯი მორიგეთ კაცთა თვითანვე მოიკმარონ.

კ) ქ. ვინ იცის, ასეთი საქმე გამოჩნდეს, რომ ერთს მკარეს ჩვენს ქვეყანაში ჩვენ წასვლა დაგვჭირდეს მტრის საქმეს გარდა, მაშინ ამ განწყესებულის ჯარის კაცისაგან, რა ერთიც გვინდოდეს, და ჩვენის ამალისაგან, ვინც ჩვენ გვინდოდეს, და რამდენიც გვეწყადოს, თან ვიხლოთ, და ეგრეთვე ჩვენის კარის მოკელები, მდივანბეგნი, სახლო-ხუცესნი, ქეშიგჩიბაში, ბაზიერთ-ხუცესი, ნაზირები, მდივნები, ეგრეთვე ეშიკადასბაშები, ყორა-იასაუღბაში, მოლარეთ-ხუცესი და და მუშობები, ეგრეთვე კელ-ჯოხიანები და იასაულები, რამდენნიც და რომელებიც ვამჯობინოთ, ისინი წავიუყვანოთ მცირე-მცირის კაცით, ამისთვის რომ კულანდელსავით ჩვენ რომ მრავალნი ვიხლოთ, არც ჩვენს საჩქარს და არც სოფლებს შეეძლებათ იმათი ხარჯი ლაშქრობის მიზეზით. ვისაც უწინ ოცი და კიდევ მეტი კაცი ჰყოლოდეს, დასჯერდეს ექვსსა, და ვისაც ათი ჰყოლოდეს, დასჯერდეს სამსა, ორსა, გინა ერთსა, ამათის საქმისა და გაძლებისა, სანამდის ჭოთით ჩვენ მოკბრუნდეთ და შინ მოვიდეთ, რითაც იქნება, ჭოთით ჩვენ რიგი უნდა მივსცეთ, მაგრამ რომელსაც სოფელში მივიდეთ, იმ სოფელმა ძღვენი ღვინითა და კსნილში შექცებით საკსნილოთ და მარხუაში შექცებით სამარხოთ. და ცხენის ქერისა ასე განგვიწყესებია: აწრილიდამ ნახეკარს ენგენისთვიდამ ქერს ძღვენად ვერ გამოვართმევთ, სტუმარს გარდა, და ნახეკარ ენგენისთვიდამ მოკიდებული გასულს მარტამდის ორის-სამის ლიტრით და ერთის ლიტრით ქერით ძღვენი მოგვართვან შექცებით, თუ ორი ღამე დაგრჩეთ, კიდევ ამავე რიგით ძღვენი მოირიგონ და მორიგის ჯარი, რომელიც გვანდდება, იმან თავისის განწყესებისაგან გასძლოს. მაშინც ხომ იმან ერთის თვისა თან ახლდება, არც იქნება, რომ არა ჰქონდეს.

კ) ქ. რომელსამე კუთხეს ან ჩვენ და ან რომლისამე ჩვენის შვილებისაგან მტრის მიზეზით მიშველება მოგვიკედეს, რაერთითაც კაცით მიკეშველნეთ, მაშინ იმ ახლო-მახლო სოფლებმა, როგორც მართებულა, და შექცება იუოს, რომელიც მაშინ მორიგე კაცნი იქნებოან, იმათს გარდა, ჩვენთვის და სხვას ჩვენის ჯარისათვის სურსათი უნდა მოგვცენ. კომლის კაცით მივალთ, თუ ნაკლების კომლის კაცით.

კთ) ქ. როდესაც მორიგე კაცი მომსვლელი იყოს, ვინ იტის ასეთი ავი დარი იყოს, ქარი და თფლი დაუდგეს, და ან წულების სიდიდის დრო იყოს, რომ წუალმა დაიჭიროს, იმას ვერას უსაუვედურებთ, რომ ვადაზედ ვერ მოვიდეს, მაგრამ სდაც გაუვადარდეს, იქავ ახლოს სოფელში უნდა მოიცადოს, და იმ სოფლის კაცნიც მოწამედ უნდა იყოლიოს, რასაც დღეს მოსული იყოს იმ სოფელში. იქიდან შინ ნულარ გამობრუნდება, როდესაც რომ გზა ვერ დაუჭიროს, ვერც ჰურმა და ვერც წუალმა, მაშინვე ჩვენთან წამოვიდეს. თუ იმ სოფელს ლეგი მოუკდეს და მღევრობაში დაესწრას, თავის სოფლის მოწმობით იმასაც ჩაუგდებთ.

ლ) ქ. რადგანც ეს განახენი ასე მტკიცედ დაგვიწერია და საქართველოში ჩვენ უოელთა დიდთა და მცირეთა დაგვიმტკიცებია, რომ ამ საქმესედ დამნაშავეთ უნდა გარდაკდეს, ესეც დიდის გაფრთხილებისათვის გაკვიჩენია, რომ დაუნაშავებელი კაცი არ წაკდეს. თუ უკემა ქართლში ვიუოფოდეთ და ან არაკგსედ, ან ფამბაკში, ან უასახში, და კახეთის მორიგე თავისს ვადაზედ ქალაქს ჩამოვიდეს თავისის რიგის აღსრულებისათვის. და რადგან ჩვენ ქალაქს არ დავხდებით, რომელსაც მკარეს ვიქნებით, იმ ქალაქიდან მაშინვე წამოვიდეს ის მორიგე კაცი და რამდენისაც დღის სავალია ჩვენამდე, იმას ჩვენ ჩაუგდებთ და არას უსაუვედურებთ.

ლა) ქ. ეგრეთვე ქართველთაც ასე უანგარიშებთ, კახეთსა ვართ, უასახსა-ბორჩალოში, თუ ფამბაკში. ეკების¹⁾ ჩვენ უფრო მარჯვეს გზაზედ დავიბაროთ, ქალაქს ნულარ მოვა, რასაც გზაზედ დავიბაროთ მორიგე, იმ გზაზედ წამოვიდეს უველგინდამ.

ლბ) ქ. თუ ერთს სოფელში ერთის მღუდლის მეტი არ იყოს, იმისი წამოსვლა არ იქნება. ბადალი დაიჭიროს, ის გამოგზავნოს. თუ ორი იყოს, თავ-თავეთს რიგზედ წამოვიდნენ.

ლგ) ქ. გუთნის დედისა რომ დაგვიწერია, რომ ბადალი უნდა წამოვიდეს, როდესაც კვინის დრო არ არის, მაშინ თვითან უნდა წამოვიდეს, ბადალს არ ვჰყურვართ.

ლდ) ქ. არიან უოვლად სამღუდელონი ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტნი, წინამძღვარნი და მათის უმის მოკელებნი და თავადნი, და


¹⁾ შ.: ეგრეთვე.

ეგრეთვე სახასოს სოფლების მოკელები და მოურავნი, რომელებიც ამათგანნი შემძლებელნი არიან თავეთის უმისას და სახელფასს გამოყვანას ზოგისას და ზოგისას კი ვერა, მაგრამ ამ ლაშქრობაზედ ის დამნაშავე კაცნი კელში რომ ვერ ჩაიგდონ, იმისის სახლის კაცისას და მამულისას, და დედულისას, და საქონლისას შემძლებელნი არიან, რომ კელში მოგვცენ. და არც იქნება რომ ორში ერთი არ მოგვცენ, რომლისაც რომ შემძლებელნი არიან მოცემისა, და არც რომელიც იმისის სოფელზედ და ან ერთს იმ დამნაშაოს კაცის დამმალველს კაცზედ დაფაკლებთ რამე გარდაკდენებას¹⁾, თუ ის კაცი კელში ვერ ჩავიგდევით.

ლვ) ქ. და რომელთაც უოფლად სამღუდელოთა ეპისკოპოსთა, ან არქიმანდრიტთა, წინამძღვართა და მათთ მოკელებთ, და კიდევ თავადთ და აზნაურთ, და ეგრეთვე ამათ მოკელებთ, და კიდევ ჩვენის სახასოს უმათ, მოკელებთ, ვეგლას ვიცნობთ შემძლებელთა ამ საქმეში, და ეგრეთვე შეუძლებელთაცა, რომელსაც იმ უარშიოს და დამალულის კაცის მოყვანა ძალით არ შეუძლიანთ, იმას არას უსავეკდურებთ და ამ დამნაშაოს კაცის სოფელს, როგორც ზევით დაგვიწერია, ისე გარდავაკდევინებთ, და ეგრეთვე კიდევ იმის დამმალველს კაცს, თუ ის კაცი არ მოგვცენ ვადამდის.

ლგ) ქ. და რომელსაც მებატონეს, სამღუდელოს, თუ სეროს და მოკელებთ და ეგრეთვე სოფელს, თუ ერთს კაცს, შეუძლიან იმ დამნაშაოს კაცის მოყვანა და არ მოიყვანა, იმ ზემოწერილის განჩინებისაებრ გარდაკდება, იცოდენ.

ლზ) ქ. ვინ იცის სამისა და ოთხის დღის ავადყოფა გამოიაროს ერთმა კაცმა და მალე მორჩეს, და წამოსვლაც შეუძლოს, მორჩომის შემდგომად კარგი მგზავრი იშოოს, და წამოვიდეს თავისთავის რიგში, თვარემ რაც გარდასახდევინებელი დაგვიწერია, ნახევარი უსათუოდ გარდაკდება და გარდაკდება, იცოდეს. აღიწერა განჩინება ესე თვეს იანვარსა ა, სიტყვისა ჭთისა განკორცვილებითგან წელს: სიღოდ, ქართულს ქვს უაბ.



1) მ. და შ.: რასმე გარდახდევინებას.

ქრისტეფორე მამაცაშვილის მიერ გაღმწერილს პირს თავში ახლავს შემდეგი ნუსხა:

აზრილში უნდა იყოს ძორიგეთ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ოთარისშვილი ჩრდილელის უმა სულელიძე ჰაზისშვილი იესე.

ქ. გაიბოტენილამ ოთარისშვილი ჩრდილელის უმა ჩაბაკური ბერიშვილი სუტა.

ძაისში უნდა იყოს ძორიგედ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ოთარისშვილი ჩრდილელის უმა ელაღლისშვილი სუტელიძე ივანე.

ძოიბათვეში უნდა იყოს ძორიგედ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა ჩაბაკური ჰაზისშვილი სუტა.

ძკათათვეში უნდა იყოს ძორიგეთ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა სულელიძე ჰაზისშვილი ზაზა.

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა ჩაბაკური ჰაზისშვილი გიორგი.

ძარბაზისთვეში უნდა იყოს ძორიგედ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა სულელიძე ჰაზისშვილი თაგო.

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა ჩაბაკური ჰაზისშვილი თათარი.

ენკენისთვეში უნდა იყოს ძორიგედ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა სულელიძე ჰაზისშვილი ივანე.

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა ჩაბაკური ბერიშვილი გიორგი.

ღვინობისთვეში უნდა იყოს ძორიგედ სევის გაიბოტენილამ:

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა სულელიძე ელაღლისშვილი ბერი.

ქ. გაიბოტენილამ ჩრდილელის უმა სულელიძე გოჭისშვილი ბერი.

გიორგობისთვეში უნდა იყოს მორიგედ გაბოტვნიდამ:

- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა ხუფელიძე ჰაზიაშვილი ჰაზუა.
- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა ჩაბაკური ბერიშვილი თადილე.

ქრისტიშობისთვეში უნდა იყოს მორიგედ ჩრდილელის უმა გაბოტვნიდამ:

- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა ჰაზიაშვილი ლურუმი.

იანვარში უნდა იყოს მორიგედ ხევის გაბოტვნიდამ:

- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა ხუფელიძე გოჭიაშვილი ლომა.

თებერვასში უნდა იყოს მორიგედ ხევის გაბოტვნიდამ:

- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა მოჯამაგირე საფარაშვილი ნონია.

მარტში უნდა იყოს მორიგედ ხევის გაბოტვნიდამ:

- ქ. გაბოტვნიდამ ჩრდილელის უმა ჰაზიაშვილი ჰაზუა.

192. წყალობის წიგნი, 40×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღ-ზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. დედანი ამ სიგელისა დროებით გადმოგვცა პეტრე ციხისთვიშვილმა.

1782, აპრილის 10. ქ. ჩვენ სრულად საქართველოს მეფემან ირაკლიმ ესე წყალობის წიგნი გიბოტეთ აზნაურს ციხისთვიშვილის ომანის შვილს იოსებს, ასე რომე ფშაკელში ამოწევეტილის ამირაშვილის მამულიდამ ესე სიგრძის მიწა, დღეს რომ შენ შიგა დგეხარ და შემოფარგვლით გაქვს, შენის აშენებულის ბახჩით შენთვისვე გვიბოტებია ყოფლის კაცის უცილებლად და ღავე... სიგრძის მიწის გარდა. სხვა ამასშვილის მამული რაც არის, ან სასხლავი არის და ან სახნავი არის, სრულად ციხისთვიშვილების შარმაზანისათვის და ოტასათვის გვიბოტებია, ორთავ შუა უნდა გაიყონ. დღეის იქით შენთან ამათ ამ მამულში საღაო და საღაპარაკო არა ექნებათ-რა, ასე თავ-

თავისთვის გვიბოძებია. წინაქვილზედ რომ სდაობთ, იმისი ცალკე ოქმი გვიბოძებია კახეთის მოსამართლეებზედა და თქვენს მოურავზე, და რომ ისინი გავისამართლებენ და განაჩენს მოგცემენ, და ჩვენ კი დაფამტიცებთ, ახრილის ი, ქვს უო. ირაკლი.

193. სიგელი, 77×35 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალაღზე. წერა პირველი გვერდისა რგვალი მხედრულია, ძლიერ მსხვილი ხელით ნაწერი, ხოლო მეორე გვერდისა ნუსხა-მხედრულია. ნიშნებათ იშვიათად იხმარება თითო წერტილი. დედანი ჩვენ შევიძინეთ ბუკინისტიისაგან წერა-კითხვის საზოგადოებისათვის.

1782, ახრილის 30. ქ.¹⁾ წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაკრატოვანიან, ყოვლისა ზემოისა საქართულლისა მეფის ირაკლის მეორის ძემან, არაგვის საერისთოს მპყრობელმან, პატრონმან ვახტანგ, და ძმათა ჩვენთა, მეფისა ძეთა, პატრონმან მირიან, პატრონმან ფარნაოზ, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძებთ შენ ჩვენს ერთგულს ემას, არაგველს აზნაურშვილს ჭილაშვილს ბაბანას, შვილსა შენსა გაბრიელს და ყოველთა სხლისა თქუშნისა მომავალთა, ასე და [ა]მ პირსა ზედა: როდესაც სანატრელმა ბატონმა მამა ჩვენმა მეფემ თეიმურაზმა და მათმა სიმადლემ ბატონმა მამა ჩვენმა მეფემ ჰირაკლიმ ის ქვეყანა რომ დაიჭირეს, შენ დიდათ ერთგულად მსახურე, და კუალად (ჭდ) შემდგომთა ამა ჟამებთა შინა მისს სიმადლეს ბატონს მამა ჩვენს იჭრაკლის უმეტესის გულ-მოდგინებით მსახურე, და აგრევე რომლისაჲ მიწეუზისთუჭის (sic) ბატონი დედოფალი, დედა ჩვენი, დუშეთს რომ ბასნდებოდა, კარგათ და ერთგულად მსახურე, და მისისა შემდგომად სანატრელს ჩვენს ძმას ბატონისშვილს ვახტანგს და სანატრელს ჩვენს²⁾ ძმას ბატონისშვილს ლეონს რომ არაგვის საერისთო ეჭირათ, იმათთვისაც მრავალ გზის

¹⁾ ეს ასო დიდათ არის დახატული მეღნით და შემკულია გველის თავებდთ.

²⁾ აქედან იწყება მეორე გვერდის ნუსხა-მხედრულის წერა.

გემსახურა, და აგრეთვე მისმა სიმღლემა ახლა რომ ჩვენ გვიბოძა, ჩვენც შენის შექცევით ბატონ-ჟმერის წესით ერთგულად გვმსახურე, და ერთგულად შენი თავი განაცხადე, და ამთენის სამსახურის სანუფქოდ ჩვენც ეს წუალობა გიყავით: რადგანაც ძველადგანაც იმ ქვეყნის შებატონების მიღახვრობა გქონდა და რუსეთიდან მომავლის ვაჭრისა, და თუ აქედამ წამსვლელის ვაჭრისა, და აგრეთვე ჩერქეზიდან მოსულის ცხენების ბაჟის აღება უფველთვის შენს ოჯახში სასულად უფილიყო, მაგრამ ჟამთა ვითარებისგან წიგნები კი აღარა გქონდა. სანატრელს ჩვენს ძმას ბატონისშვილს ვახტანგსაც, და სანატრელს ჩვენს ძმას ბატონისშვილს ლეონსაც მდომებოდათ წიგნისა ოდეს ბოძება, მაგრამ აღარ დასცალებოდათ, მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენი-სასა და წიგნის ბოძებას გვეაჯებით, რადგანაც შენც ჩვენზედ დიდათ ერთგულად გასჯილი იყუ და ნამსახური, ჩვენც ვისმინეთ თქვნი ვედრება და მოხსენება, და გიბოძეთ მიღახვრობა, რუსეთს მიმავლის და იქედამ მომავლის ვაჭრის ბაჟის აღება და აგრეთვე¹⁾ ჩერქეზიდან მოსულის ცხენების შებაჟობა. ესები(sic) უკვლა შენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია. რომელიც განწესებული ბაჟები არის, ამების უგვლას სრულებით შენ უნდა იღებდე (აღებდე?), რაც შენი რიგი იყოს, მიღახვრობიდანაც ის სარგო უნდა აიღო, და ამ²⁾ ზემოხსენიბულის ბაჟებიდამაც, და სხვა რაც ბაჟი, ჩვენი წილი დარჩებოდეს. უფველს წელიწადს ჩვენს მოხველებს უნდა მოაბარებდე, ანგარიშს გასწმენდდე, და მიბარების ბარათს გამოართმედე, ამას გარდა სამღებროების ბაჟთან შენ საქმე არა გქნება რა, ამიტომ რომ რომელიც ჩვენის ბძახებით მღებარი დაჯდება, ბაჟს ის აიღებს, და ესეც იქნება, რომ ვინიცობა არის, სამღებროებიც და რუსეთის გზის ბაჟებიც ერთმა კაცმა იჯარით აიღოს, და ჩვენ იმაში სართა გქონდეს, ბაჟები იმას დარჩებოდეს იმ წელიწადებში, მაგრამ იმ განწესებულს ბაჟს ისევე შენ უნდა აიღებდე, რაც შენი სარგო იქნებოდეს, შენ აიღებდე და ჩვენს წილს, რომელიც იჯარადარი იქნებოდეს, ანგარიშით იმას მიაბარებდე. ასე ამ წესით გვიბოძებია, გქონდეს და

1) აქ და სხვა ამავეარ შემთხვევებში დედანში სწერია: დაგრევე.

2) დედანში სწერია: დამ.

გიბედნიეროს მამის ჩვენისა და ჩვენს სამსახურსა შინა. არ მოკეშა-
 ლოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთაგან. აწე გიბძანებთ კარისა
 ჩვენისა მოხელენო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით, რა-
 გორათაც წიგნითა ამით სახელოები გვებოდოს. წარიწერა კარისა ჩვე-
 ნისა მდივან-მწიგნობრის ქვაბულოვის მდივნის იოანესითა, თვესა აპ-
 რილსა ლ, ქვს უო.

დავითის ტომ- თა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან	· · · · · · · · · · ჭახტანგ · · · · ·
--	--

194. განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა ბატონიშვილის ვახ-
 ტანგისა, 125X23 სანტიმეტრი, დაწერილია სქელს მტკიცე ქა-
 ლალდზე მშვენიერის რგვალი მხედრულის ხელით. სათაურები,
 პირველი სტრიქონი განჩინებისა და პირველი სიტყვა თითოეუ-
 ლის მუხლისა დაწერილია წითელის მელნით, დანარჩენი შავის
 მელნით. ნიშნებათ იხმარებიან წერტილი, ორი წერტილი და
 იშვიათათ მძიმეც.

1782, ოკტომბერის 14. განჩინება ბარისა და მთიურ-
 თა ადგილთა.

ქ.²) ჩვენ საქართველას მეფის ირაკლი მეორის ძემან, სრუ-
 ლიად არაგვის საერასოაოს მპყრობელმან, ვახტანგ სანატრელის
 ჩვენის ძმის ბატონისშვილის ლეონისაგან მთებში დადებული განჩი-
 ნება ხელმოკრედ განვახსლეთ და რაგდენნიმე ჩვენ მიერ განწესებუ-
 ლებიც თან ჩაუტევიით. უოველთა არაგვის საერასოთოს ბარში მოკოფ-

1) ბეკედს ვრცელი წარწერა აქვს, მაგრამ სიტყვა ვახტანგის მეტი
 არ განირჩევა გადასულობის გამო.

2) ეს „ქ“ დახატულია დიდათ მელნით. შუატანზე შემოჩვეული
 ჰყავს გველი, რომელსაც თავი ზემოთ აქვს და პირდაღებულია. ასოს
 თავზე ზის ფრინველი, ფრინველს კლანჭებში უჭერია ისარი. ფრინველი
 ესეც არის უშვებს კლანჭებს ისარს, რომელიც გველს ხახაში უნდა ჩა-
 ერკოს. ბოლოც ქანისა გველის თავის სახით არის შემკული.

თა კაცთა ასე გიბძანებთ: რომელიც ამას ქვეით დაიწერება, დღეის იქით ასე უნდა აღსრულდეს¹⁾:

ა) ქ. ჭონ ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოაკუდეს, იმ მკუდრის ზატრანი თავის თავად დაშქარს ნუ შეიურის და მკულეღს ნუ დალაშქრავს, და ნურც თვითან ეცდება იმის სიკუდილსა, ჩვენს სამართალში მოვიდეს და სამართალი მიეტემა. თუ ჯარით დალაშქრავს და ან სხვა რიგად მოინდომებს რასმე იმის გარდაკდევინებას, იმ მკუდრის სისხლსაც ჩაუტარებთ, და რომელიც კაცი იმას დაშქრად მიჰყვება, იმასაც ჯარიმას წავართმევთ, და უჩვენოდ იმასთან საქმის გასარიგებლად ბჭეებიც ნუ დაუსხდებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოგვეპურებით.

ბ) ქ. თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიუვანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ კელი უნდა აიღოს. თუ შეუტყვევით, რომ რომელსაც ქალი შინ მიუყვანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ეოფილა, იმას ჩვენზედ შეტოდებასავით მოვიკითხავთ, და ქალის ზატრანი, რომელიც თავისს ქალს ჯვარდაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოგვეპურებით. ჯვარდაუწერელად ქალის შინ მიუვანა არ იქნება.

გ) ქ. თუ რომელიმე ქრისტი[ე]ანი კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოურდება, იმას ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ და დიდადც გარდავახდევინებთ, და თუ ოსმა ქალი მოგტყვოს, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა კი მონათლოთ. მოუნათლაობა არ იქნება.

დ) ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძახებს კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ. დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაგან. რომლისაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იუოს, ის უნდა შეირთოს.

ე) ქ. თუ ჩვენის ბძანების წინააღმდეგი შეიქნას კაცი ვინმე, ის კაცი რომლისაც სოფლისა იუოს, იმ თავისმა სოფლის კაცმა და თავისმა მოკლეუმ უნდა დაიჭიროს და დაჭერილი ჩვენთან უნდა მოიუუნონ, თუ არ დაიჭერენ და დაჭერილს არ მოგვგვრიან, რისაც გარ-

1) ეს შესავალი სხვა ტექსტზე ბევრათ უფრო სხვილი ხელით არის ნაწერი.

დახდევინების ღირსი ის კაცი იქნება, იმის მაგიერად იმ სოფელსა და იმისს მოკვლეს გარდავახდევინებთ.

გ) ქ. თუ რომელიმე კაცი ჩვენის ბძანების წინააღმდეგი იმ თავისს სოფელში ადარ იუოს და სხვას სოფელში მივიდეს, ის თუ იმ სოფლის კაცთ და მოკვლემ არ დაგვიჭირა, იმ კაცის მაგიერ იმათ გარდავახდევინებთ.

ჩვენ მიერ განსჯილი განჩინება¹⁾:

ზ) ქ. რომელიც რომ ამ ქვეყნისთვის ეზისკობასად დადგინებული წილენელი ბძანდებ[დ]ეს და იმ ეზისკობასმა სულიერი კანონი გიბძანოსთ, და მართლის ქრისტიანობის წესი და რიგი გამტნოსთ, და დაგარიგოსთ, და თქვენ იმაზედ არ დაემორჩილენით, და ეს ჩვენ შეგიტყუვით, ამას დიდად მოვიკითხავთ და ჩვენად შეცოდებად და მუხანათად გარდავახდევინებთ.

წ) ქ. [დ]ღეის იქით ტუუილად სანივარი და ტუუილად წადავება ვისიმე ადარ იქნება სამართალში გამტუუნებულისგან, და თუ რომელსამე სამართალში გაუგლიათ და იქ ერთი რამ ნაკლები სამართალი მისტემათ, და საბუთები ექნება იმ თავისის სანივარისა, მაშინ ჩვენ ადარ დაუშლით სამართალში მოსვლას, მაგრამ თუ ის საბუთები ჭეშმარიტი არ არის და ტუუილად წაუდავება და სამართალში გაივლის, დიდად გარდავახდევინებთ.

თ) ქ. ღთნ ნუ ქნას, თუ რომელსამე სოფელში კაცი ამოსწუდეს, ან შვილი, ან ძმა არ დარჩეს, იმისს მამუელს ნურგინ დაიჭერს, თუ უნდა გაყრილი ძმატ ჭუჟანდეს, მანამდის ჩვენ არ მოგვანსენოს, მანამდის ის მამული ისევ ბეთალმნად უნდა იდვას, მოკვლე მოვიდეს მოგვანსენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს.

ი) ქ. ნურცავინ ჩვენი უმა საუდრის მამუელს იუიდის და ნურც საუდრის უმა ჩვენის უმის მამუელს. დღეის იქით თუ იუიდის ვინმე, იმ მამულზედაც კელს ავადებინებთ და თავისსა მამულსაც წავართმევთ.

¹⁾ ეს სათაური წითლურით არის დაწერილი.

ა) ქ. ვინიცობა არის, თავისის სოფლიდამ მამულის მქონე კაცი აიყაროს და სხვას სოფელში დასახლდეს და იქილამ მამულის გასუიდეა მონინდომოს, თუ ჩვენს უბძანებლივ იუიდის ვინმე, დიდად ავად მოვეპურობით, და რასაც იმ მამულში ფასს გაიდეებს, ერთს კიდევ იმდენს ჩვენ წავართმევთ, და არც იმ მამულს ვასუიდეგინებ[თ].

ბ) ქ. მსახური თავისის მამულს ვერ გაჭყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენი მსახური ვინც იქნება, იმას უნდა ჰქონდეს, და თუ ან გაჭყიდის და ან იუიდის ვინმე, გამსუიდეველსაც და შეიდეველსაც დიდად ავად მოვეპურობით: იმ მამულსაც წავართმევთ და თავისის სამკვიდრის მამულზედ კელს ავადებინებთ, რადგან მსახურთ მამული, ვინც ჩვენი მსახური იქნებან, იმათთვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა.

გ) ქ. თუ სახსოს კაცის მამულს აზნაურშვილი, თუ სხვა მოკელე ვინმე იუიდის ჩვენს შუეტუებლად, იმ აზნაურშვილს დიდად უწევთ. თუ სუიდევის მოწადინე იქნება, მოვიდეს, იმ აზნაურშვილმა ჩვენ მოგვასხენოს, თუ მუნასიბი იქნება, ჩვენ გავსინჯავთ, და ჩვენის დასტურით იუიდას ის მამული.

დ) ქ. თუ სამართალში კაცი დავიბაროთ და ის კაცი ჩვენს იასაულს, რომლისაც სოფლისა იუოსა, არ გამტყვევს, იმ სოფლის კაცთ დაგვიჭირონ და მოგუგვარონ, და თუ იმ სოფლიდამ გაეპაროსთ სადმე, სადაც წავიდექს ჩვენს საბრძანებულში, უველგან უნდა სდიონ, და ეცადნენ იმისს კელში ჩავგლებას. თუ ამაზედ ბეჯითად არ გაისარჯნენ, დიდად გარდავანდეგინებთ, და თუ სხვას სოფელში მივიდა სადმე და სწორედ იმ სოფლის კაცთ არ დაგვიჭირეს, ჩვენს მუნანათობასავით მოვიკითხავთ.

ქ. მართალია ბევრი მთის განჩინებაც ურეგია, მაგრამ აქ ესეც სახმარია რომ უნდა იუოს¹⁾: განჩინება ბარისა.

ი) ქ. რომელიც რომ ფასის უარაული არის განწესებული, ის უარაული დრომდის სულ მოუკლებლად უნდა იუოს, და იმ უარაულებს თავ-თავისი ფასის მძლეველი სოფლები განწესებულს ფასს დაუკლებლად უნდა მისცემდენ ხოლმე, და თუ იმ უარაულებმა უარაულობის

¹⁾ ეს წითლურით სწერია დედანში.

რიგს დააკლეს რამე, და ან ბეჯითად არ მოიქცენ, დიდად გარდავახდევინებთ, და თუ იმ ფასის მძლეველმა სოფელმა თავისის განწესებულის ფასის მიცემა დააკლეს, იმათაც დიდად გარდავახდევინებთ.

ივ) ქ. ჭონ ნუ ქნას, თუ ან ტუვე დაიკარგოს და ან საქონელი, და ან უზახი გაჩნდეს სადმე, იმაზედ დიდად ბეჯითად უნდა გაისარჯნენ მდევრობით, თუ გზის შეკურნით, და იმის მდევრობაზედ კაცი არ უნდა დააკლდეს, თუ არ შეუძლებელი და თუ იმის მდევრობაზედ დააკლდება ვინმე და დიდად ბეჯითად არ მოიქცევიან, და არ გაირჯებიან, და სადამდისაც მდევრობის უავლი არის და დასრულდება, რომ იმას იქით აღარას გზით აღარ შეიძლებოდეს¹⁾, იქამდის არა სდევენ, და დევნას დააკლებენ, სწორედ ჩვენის მუხანათობის მსკავსად გარდავახდევინებთ.

იზ) ქ. რომელსაც სოფელში ტუვე დაიკარგოს, იმ სოფელმა უოველს თავის მახლობელს სოფლებს უნდა შეატუობინოს, და მაშინვე მდევარი უნდა გამოუდგეს. რომელიც სოფელი იმის მდევრობაში დააკლდება, დიდად გარდავახდევინებთ, და იმ ტუქსებსაც იმ სოფელს გარდავახდევინებთ, და თუ რომლისმე სოფელიდან იმ მდევრობაში კაცი დააკლდება, იმ კაცს ორი ზროხა გამოართონ და იმ მდევრის კაცთ გაიყონ.

ქ.²⁾ ასრე ამ წესით უნდა მოიქცეთ. თვითო ამისთანა წიგნი უოველგან ჩვენს საბძანებულში ძეგს და აქვენშიაც ამიტომ გამოგზავნეთ ეს წიგნი, რომ მანდ უნდა იღვას. რომელიც კაცის დღეის იქით ამ ზემო ბრძანების გარდახდება, იმ კაცმა ისე იცოდეს, როგორც კაცის მკულელს სიკუდილით, მამულიდან და თავის ალაგიდან აყრით, აკლებით და დაკარგვით გარდავახდევინებთ, ისე ამ ბრძანების წინააღმდეგობს. აღიწერა ოკდონბერს იდ, წელსა ჩღჰჰ, ქვსა უო.

195. არაა გორელებისა და არააზე მიწერილი განჩინება ირაკლი მეორისა, 33,5×12 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზედ ნუსხამხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ახალი სტრიქონების წინ ორ-ორი წერტილი და აქა-იქ მძიმე. ეს და ამას ქვემოლ მოყვა-

¹⁾ დედანში სწერია: შეიძლებოდეს.

²⁾ აქედან ხელ-ახლა მსხვილი ხელი იწყება.

ნილი ბრძანება ირაკლი მეორისა ჩვენ გადმოვსწერეთ ნამდვილებიდან, რომლებიც „მომამბის“ რედაქციას მოუვიდა ბ-ნ ილია ჭყონიასაგან. ნამდვილები პატრონის სურვილისამებრ გადაეცა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავს.

1781, მაისის 13 და მკათათვის 4. ქ. ღთნ ბედნიერის კელ-მწიფის ჭირი მისცეს ერთობ გორელებს!

ამას წინათ ამ საქმეზედ კიდევ არზა მოგართუით, რომ ჩვენის საქონლის საძოვარი კარაღეთის ბოლოდამ დაჭერილი რომ ჩვენ და ერისთვისანთ საქვეყნო სამანც გვიზის, იქილამ გორის წისქვილებამდინ ალა ჰაზაშვილს ჰაზას უჭირავს, ზოგს თითონა ხნავს და ზოგს სხუთ ახუნევიებს, და დაღას თითონ იღებს.

ღთნ განსაძიეროს თქვენი მეფობა. ემინობა შეიქნა, თქვენი დოვლათით ოთხ-კუთხი სოფელი აშენდა, და ზოგიც შენდება, და რაც ოთხეუნი საქონელი გვეყავს, ადარა კაცმა თავიანთ მამულში ადარ გვაძობინა, და ჩვენის საქონლის საძოვარი ეს არის, მოგასხენებთ, უოველი კაცი ოთხეუნი საქონლითა ვცხნოვრებთ. ამდონი თქვენი წყალობა იუოს, მთელი გორი დიდი, თუ შერიე, ერთობლივ გვეუდრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვნებდეს, ამისი შოვნა არას გორელის კაცისაგან არ იქნება, თორემ იმდენი ღთნ გამარჯვება მოგცესთ, რამდონს გორელს კაცს თვალი ეჭიროს, თუ გაიცემოდეს, და წლეკანდელის დაღისაც ნება თქვენი აღსრულდეს. მაისს იგ, ქვს უმთ. □ □ □ □ □ □ □. მე ხითარაშვილი ზურაბა, მე ანდრიაშვილი თომა +, მე გობრანთ იოსება.

მე იოანე ჰენტელაშვილმა ამ არზის ჰირი ვნახე და გარ[დ]-მოვსწერე, მაისის კვ, ქვს უმთ¹).

თავში და განის აშიაზე არზას აქვს წარწერა ირაკლი მეორის ხელით:

ქ. ჩვენი ბძანება არის, ჰაზა მწერალო! მერმე ამ არზით გორელები რომ ასე ჩივიან, ეგ მამული თუ ძველთაგან საგნავი უოფილა და ან ბეითაღმანი უოფილა ვისიმე, ამას წინად რომ შენ მოგე-

1) ეს პირი მოურთმევიათ, ეტყობა, ირაკლისთვის და ირაკლის ქვემო მოყვანილი განჩინება ამ პირზე წაუწერია.

ცით, შენივე იქნება და, თუ ძველთაგან სკანავი არა უოფილს და ს-
ქვეუნთ სძოვრათა ჰქონდესთ და შენ უაღათთ გაციშინჯობია და
ისე გამოგირთმევი, ჩვენ იმ მამულს ვერ გავცემთ და გორელებს
ვერ გამოვართმევთ. ის მამული ისევ უნდა დასდვა და დალაც ჩვენ-
თვინ უნდა აიღონ. დასამიძე მინბაშო იოანე, ეს ასე გაარიგე. კა-
თათვის დ, ქქს უფთ. ერეკლე ¹⁾.

196. ბსანების ოქმი მეფე ირაკლი მეორისა, 43×16,5 სანტიმეტ-
რი, დაწერილია ლურჯ ქალაღზედ ნუსხა-მხედრულის ხელით.
ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

1775, ივლისის 18. ქ. ჩვენი ბსანება არის, დასამიძე მინ-
ბაშო ტეტიავ, აღათონიკე ამილახვარიშვილო, დიმიტრი მგალბელო,
მიქელავ მამასახლისო, სულთნისშვილო მანუჩარ, ბაბალაშვილო ავ-
თანდილო, თუთუნაშვილო დავითავ, ოჭანჯანაშვილო ისაიავ, სკაშვილო
ფარსადან, ზუბალაშვილო იოანევ და ერთობით გორელებო, მეპევი-
დრ[ე]ვ და ხიზანო! მერე ომანისშვილი გოგია და ალექსისშვილი
იაკობ რომ იასულად ბატონს ჩემს შვილს ფარნავაზს გამოუგზავნია,
ერთი ექვსს თუმანსა გთხოვსთ და მეორე სამს თუმანსა გთხოვსთ.
ეგენი ორნივ დაიჭირეთ, ან რაც კაცი ახლდესთ, თავიანთი თუ ვი-
სიც უნდა იუოს, უველანი უნდა დაიჭიროთ და ცხენი და იარაღი
თქვენთვის სულ სახალხოთ მომიცია, და მაგათ უველას თავი გაუტე-
ხეთ, ოთხას ოთხასი ჯოხი დაჰკარით, ძალიანი ჯოხები, და ასე ჰქმე-
ნით, თუ ქრისტეს მგმობელი არა ხართ და თქვენის სარწმუნოებისა,
ამ ჩემს ბრძანებას ასე აღასრულებთ, თუ ასე არ აღასრულეთ წმინდა
სარწმუნოებაცა და ღთიც გაციწერესთ და დაწეულიც იუვნეთ, და თუ
ასე აღასრულეთ, როგორც მომიწერია, ღთმა თქვენ უოველი სულიე-
რი და კორციელი ავი გაშორასთ, და უოველი სულიერი და კორცი-
ელი საქმენი კეთილად წარგიმართოსთ, და ეგ მაგათი ნაცარცივი ჰა-
ლადი ქმნას თქვენთვის; და მას იქითაც, თუ ჩემმა შვილებმა და ან
შვილის-შვილებმა შემოგაწერონ რამე ერთის შაურიდამ ას თუმან-

1) სრული წარწერა ბეჰედისა ისეთია, როგორც № 169-სა.

დინა, ნურათურს ნურას მისცემთ. თუ ძალა მოინდომონ, კაცები კარგად დაუტევიან, ისე გაუყარეთ, თუ თქვენზე იარაღი მოინდომონ და იხმარონ იმათმა კაცებმა, თქვენ ერთისათვის ორი და სამი იარაღი იხმარეთ იმათზედა. გორელებო, დიდნო და მცირენო, სახასონო, ეკკლესიისა და ან სხვისა ვისიმე უმანო და ხიზანნო და დედაკაცებო, თქვენც ასე ჰქმენით, ჯოხი და ქვაც იმისთანას, იმათს გამოსეულს იასაულებს ასე უყავით. გორელებო და ან სხვა ვინცა სწერია ამ ჩემს განაჩენსა და ოქმზე, ვეგლამ ასე უნდა ჰქმნათ და კიდევ ამასუდ ერთმანერთს შეჰტიცათ, და რომელმაც არ დაიფიცონ ჯვარსედა და სახარებაზე, ჰირველს კაცს სამი თუმანი წაერთვას და მეორეს ორი თუმანი და მესამეს ერთი თუმანი, და სათემთ თქვენთვინ გამოიყენეთ და თქვენთვის დახარჯეთ. ქართველის და სომხის ორთავე სამღვდელთნო და ეკკლესიების შინა მოსამსახურენნო, მთავარეპისკოპოსის საუდრის გარეთ ეზოში შეიყარენით, მართებულის ჰატივით სამდთო სახარება და ცხოველმყოფელი ჯვარი ჰატიოსნებით დაასვენეთ, ამ საქმეზე ასე დაიფიცეთ და ჩემი ერთგულებაც შიგ ჩატანეთ, ასე უფრო გიჯობსთ, ივლისის იწ, ქკს უზგ. ერეკლე ¹⁾.

197. განჩინების წიგნი, 25,5 X 11 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქდზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. დედანი განჩინებისა დროებით გადმოგვცა პეტრე ციხისთვიშვილმა.

1801, აპრილის 29. ქ. ციხისთვისშვილის იოსების ეზოში დორი გ[ა]ერეკა ამისი სახლის კაცის შერმაზანის მედორეს, ამ იოსების შვილს გამოერეკა, ამ შერმაზანს გაეღახა ის უმაწვილი. ეს იოსებ შინ არ ყოფილიყო. რადესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო. მასუკან ის შერმაზან თავის ვენახში ყოფილიყო, გადმოხტარიყო და მისულიყო იოსებთან თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შვილი გაქცეულიყო და მიხდომოდენ და ორთავ მამა-შვილთ გაეღა-

1) სრული წარწერა ბეჰედისა ისეთია, როგორც № 169-სა.

ხათ თავის კარზედ. მოვიდა, იჩივლა იოსებმა, ისიც მოვაყვანინეთ და ვალაზარაკეთ და ასე უოფილიყო ამათი შოთი. მეც ეს სამართალი მივეც საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხდომისათვის მთელი სისხლი გაუჩნდა, მაგრამ ზოგი ლანძღვაში ჩაუტარეთ, ზოგი სამართალმა იპატა(sic) და თექვსმეტი თუმანი კი დაედო, რადგან აზნაურმედიები არიან. ეს თექვსმეტი თუმანი ორი წილი ვეჯი¹⁾ უნდა მისცეს და შესაძელი თეთრი შერმაზანმა ამ იოსებს, აზრილის კო, ქვს უბო. მდივანბეგი სვიმონ.

198. განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფოაღსათვს საქართველოაღსა. დედანი ამ განწესებანისა ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას და შემოწირულია იასონ ციციშვილის მიერ № 1487. ხელ-ნაწერი, 34×22 სანტიმეტრი, შეიცავს 27 ფურცელს მოლურჯო ქაღალდისას. ნიშნებათ იხმარება წერტილები, ორ-ორი წერტილები და მძიმე. ქართული ტექსტის პირდაპირ, რომელიც გაკრული ნუსხა-მხედრულის ხელით არის ნაწერი, მოყვანილია რუსული თარგმანი მეფის ძის მირიანის მიერ ნაშუშაკევი. პირველ გამოცემაში ჩვენ ეჭვი გამოვთქვით ამ განწესების სინამდვილეში, მაგრამ ეს ეჭვი არ გამართლდა. მოსკოვის არქივში დაცული ყოფილა ამგვარი საბუთი.

1791 წელი. შირი განწესებათა.

განწესებანი საქართველოს მეფის ოჯახისათვის და ქვეყნისა ამის დადებული საუკუნოდ ნეტარ სახსოვარისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისაგან, რომელნიცა ბრძანებითავე მისითა გამოცხადდა სახალხთო ქართულსა ქვს უოთ, რომ იქნება საეკლესიოთა აღრიცხვითა ჩღუა წელი, და დაიბეჭდა იგი საქართველოს შინა მეოფთა ჩინებულთა სამღუდელოთა და საეროთაგან და შენახულ იყო სამეფოსა პალატსა შინა ქალაქსა ტფილისს, ხოლო დროსა ალა-მამად-ხანისაგან ქალაქისა ამის დაქვეყნისა სარწმუნო არს, რომელ განწესებაცა იგი მუნ დაკარგულ იქოს, რამეთუ მიერ ჟამიდგან აღარსად იხილვება,

1) „ვეჯი“ არის პური, ქერი, საზოგადოდ მარცვლეულობა.

გარნა აწ ვხვთ სარწმუნო ზირი მისი, რომელსაც შინა მრავალს ალაგს თვით ზემოხსენებულის სანატრელის მეუის კელითაც არს ჩაწერილნი, რომელნიცა თითო-თითოდ მუნ დანიშნენიან ესრედ: სცა ჯვარი ისხდეს, იქ დაიწება სანატრელის მეუის კელი და სცა ნოლი ისხდეს, იქ კი დასრულდება. ხოლო ზირი ესე თვით იმ სარწმუნოს ზირისაგან გარდმოიწერა და რუსულად ითარგმნა, რომელნიცა ნიშნენ ამის ქვემო.

ა) სახელითა ერთ-არსისა და სმგვამოვანისა ღთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ვსწერ მე მეორე ირაკლი ზანკრატოვანი, ძე ცხებულისა მეუისა თეიმურაზ მეორისა და დედოფლის თამარისა, და ვხმარებ სიმკაცრესა უოფლის მარტოობით და უმანკობით, რათა არა სჭირო სქმე რამე, ანუ სიბრველიე იხკობდეს ამაში, არამედ მინდობითა უოფლად წმიდისა სულისათა ვეძიებ, რათა სიმართლით გამოვაცხადო, ჭეშმარიტის ძალის მქონებლობით აღვსწერო ჩემთვის და შვილთა ჩემთათვის და შვილიშვილთათვის, და კვალადცა შვილთა მათათვის და კიდევ შთასრულთა მათათვისცა, და ეგრეთვე შემდგომთა მათათვის და რტოთა მათთა, და ქვეყანის ჩვენისა და მას შინა მეოფთა სამდგდელოთა და თავადთა. და აზნურთა, და უოველთა, რომელნიცა დღეს კელთა ჩვენთა შინა არიან და ანუ წადმართ ღთით იქნებიან + რაც სქმეში წილი ამაში ჩემის ჩამომავლობის არის, ისიც გარჩევით დამიწერია და ან, რაც ქვეყნისა იყო, ისიც გარჩევით დამიწერია 0.

ბ) აწ სჯულად უღებ სხლსა ჩემსა და შთასრულთა ჩემთა ნათესაობითთა გვარეულობასა და საქართველოსა ქართველთა და კახთა, და სამდგდელოთა, და საეროთა, ბრწინვალეთა თავადთა, აზნურთა და ეგრეთვე მოხელეთა, კეთილშობილთა და სხვათა მოხელეთა სოფლისათა, და სხვათა ერთა მოქალაქეთა, და სხვათა ბარისა და მთისა ალაგებთა შინა მეოფთა და მცხოვრებელთა გაუწეებ და გიბრძანებ და კიდევ გვედრები, რომელსაც ამ განწესებას დავსწერ, თუ მე ჩემსა სხლსა და ოჯახზედ გარჯილობა და ჭირნახულობა მქონდეს და ან ქვეყანაზე ერთდგულობით ვეოფილევიყო და შემსახუროს, რაც ამაში დამიწერია, ის მიიღოთ. რახანც (ნახანც?) მიიღებთ იმას ღთით, მასუგან არაოდეს შეოფთისა და სისხლის დღვრისა და ერთმანერთის

მტერობის საფიქრებელი ადარა გეგნებათ-რა, ამ ჩემის აღწერილის აზრის მიზნით ამ ჩემის შვილების საქმეში სრულად თქვენში შფოთს ვეღარ შემოიყვანენ და, თუ სხვაგნადაც ვინმე შფოთს შემოგოდებენ, ჭთით ამ ერთობით, რომელიც მე დამიწერია, კიდევ განზღვევით და ჭთიც შეგეწევით სიყვარულსა და ამისთანს ერთობაში + ჩემს შვილებსაცა და ქვეყანასაცა 0.

გ) ეს განზრახვა გასინჯულობა და დამტკიცება არაფრის სხვის საქმისა და მოგონებისა არა არის-რა. ამისი მხედველი თვით უფალი არის, რომ სახლეულობისა ჩემისა და შთასრულისა ნათესაობისა ჩემისა და შვილთა მათათვის აღწერე, რომ არ გაიყარნენ, ერთ საშეფო იყოს და სიყვარულით იყვნენ და არ მტერობდნენ, ეგრეთვე ქართველთა და კახთათვის, რომ ამ საქმით იყვნენ სიყვარულით დამტკიცებულნი უოველნი ბატონ-უმანი და ამხანაგნი, რომ თქვენში ჭთის წინაღმდეგი შური და შერევნა არა მოხდეს რა და ის განწესებაები, რომელიც ქვეით დაიწერება ჩემის სახლისა და საქართველოს დიდთა მცირეთათვის, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემს შვილებმაც და შვილიშვილებმაც და საქართველოსა და კახეთისა ერთად იმ აზრებს არა მოაკლოთ რა, თორემ ჭეშმარიტად, უცილთ მამინეუ გამოჩნდება შური და მრისხანება და ამასთან ხმალი დაიწეებს სისხლის ღვრასა და ნათესავნი, მახლობელნი და მოყვარენი საგულისგულობნი შეირევიან, ზოგნი ერთის კერძისაკენ დარჩება და ზოგი მეორეს კერძს და, რაც ძალი ექნებათ მტრისათვის, ის მოყვარეზედ დაიხრჩება და ნათესავზე, და მოაკლდება ძალი ქართველთა და კახთა, და მტერი წინ წამოდება და ზედაც შემოჯდება საქართველებს და მასუკან გარევიან წმიდასა სარწმუნოებასა, დასჩავგრენ უსჯულთნი საქართველთა, გადარიბდებიან, დამცირდებიან და ზოგნი დაცოცნებებიან და ასრე წახდებიან, და ეს ამით დაგემართებათ, ქართველნი და კახნი, რომ ჩემი შვილებისა, რაც დამიწერია, თუ იმაზე არ დაზდექით და ისინიც არ დააყენეთ, უიჭოდ იცოდეთ, ჭთი გაშორდით, მრავალი ავი დაგემართებათ. მოგესხენებათ სამდევლოთაც და სეროთაც და ნახამთ, წაიკითხამთ ამას სრულად, ცხადად სტნობთ ამ წერილიდამ, რომელიც დაიწერება და ან ზემოთ დაიწერა.

დ) სამობითსა და ერთობითსა ღთისა ვუვიცავ, რომ, რაც ეს განწესება დამიწერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის შეკითხოს და არც ვისმე ერჩიოს და არავისიმე მეტობის მონდომობით, არცა ვისიმე დაკლებით მე ეს არ დამეწეროს და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მთქმელი და გამრჩეველი სხვა ამის დაწერადმდე არა მყოფოდეს, და ამაზედ ცილი ან მე არავინ დამწამოს და ან სხვათ, რომ დიდი ცოდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შეილმაცა და ქვეყანამაც.

ე) საუფარულნო შეილნო ჩემნო და სხვანო სამდვდელნო და სჯერონო მამანო და ძმანო, და შვილნო, და მეგობარნო ჩემნო! ჩვენ საქართველოს კაცნი ვართ და ჩვენის (ჩენის?) ქვეყნის სამართალს ჩვენ ვერ გადავადგებთ და არც შეიძლება, და ბევრმაც რომ მონდომოს, ძალიან გარჯა მოუნდება და წელიწადებიც ბევრი გაივლის, რომ სხვა რიგი სამართლის ჩეულება ჩამოგდოს ვინმე, თუ არ დიდმა კელმწიფემ, მაგრამ ამასაც ხანგრძლივი გარჯა მოუნდება. რომელიც საქართველოს სამართლები გაურთიკებიათ, რაერთიც გვაქვს, ის გვეუფოა და დიდად მოსაწონი და ჰატიოსანი არის. და ახლა, საუფარულნო ჩემნო, ერთობით ზემოხსენებულნო, თუ მე ასე არ გამესაჯა და ასე არ გამერიკებინა ჩემის შეილებისთვის და თქვენთვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშვიდობისა, სიუფარულისა და ერთობისა არ განმეწესებინა და თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეტა და არ გამეჩინა, ან ერთმანერთის სისხლის ჩამოვადნის მიზეზი შევიქნებოდე და ან დაკარგვისა სულით და ხორციით მიზეზად მე დავიდებოდე. მას უკან რადა სიტყვის გებადა შემეძლო წინაშე ღთისა და ან წინაშე კაცთა? ეს წინაშე კაცთა დაიწეროს, მარჯულ და მარცხულ არ მიმიხედავს და არც ერთისთვის არ მიმიკერძავს. არას შეტეობით და არას ჩემის გასინჯულობით ამის მეტი განზრახვა არა მქონია, რომ სამხთოსა და ცხოველ მყოფელისა სულისთვის, რაც ძალ მედვა, იმისის თხოვით და ვედრებით დამიწერია ჩემის შეილების გზების ჩვენება და ეს განწესება, რომ თავთავისი წილი მიმიცია და გამირჩევიან წილები გაურისთვის და გაურელლობისთვის, მიზეზები ჭეშმარიტნი და ნიშნები განცხადებულნი მათის უფლის სულიერისა და ხორციელის ქცეულებისა და მოქმედებისა, რომელიც სჯერთოს

ძმობისა და სხლობის რიგი რჩება და გაძლება და უფროს-უმცროსობა და ბატონობა და უფლისწულობა, სამართალნი და მათი სამჯობინარი სხობლო დამინახავს, ის საფუძველი დამიდგია, დამიწერია. თუ ეს ვისთვისმე შეკითხა, მე ამას ვეღარ შევიძლება და ვეღარც გავაკეთებდი და, თუ ხმა გამოსულიყო, ეგება დიდი შერევნაც მომხდარიყო და სულ მამეშლებოდა ეს დაწეობილება.

ვ) ახლა შეილთა ჩემთა და ერთა სამღვდელოთა და საერთოდ ერთობით და ერთ ხმობით ღმრისათვის ეს ჩემი აღწერილი განწესება ჭეშმარიტებით ისმინეთ და კიდევ მიიღეთ.

ზ) შეწევნითა ღმრისათა აწ იწეება ჩემის შვილების ერთობისა და თავად კერძის გარჩევა, თუ როგორი ერთობა დაიწერება და ან რომელსა და რომელთა რა აქვთ თავიანთი საკუთარი წილი, რომელიც ის იმათი საკუთარი ნარკები მამული ყველას მისცემია და აქვსთ, და ეს წილი და კერძი მათი ყველა აღმოჩენილი არის, რომ როგორ უნდა ერთად ძმობდნენ და ან თავისი წილი საკუთარი რა აქვთ განიხილი.

წ) ზირველად საერთოდ უნდა ჰქონდესთ, როგორც ჩვეულება არის, კარის ეკლესია ერთი ტფილისს, ერთი თელავს და ერთიც გორის ციხეში, რომ ეს ეკლესიანი ყველა ძმებისა საერთოდ არის და რომელიც მამისა და მამისა ჯვარნი, ხატნი და სიწმიდის იარაღნი აქვნდეს ყველა, რომელიც რომელსაც ეკლესიაში ყოფილიყოს, იქავ უნდა იყოს.

თ) იქნება რომ დროს მიხედვით ეს წმინდანი ეკლესიების ჯვარნი და ხატნი დროს მიხედვით და სიწმიდის იარაღნი თუნდა თავისთან შეინახონ და, თუ უნდათ, რომელსაც ეკლესიაში ენებოსთ, იქ შეინახონ ერთმანერთის თანხმობით და სამღვდელოს კაცის რიგის მიცემისა, და ეკლესიის საჭირებისა თავთავისის წილის სიბევრით და სიცოცხავით მებატონე და ძმები უნდა რიგს მისცემდნენ.

ი) უნდა დაიმარხონ ეს ჩემი განზრახვა ჩემმა შვილებმა, რომ ყოველს საუფლოს დღეს, ღმრის აშოროს, თუ ერთი რამ მიზეზი მძიმე არა ჰქონდესთ რა, ერთად იდღესასწაულებდნენ, რაოდენ შეეძლოსთ. თუ, ვინ იცის, ზოგნი გარედ საქმეზედ წარსრულნი იუვნენ, იმათ იქ იდღესასწაულონ.

იას) და აქვზდეს სსხლიცა ერთი მოდდო, რომ იმ დღესსწაუ-
 ლობის შედღკომად იმ სსხლში შეიურებოდნენ თავისის სსხლეულით
 და, თუ ვველას ნება იუოს, ვისიშე იქ დაზატრეება და მიწვევა თა-
 ვიანთ ნათესავის ან სხვისა, მი(ი)წვევდნენ და სადილობას იქა ჰყოფ-
 დნენ და, რაც იმ დღეს იქ დაიხარჯება, საერთო ხარჯი უნდა იუოს
 წილის ბევრობით და სიმცირით, რაც დაიხარჯებოდეს სსმედი და
 სსჭმელი გინა სსმდთოსი, გინა მკალობლისა, ანუ თამაშისა ვველა
 საერთო ხარჯი უნდა იუოს, ძმებისა და მებატონისა, როგორადაც
 წილი აქვსთ. როგორც ლხინი ნებავდესთ და შექტევა კეთილად, ისე
 შეექტეოდნენ, რომ ნიშანი გაუურელობის არის და, რაც ერთი სსხ-
 ლობისა და ერთობისა ოჯახის ხარჯი იქნება, ისიც წილობაზე უნდა
 გაიუოს. ბევრის წილის მქონებელმა ბევრი გაიუოს და მცირე წილის
 ჰატრონმან მცირე უნდა დახარჯოს ასე სსმართლით უნდა ეგნენ.

იბ) ჭთის მოწყალეობით თუ რომელმანშე ძმამ საერთოს ეკლე-
 სიებს გარდა თავთავისთვის ეკლესია აშენოს, სადიდებულად ჭთისა
 თავისის კარისა, თუ სხვაგან სადშე, ესეც ძმების დაკითხვით უნდა
 იქნას. და ამ კეთილ საქმეს ვერც ძმები დაუშლიან, მაგრამ, რომე-
 ლიც საერთო ეკლესიები აქვსთ, იმ ეკლესიიდან ვერას გამოიტანენ
 ახლის აშენებულის ეკლესიისთვის ვერც ხატსა, ვერც ჯვარსა, ვერც
 შესამოსელსა, ვერც წიგნსა და ვერც სიწმიდის იარაღსა. თავისის
 წილიდან უნდა შეამკოს ის თავისი ახალი აშენებული ეკლესია იმად-
 მაშენებელმა ძმამ. სხვას კელი არ ექნება არც ხარჯში და არც
 იმ საუდარში + თუ დასაშელი არ იუოს, უწმიდესი ნუ დაუ-
 შლის 0.

იგ) ციხებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის ტფილისის ციხეები,
 გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბო-
 ჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიულის ციხე-
 ებიცა აქვს და ნარიულები ცოტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაკს
 ნარიულებში საერთოდ კაცნი უნდა ეუენოსთ, რაერთიც მოუნდესთ,
 მცველათ და სხვა ციხეები და გალანები, რომ დიდრონი არიან,
 ქართლში, თუ კახეთში, ისინი ცოტას კაცით ხომ არ შეინახება, ის
 სათემო არის. დმერთმან ნუ ქნას, მძღაგრის მტერის შიშობა რომ
 იქნება დასახიზნავად ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი შევა; რო-

გორც დაჩემებული არის და განწყობული ისე უნდა შევიდნენ და დაიხიზნონ. თუ სახსრის დიდს გადავანსა და ციხეში ღვთის მოწყალეობით ხსალი ნარიყალა ააშენონ, ერთმანერთის შეკითხვით უნდა ააშენონ მეფემ და ძმებმა და, როგორც ნარიყალებში საერთო კაცის დაუენება დაგვიწერია, ხსალს აშენებულს ნარიყალაშიაც საერთო კაცი უნდა დააყენონ თავთავისის წილის შეხედულობით, სამართლით და გულ-დაჯერებულობით.

იდ) რაც ამ ჩემს შვილებს თავთავისთვის წილი აქვსთ მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა, აჩუქებენ და ვისაც უნდა, ასესხებენ და ვისაც უნდა დაჭმობატიყებენ. სხვა ძმები არაფერის ვალის მქონებულნი არ არიან, მაგრამ ამისთანა საქმეში ძმები რომ ერთმანერთს შეეწივნენ, დასაშლელი არ არის; მაგრამ კანონად მე დამიდვია ასე და თითონ იცინა.

იე) სახსრებიდამ, სათავადოდამ და, თუ ეკლესიების დებულებაც არის რამე, რაც შემოსავალი იქნება, საქვეყნოს შენაწერს გარდასა + სამად გაიყოფდეს, ორი წილი მეფესა და მესამედი, რამდენი ძმანიც იყვნენ, იმათ 0. კიდევ ამავე ძმებში ესეც განიწიას, რომ, რაც და საიდანაც მეფეს ჯარიმა ერგებოდეს, იქიდანაც მეფეს ორი წილი, მესამედი ხუთმა ძმამ გაიყონ, როგორც ზემოთ დაგვიწერია იმ წესით.

ივ) ამავე ექვსის ძმის შვილებმა, რომელმაც სქესმა თავისმა მოწილემ ძმამ და იმავე სქესის სახლის კაცებმა გაყრა მონიდომონ, დაუშალონ ყველამ, თუ არ დაიშალონ, გაიყარნენ და თავიანთში საუფროსო, საშუალო და საუმცროსოც აიღონ ისე, როგორც თავადები ბარათებით გაიყრებიან + და ეს იმათი გაყრილობა, რადგანც მამული ცოტა ექნებათ, ადვილად და უშფოთრად შეიძლება და გაიყარნენ 0.

იზ) მეფეს თუ უფლის წულთ რომ უცხოს ქვეყნიდამ საერთო სტუმარი მოუვიდესთ და ეწვივნენ, თუ ის სტუმარი საქვეყნოსა და ძმათ საერთოს საქმეზედ არის მოსული, იმ სტუმარს ძმები საერთოდ უნდა დახვდნენ სმით, ჭამით, საჩუქრის მიცემით. ნახევარი ხარჯი მეფისა იყოს და ნახევარი ხარჯი სხვა ძმებისა, მაგრამ უფროს ძმის რომ აქვს საუფროსო და საუფლისწულთ ძმებზე ადებული, იმან ისე მეტი გაიღოს.

იწ) თუ ამისთანა კაცი იყოს, არ ამჯობინონ იმისი დახვედრა, თითონ იცინონ, მაგრამ შებატონე თუ ამჯობინებს, იმას დაუჯერონ იმისი ჩუქება და არ ჩუქება და თავთავის საკუთარს სტუმარს საკუთრად დაუხვდებოდნენ + უფლისფრით 0.

იო) როდესაც საქართველოს მეფეს თავისი შვილები გაუყრია, ის კი კარგის აზრის მქონებული იქნებოდა, მაგრამ იმისთანას გაერას იმისთანა ნასქმეებიც მოაქვს, როგორც მოხდომიათ, რომ ქართველთა და კახთ ერთმანერთში სისხლი დაუღვრიათ; ხან კიდევ ქართველთა ერთმანერთში, ხან კიდევ კახთ ბატონობისა და უფროსობისათვის რხლმები ჩამოფარდნიათ და ერთმანერთის სისხლი უღვრიათ და მე ამისთვის ჩემი შვილები ესრეთ შევყერთე სუკუნეთ და ასე გავჭყარე თავთავეთის წილით.

კ) შვილების მეცნიერებისთვის რომ ისწავლიდნენ ღრამატიკასა და რიტორებსა, და ფილოსოფიასა, და ლოდიკასა, და წერილსა, რომ მწიგნობრად დასარწმუნებელნი იყვნენ და, თუ ამასე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა კი არ იქნება. მე ჩემი მოვალეობა კი მომისხლეტია და თითონ იცინა. თავადებს ის მეცნიერება უფრო გამოადგებათ, სხვისაგან + რომ ისწავლან 0.

კა) კიდევ ეს განიწესა ამ ძმებში, რომ ამათ სახლში მოწყალეებითა ზეგარდამოთა, როდესაც რომლისაც ძმის სახლში ქორწილი იყოს, მეშატონემ ძმებს უბძანოს და განზრახვა ჰყოს, რაც იმ დანიშვნასა და ქორწილში ხარჯი დასჭირდეთ, ნახევარი მეშატონის უნდა იყოს და ნახევარი სხვა ძმებმა გაიღონ და, ვისაც შეწევს სხვა ქორწილში უნდაღვსთ, ის შეაწიონ.

კბ) მაგრამ უფველთვის ერთი განწესება დადვან, რომ ერთი ხარჯი იყოს ქორწილზე ვაჟებისაზე, მეტნაკლებობა ნუ იქნება, ეგრეთვე ქალებისაზე დაქორწილება, რასაც ხარჯის შანს დაზღებენ უფველთვის, იმ ქალების ქორწილზე, იმავე ხარჯს დახარჯევენ, რაც განწესებული იქნებათ. + ვაჟისა და 0 ქალის ქორწილის ხარჯი ერთს დროსა და ჟამზედ არის მიგლებული და შეძლებაზე, რაც შეეძლოსთ.

კგ) ღმერთმან აშოროსთ, მაგრამ ბოლოს უამისობა არ იქნება: რომლისაც ძმის სახლში მწუხარება შეიქნას, მეშატონემ და ძმებმა,

რაც ამჟღავნებს, ის ხარჯი გასწიონ. მებატონემ, როგორც ამჯობინოს თავთავისის წილის ხარჯით დახარჯონ. იმ ხარჯის გამორჩევაში იმ შეწუხებულს ძმას კელი არა აქვს. ძეები, რასაც მოუმზადებენ და მისცემენ შესაწევარს, იმას უნდა დასჯერდეს და, თუ ის შეწუხებული ძმა თავისის მიცვალებულისთვის მეტს რასმე დახარჯამს, ის თავისის წილიდამ უნდა დაიხარჯოს, ძეები კელს ვერ დაუჭერენ.

კდ) ვისი წასახურავი და შეწევნა უნდოდესთ, მებატონემ და ძებებმა თავიანთ წილის მზგავსად შეწევნა მისცენ. რომელსამე ძმას, თუ მეტი შეწევნა უნდოდეს, თავისის წილიდამ შეაწიოს იმ შეწუხებულს + ვინც იქნება 0.

კე) ქალი რომ გაათხოვონ, იმ ქალის მამა და დედამა, რაც შეეძლოთ, მზითევი მისცენ და მეფემ და სხვა ძებებმა უნდა შეაწიონ მართებულათ თავთავის წილის მეტობით და მცირეობით და მზითვის უუღუღი და მთახლე თავისის წილის მამულიდამ უნდა გაატანოს მამამ და დედამ და ძებებმა. სახსრისთან საქმე არა აქვსთ. სახსრისთან არც მეფესა აქვს კელი. მთახლის გამორთმევაში, თუ გამართავას, თავის საკუთარს წილს უნდა გამართავას.

კვ) ამ ძებებთა და ამთვან შთამოსრულთა შვილთა სასაფლაოები გაუოფილი არა აქვსთ უოველგან. სცა აქვსთ საბატონო მონასტრები და ეკლესიები ეგრეთვე საუფლისწულთებში ან უსაუფროსობში მონასტრები და ეკლესიები, ერთმანერთს ნუ დაუჭერენ, სდაც უნდოდეს თავისი მიცვალებული, იქ მიიღონ. ნურც მებატონე დაუჭერს და ნურც უფლისწულები, მაგრამ გვამსა და ალაგზე ჰკიდა. მებატონემ და ძებებმა გაარიგონ უწმიდესის შეკითხვით და ერთმანერთის ნებით, რომელიც გვამი უფრო უზატოისნესი იუოს, უფრო ჰატოისნესს ალაგს უნდა მიიღონ და, რომელიც საშუალია იმისთანას ალაგს უნდა და უმცროსისსაც კიდევ იმისთანას ალაგს და სადაზოს ნურას გზით ნუ აიღებენ, რომ მე დამიყენებია. + ზემოთ რომ უფროსი, საშუალი და უმცროსი მიხსენებია, ასაკისთვის დაგვიწერია, სხვას ნურას იფიქრებთ 0.

კზ) ნურც მებატონე, ნურც უფლისწული უერთმანერთოდ კაცს ნუ გააზატებენ, ნურც სახსრის, ნურც საუფროსოს, ნურც + საუ-

ფელისწუელას 0. ამისთვის რომ გაურიღნი არ არიან და ერთი სხ-
ლაბა აქვსთ.

კწ) სახსრო კაცს უფელისწუელები და ძმები და სხვლისკაცები
ნუ დაარბევენ უბატონოთ, ამისთვის რომ ერთი სხვლობა აქვსთ და
ერთნი არიან, საუფროსოსა + და საუფელისწუელისი 0. თითონ იციან
თავისის უმისა, მაგრამ, თუ უსამართლოთ ირბოდეს, მებატონე და
ძმებმა რომ დაუშალონ, მართებული იქნება და იმანაც დაუჯეროს და
სხვლისკაცებს სათნო ექოს, უმჯობესი იქნება და თავისი ნებაა, თუ
არა იქს, + მაგრამ, თუ არ დაიშადა, ცოდვაში ჩავარდება 0.

კთ) თუ რომელმაც ძმებში ერთმანერთში ძალა მოინდომონ და
მეორეს როგორმე ძალი დაემართოს წილსა და ზატვიში, ჯერ ძმები
მშვიდობას ეცადნენ, გარვიგონ მათი საქმე, განწმინდონ, თუ არ იქ-
ნას, სამდგდელოთი და სარდლებით ეცადნენ და გარვიგონ და გან-
წმინდონ, თუ არც იმითი დასცხრენ, რაც სახსრო უმანი არიან ჩვენ-
ნი + ქადაქი 0 მთისა, თუ ბარისა, ისინიც მოინმარონ, ძალა და
ნება ორივე ინმარონ და გაურიგებულს ნუ გაუშვებენ, ძალით გა-
რიგონ.

კუ) რომელსაც ძმის თავის წილათ ხდომილს მამულში ან ბალი
არა აქვს, ან ვენახი, ან წისქვილი, ახლათ თავისთვის გაიკეთოს,
მაგრამ რომელსამე უფრო აქვს და რომელსამე ცოტა, მაგრამ ნუ
გამოკვიდებიან ერთმანერთს და ნაკლებიან ახლა გაიკეთოს და მება-
ტონემ სახსროდამ ნახევარზე მუშა უშველოს, რაც მუშაობა მოუნდეს
ამ ზირველს გაკეთებაში. ნახევარი ხომ იმისმა მებატონემ უნდა
იმუშაოს, რომლისაც მამული არის, და ნახევარი მებატონემ; ზირველ-
სე მუშა მოახმაროს და მას უკან აღარ უნდა მოახმაროს, თითონ უნდა
გააკეთოს + რომელსაც ძმის მამული გაკეთებული დახვედრია, იმ
ახალ მოშენეს ძმის ზირველსე გაკეთებაში სახსროსავით შეძლებით
ისიც მოენმაროს 0.

კვ) ნუმც იქმნება ესე, რომელიმე სახლის კაცი უშვილო იყოს,
იმისი კერძი ემა და მამული სხვას სახსროს მზგავსად უნდა დაიდვას:
შემოსავალი ორი წილი ზატ(რ)ონისა იქნება, მესამედი სახლის კა-
ცებისა + თუ იმ კერძიდან და მამულიდან მეფესა და უფლის წუ-
ელებს საქმემ შეახვედროს, იმ მამულიდან ცოტ-ცოტა ბეგრობით გა-
ტ. I. 14.

ცემს შოინდომენ, ნება აქვს; თუ გამორთმევა იქნება, ცაცემაც უნდა იყოს 0.

ლბ) რომლისაც ძმის რიგზე იყოს იმისთანა, რომ ვერ წარმართებდეს მეფობას, თუ იმავე რიგში შემდგომი შვილი ან შვილი-შვილი იყოს, რომ შეეძლოს და არა სჭირდეს-რა ნაკლულებანება და არ იყოს სხეული, იმან მიიღოს და დაადგინონ მეფედ; თუ იმავე სქესში არც ერთი არ იზოებოდეს, იმის შემდგომს ძმის სქესში და[ა]დგინონ მეფედ და, თუ ამაზედ სამხთოსა და საეროსა ერთა შინა შერევნა შეიქნას საქართველოში და სხვასა და სხვას არჩევდენ, ნუ იყოფინ, თუ არ ისე, როგორც დამიწერია და როგორც გამიჩვენებია. თუ იმის სქესში არ იზოებოდეს, იმის შემდგომმა სქესმა მიიღოს შემოწერილისამებრ. ამას გარდა საქართველების დიდნი და მცირენი, თუ რომლისამე საქმით გაერივნენ და შეძალან რიგი, მეორედ მისვლას უფალსა ჩემის ცოდვის ზასუნი იმან მისცეს და ნურა კეთილი დაემართოს ღვთისაგან იმ გვამს, რომელიც მიზეზი შეიქნას; თუნდა სხვანი დიდად სჯობდნენ, მაშინც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა აღსრულონ და ის დასვან მეფედ, რომლისაც რიგი იყოს.

ლგ) კვალად გავამეორებ ამ ჩემის შვილების განწესებისას, რომ ჩვენის ქვეყნის სამართალს ვერ წაუვალა, როგორც სამართლები არის გაურისა და გაუეროებისა შეწევნითა ღვთისათა არც ერთი არ დამიგდა, ეგვლა აღმოჩენით არის დაწერილი თავთავისის საკუთარის წილებისაც და საერთოს წილებისაც და, თუ ეს ასე არ გამოერიგებინა, როგორც სხვას თავადებთ მამანი და ძმანი გაურილა, მაგრამ დღესაც კიდევ ღაზარაკი და შფოთი აქვსთ და ბევრს კიდევ ერთმანერთის სისხლი დაუღვრიათ, ამისთვის რომ შებატონეს და მისამართლეს ამ დროს მიზეზით და ან გაურჯელობით რიგინად და კარგის დაწყობით ვერ გაუერიათ და, რომელნიც კიდევ გაუერენი უოფილა ურიგად და უწესოდ და ერთმანერთის სისხლი უღვრიათ; ზოგა შურის და სხლის კაცის შფოთსა და სიმსუფვარეში შემთხვევის სიგული და ისე გარდაუვლიათ ეს სოფელი და ამისთანა სიბოროტეში დასაცილან და მე ამ ფიქრებისათვის ასე განვაწესე, როგორც დამიწერია.

ლდ) აბა, ვთქვათ, როგორ უნდა ამეღო ან საუფროსო, ან საუფლისწულო, თუ ამ ქვეყანაში ქალაქში, ქისიეში, თუშეთში, ქსანსა,

არაკვსა და ღიასხეში, ზირაქეთ და ზირიქით ოსებში, ხევსურეთში, ეაზახში, ბორჩხალოში, შამშადილში და კიდევ სხვას თათრებში, ეს შეუძლებელი იყო, ამისთვის რომ ესენი ასე არც გაიყოფოდნენ, არც შეიძლებოდა და მრავალი ხანიც გამოვიდოდა და, რომ კიდევ შეგვძლებოდა, მასუკან კომლუეულადც უნდა გაბარათუელიყო. უამისობა აღარ იქნებოდა და სინამდის ეს იქნებოდა, ეგების ხმალიც გაშიშვლდებოდა, სისხლიც დაიღვრებოდა და არცავის გამართვა შეეძლებოდა და ამ სიდიდე ქვეყანაში არც მომხდარა. აბა, მითხარ გონებათ ჩემო, როგორ სისწორით დაგვეთვალა, არას გზით არ იქნებოდა და ახლა, როგორც საერთოდ დაგვიდგია ეს ხსენებულნი ქართველი, სომეხი, თათარი ქართლისა და კახეთისა ქვეყნებში და სხვანი ქვემოხსენებულნი, ესენი ეველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს ვარდა სწოგადო ემანი არიან და შენატანე მეივე არის ამათი მბრძანებელი და მოქმედი და, რაც სახსოს შემოსავალი იქნება, თუ იმ შემოსავლიდამ შეწირულა აბა რამ იქნება, და ან რასაც მოხელენი აიღებენ, და ან იქიდან ჯამაგირის განწესება იქნება ვისმე სახსოს შემოსავლიდამ, ჯერ ესეები უნდა გარდაიდვას და, რაც დარჩეს, სმათ გაიყოს; ორი წილი მეივეს და შესამედი უფლისწულთ.

ღე) ტფილისა, კორი, ქისიეი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, არაკვი, ქისნი, ღიასხეი, ქართლისა და კახეთის თათარი, ბორჩხალო-ეაზახი, ბაიანო-შამშადილი, შამქორი და, რაც ოსები გვევს, ამათში, როგორც ზეთ დაგვიწერია, არც საუფროსო შეიძლებოდა და არც საუფლისწულო დადგებოდა ვინმე და არც გამოერჩეოდნენ და ვაუბრებოდნენ ერთმანეთსა, ამისთვის ამაში არა მოხერხდებოდა-რა და, რაც ამ ზემოს წერილის წილების მაგიერები გამინენია და გამინიგებია და მიმიცია ჩემის შვილებისათვის თავთავისი წილი და ეს რომელიც ქალაქებისა და ბარისა და მთისა სახსოებისა დამიწერია, რომელიც სამეფოდ დადებული არის, ხომ ის არის; ეგრეთვე სადედოფლო და, რომელიც საუფროსოდ და საუფლისწულოდ აღმ-ჩენილი არის, ხომ ის არის და, რომელიც ჩემგან ახლა საკუთარის წერბლები[თ] კარიგებული არის, იმ კარიგებას დამიჯერებია და უნდა დასჯერდნენ და, რომელიც მიცემული არ არის, ის სამეფო არის, და იმ კარგემულმა სხსლამ, თათარმა, თუ სომეხმა, თუ ქართველმა მე-

ბატონეს მსახურს და, რაც იმათგან გამოვიდეს, სამათ გაიყოს; ორი წილი მეტატონეს და მესამედი უფლისწულთ. რომელიც ჩემგან მიტეპული არა აქვსთ ჩემს შვილებს, ჩემგან მიუტეპული ემა და მამული სახასო არის; თუ თითონ სხვა ქვეყნიდამ მოუყვანიათ და გარჯილან, ის იმათი იქნება და სხვას ძმებს კელი არ ექნებათ.

ღვ) სახასო და საუფლისწულო კაცი რომ გაქტეული იყოს, ეტადნენ, რომ საერთოდ მოიყვანონ, ასე სჯობს, თუ ის კაცი სხვათა კი არ ენებოსთ და არ მოვიდეს საერთოდ, და ის ერთი სასლისკაცი მოინდომოს საბატონუმთ, თუ ქვეყნას და საწმუნებებს უჯობდეს, მოიყვანოს იმან, რომლისაც ბატონუმთა მოინდომოს, და მოვიდეს იმასთან და ეუმოს და, თუ იმ კაცს არ შეეძლოს-რა არც ქვეყნის შემატება და არც დაკლება, თუ ქრისტიანი არ იყოს, ნუ მოიყვანენ.

ღზ) რომელმაც ჩემა შვილმა, ან შვილიშვილმა, ან ჩემა შთასრულმა ნათესავმა ერთმა; მეორემ, ღმერთმა ნუ ქნას, თუ მოკლას თავისის კელით ან სხვას მოაკვლევინოს რითაცდურით და ან მოწამლით, ან დაშავებით, ან კუდიანები რომ იქნებიან და თავიანთ ეშმაკის შემოდებულის წამლით, როგორცდაც ძველთაგან კერძმსახურთაგან უოფილა ჩვეულება, რომ კაცს წა[ა]ხდენენ, იმისთანას საქმიით მოუხერხონ რამე, და ან მოკლან, და ან წა[ა]ხდინონ, და და[ა]შაონ თავიანთ ნებით და ან სხვის ნების მიტეპით, და იმ ჩემის შთამოსულის გვარისგან, რომელიც ზემო დაწერილის ბრალების მოქმედი იყოს, იმასაც და იმის ამოფლსაც შერისხდეს ერთი ღმერთი სამგვამოვანი, წმიდა სამება, მამა, ძე და სული წმიდა, და იყოს შეჩვეულებული და დასჯილი აქაცა და მერმესაცა საუკუნესა, და ნუ მისცეს მას ნაყოფი თავის თავის გამოსადეგი და უოველივე, რომელიცა იმის ნება არ იყოს, ის ღმერთის უოვლად ძლიერმან ღმერთმან და, თუ მე დამიჯერებენ, ქვეყანამ ერთხმობით გა[ა]გდონ ამ ქვეყნიდამ შეჩვეულებული საუკუნოდ. იმ ბოროტის მოქმედის სხვაგან გაკდება ესე სჯობს, თუ მოკლამთ, თქვენ იცით, ღმერთმან უტოდო გამოფოსთ და, თუ არ მოკლამთ, ისიც თქვენ იცით, მაგრამ ასე კი უნდა წა[ა]ხდინოთ, რომ გაგქტესთ და სხვაგან მივიდეს ვისთანმე, გამოსაუენებელი აღარა იყოს-რა არც თავისთვის და არც სხვისთვის და,

თუ იმას შვილი ღარჩეს ვაჟი და კეთილ შრომაში იყოს, იმას თავისი მამის წილი არ დაეკარგოს, და ბატონობა კი აღარ ერგება იმის შთამომავლობას + და არც სახსოს შემოსავლის წილი () და ნურცა მისცემთ, რაგინდ კარგი იყოს. ამაებს სულ ჩემის შვილებისათვის და შვილის შვილებისათვის და ქვეყნის სისხლის უდენლობისათვის ვწერ, ჩემს თავს ვიფიცავ, სხვას არავის, ზევითაც ბევრჯელ დამიწერია + და იმ დამნაშავეს კაცის შვილს, თუ შეამცნით, რომ არგულობას და სიბოროტეში შესული იყოს და მეფისა და ქვეყნის საზიანოში, როგორც საქმე ღირდეს სისხლით, მეუემაც და სახლის კაცებმაც და ქვეყანამაც ასე კარდახდევინეთ, რომ სხვაგან გათრევა არ შეიძლოს 0.

ღ(ზ) რომელმაც ჩემს შვილმა, ანუ შვილიშვილმა, ან ჩემს შთამომარულმა ნათესავმა ეს ჩემი წერილი არ დაიჯეროს და სხვა სარწმუნოების შემძლებელს კაცს მიეკედლოს და წინააღმდეგად გამოჩნდეს და იმ საქმით თავის სახლის არეულობისა და სისხლის დაღვრის მიზენი შეიქნას, შერისხდეს მამა, ძე და სული წმიდა ღმერთი და, როგორც ძმის მგვლელისა და სახლის კაცის მგვლელისა დაგვიწერია, ესეც ისე უნდა იქმნას, იმ წესიდ დასაჯონ. თუ ასეთი მომშველებელი არა ჰქვანდეს და მორევა შეიძლოს, როგორც დამიწერია, სწორეთ ისე დამართონ.

ღთ) + მეფობა 0 ზირველად უფროს ძმას, მეორეთ მეორეს, მესამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მესუთედ მესუთეს, მე[ე]ქვსედ მე[ე]ქვსეს და მასუკან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს ზირველის ძმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მე[ე]ქვსეს ძმადის, უველამ ძმის შთამომავლობამ ასე უნდა ჩაირიგონ + მეფობა 0 და, თუ ის ერთი ჩამომავლობისა არ ვარგოდეს ან სნეულობითა, ან სხვა რიგად შეუძლებელი იყოს, თუ იმასვე სახლისკაცი ჰქვანდეს თავის წილში, იმას დაანებონ ქვეყნის დამტკიცებით და, თუ არა ჰქვანდეს თვისი უმცროსი ძმა და ნათესავი იმ [მე]ორეს სქეს[ს] იმის უქვემოეს მისცენ და ის მეფობდეს, სახამდის იცოცხლებდეს, და კიდევ, თუ გაუჩნდეს რამე ბოლოს და გაეზარდოს იმ დაწუნებულს თავის კერძო ოჯახში, ის გაამეფონ. მასუკან იმ დაწუნებულის მკვირად რომ იქდა მეოვედ იმის სქესს აღარ ერგება მეფობა, რადგან იმ დაწუნებულის

მაგიერად იჯდა შეფედ; სხვას სქესს უნდა მისცენ, იმას უკან, რომელიც იჯდა შეფედ, იმ სქესს, შემდგომად, რომელსაც ერგება რიგით, იმან მიიღოს შეფობა და ქვეყნის სამართლით და განსჯით და ძმების შემწეობით მიეცეს, და როგორც დამიწერია, კიდევ ისე ქმნან, თუ უნდას სხვად ხეირიანი, რომ ავი არ იყოს და სათაკილო ქვეყნისა, იმ დაწუნებულის კერძს სხვას შინა ნურას დროს რიგს ნუ მოუშლიან. ისევ იმ ზემო წერილისებრ კანონი, რიგს ნუ მოუშლიან. ჩემის ცოდვითამც განიკითხვის, თუ ეს მოშალას ვინმე, დამერტმან ის მოშალას ყოვლის კეთილისაგან.

ბ) რომელმაც ჩემს შვილებსა და შვილიშვილებსა შეფობა მიიღოს თავიანთ რიგზე ღვთისა და კაცის სამართლით სულ, როგორც ყოველს ქრისტიანობაში არის განწესებული, უნდა რომ ერთგულებაზე შეჭვივდნენ ყოველმა თავისმა საბატონომ უწმიდესამც და ყოვლისწულთაც, უნდა დაიფიცნენ ყოველთა სამღვდელოთა და ყოველთა თავადთა და აზნაურთა და გლეხთა, მაგრამ ფიცში ეს უნდა ჩაიტანონ, რომელაც შენს მამის ერეკლეს და შენს ჰანას ერეკლეს შენის ოჯახის, შენის ძმების და სხვას, ეკლესიისა და ან თავადთა, ან აზნაურთა და ან მოხელეთა და ან სხვას გლეხის კაცისა მთისა, თუ ბარისა, შენის ოჯახისათვის ის რიგი და განწესება, რომელაც დაუწერია, თუ იმისი დამჯერებულ და იმაზედ დამდგარი და მოქმედი იქნები, სრული შენი, როგორც მართებული არის, და ჭკუშარიტი ერდგულაც ვიყო და, რაც შემოძლიან, კიდევ შენის ოჯახისა და შენის ორგულისა და მტრისაც მტერი ვიყო და მოყვრისაც მოყვარე, და შენის ერდგულისაც ერთგული ვიყო და ჩემის შეძლებით კიდევაც ვეცადო, რომ მოვალეობისებრ ჩემისა გემსახურო და არც ორგული დავმალო და, თუ შენ მამის შენისა და ჰანას შენისა იმ განწესების განჩინებდ არც დაზდგე და წინააღმდეგად გამოჩნდე, როგორც ამაში განჩინება გვიწერია, როგორც ქართლისა, კახეთისა უფლისწულნი და უწმიდესნი და თავადნი და ყოვლად სამღვდელონი და სხვანი ერნი იქნებიან და იმოქმედებენ, მეც იმათთან ამხანაგი და მოქმედი ვიყო ჩემის შეძლებით, და, თუ არ დადგნენ ამ კანონებზედ ჩემნი შიასრულნი შვილნი და შვილიშვილნი, ნურც ძმები დაანებებთ თავსა და ნურც სამღვდელონი და ნურც ერნი, და ესევ განწესება აუბულებინეთ.

მა) და, როდესაც მეფედ დაჯდებოდ[ე]ს და ბატონობას მიიღებდეს კუროთხევით, თუ უკუროთხეობად, ეს ჩემნი შვილნი და შთასრულნი ნათესაობანი ჩემნი, მაინც უნდა შეჭვიცონ ეოველმან კაცმა, როგორც ზემოთ დამიწერია, და თვით იმ მეფემაც უნდა შეჭვიცონ თავის სახლის კაცებს და სამღვდელთა თავადთ, აზნაურთა და გლეხთა ეოველთა, როგორც შეეძლოს და, რადგენ შეძლოს, შეიყვაროს და უსამართლობით არ მოექცეს და სიუყვარულით მოექცეს, ეველას სწავლობდეს და, ვინც დამნაშავე იყოს, იმასევე შეძლებით გაშინჯოს და ქნას სამართალი და იქნებატ შეწყალებატ ზოგში მოხდეს; და ეს თავიანთზედ არის მიფარდნილი, სად და რომელზედ იქნება მისაღებულ, რაც იქნება და, სად შეწყალებატ იქნება, თვით ეოვლად ძლიერმან დემერთმან მისცეს თავისად სათნოდ მოქმედება.

მი) მეპატონემ, ვინც ქართველნი და კახნი არიან სამღვდელთანი და თავადნი, და აზნაურნი, და გლეხნი, თუ ჩემი მამაშვილობა გვამსთ, ისინი შეიყვარეთ, როგორც მამამან ტკბილმან და მოწყალებმან, როგორც ჰატვის ღირსნი იყვნენ, შეძლებათ, ნუ მოაკლებთ ჰატვისა და სიუყვარულს, თუ არგულება საწმუნოებისა თავის ქვეყნისა და მეფის ოჯახისა არ შეამცნიოთ, ნუ შეიბეზლებთ და, ვინც დააშაოს რამე თავის რიგზე, სამართლით რაც ღირდეს, უნდა მიაგოთ, თვარემ ქვეყნის წახდენა იმას შეუძლიან და კიდევ, ვინც საწმუნოებას და მეპატონობის ერდგულობაზე იდგეს, რადგენ შეიძლებოდეს, ნუგეში და წყალობა ნუ მოაკლდების მეპატონისკან და, რომელიც არ შეეძლოს მეპატონეს, ეს დასაზღურებელი არ არის და ნურც ის დაენდურება. ეს კიდევ სხვას მეფისთვისთანაც დამიწერია + რომელიც ქვეყანაზედ თუ მარტო მეფეზედ, თუ ერთს კაცზე ასეთი დამნაშავე იყოს, ის კაცი რომ არ დაეთმობდეს, ნუ დაუთმობენ; როგორც გადაახდევინებენ, თითონ იცინან მეფემ და მოსამართლემ ().

მგ) ამათაც ისე მართესთ თავისის მეპატონისა და ჩამომავლობისა, როგორც წმიდა ჰეტრე და წმიდა ჰავლე მოციქულნი და სადიდებულნი სამღთონი კაცნი და სოფლის განმანათლებულნი ბრძანებენ თავის მეპატონის ჰატვისა და ერთგულებას, და ეგრეთვე მეპატონისკან იმათს სიუყვარულსა და მსჯავრსა. ეს წმიდათ მოციქულთა სიტყვათა ორისაჲ კერძოს დიდად დასაწერებელი და მტკიცედ დასა-

ცველია და მეტ ასე კანონად უდებ, და შენახვა და დაცვა იმათი ვალი არის.

მდ) ჩემი შვილები და შვილიშვილები რომ ასე გამიშველებია, რომ რაც საუფროსო საუფლისწულო მიმიცია, იმაში ერთმანერთთან საქმე აღარა აქვსთ რა, ამაში ერთმანერთის არცაღას წილს შემოსვალში მისცემენ და ვერცავის იახლებენ, თუ არ თავისი წილისა და უმისაგან კიდე. გაუერთ ამითი გამიურია, რომ შოთის მიზეზი სულ დამისხნია საუფლისწულოსა, საუფროსოსა და სხვა, რომელიც ქალაქი, თუ შთა არის, ანუ ბარი სამეფო, იმ სამეფოში კი უნდა, როგორც ამაში განწესება არის თავადებისა, აზნაურისა და გლეხისა, ისე იმსახურონ + და იახლონ, როგორათაც და საიღამაც თავთავისი წილი გამიკეთებია იქილამ 0.

მე) საქართველოებში მეფედ სახლებშიაც და თავადების სახლებშიაც ასე ყოფილა, რომელნიც და რამდენნიც ძმანიც ყოფილან, ხან ერთის ძმის სახლში ყოფილა უფროსობა და ბატონობა, ხან მეორეში და, რამდენიც ძმანი ყოფილან, ისე რიგით ყოფილან, რომელნიც გაუყრელნი ყოფილან, როგორადაც ჩემს მამეულთ და დედეულთში ყოფილან და იყვნენ, რომელიც მრავალთ ახსოვსთ ეს საქმე და საქართველოს მოთხრობის წიგნებშიაც გვიწერია, და თვით მეტ მახსოვს ჩემს დროებში ჩემი მამეულნი და დედეულნი როგორც იყვნენ, და ბატონობდნენ, და მეფობდნენ, და გაუყრელნიც იყვნენ. ხან ერთმა ძმამ მიიღის მეუობა და უფროსობა და ხან მეორემ და კვრეთვე, რომელნიც ზირველნი თავადნი იყვნენ და არიან და კიდევ მათგანიც უმცირესნი არიან, იმათ სახლებშიაც ჩვეულება და რიგია, რომ რამდენიც უნდა ძმანი იყვნენ, ხან ერთი იქნება უფროსი და ბატონი თავის ოჯახისა და უმისა და ხან მეორე, და ხან მესამე ძმა, სანამდის გაიყრებიან, ეს არის რიგი და წესი, თვარემ, თუ ასე არ იყოს და სულ ერთის ძმის სახლში იყოს უფროსობა და ბატონობა, გინა მეუობა, ის სხვანი მას უკან იმის უმანი შეიქნებიან, და ეს დიდი უსამართლობა არის. თვით თუნდა ზირმშო იყოს, თუნდა შემდგომი, თუნდა კიდევ შემდგომი, ყველანი თავის წილს დაჯერებულნი უნდა იყვნენ, და მე ჩემის შვილებისა თავთავისის წილების მიცემა და გარჩევა გაუყრელობისა და შეყრის ნიშნები ამ მიზეზებისთვის გა-

ვაჩინე, რომ არ ზირივნენ და გაიყარნენ, რომ გაერთი არ წაიკიდნენ და სისხლი არ ჩამოუარდესო, და ქვეყანა ერთმანერთის არ შეასოცონ, და კიდევ მეორე მიზეზი გაერთი ბატონობა, შეფობა და თავადობა არ დამდაბლდეს და არ დასუსტდეს, და ამ სხლშიაც ძმების შთამომავლობა ერთის ძმისა მეორე ძმის უმად არ გახდეს და არ გავლახსადეს, და მე წესდებულება კიდევ ამისთვის დავდევი, რომლისთვის კიდევ სხვას მუხლებშიაც დამიწერია ისევ მიზეზები.

მე) რადგანაც ეს განჩინების წერილი მხოლოდ ჩემის შვილებისათვის და შთასრულთა ნათესავთა ჩემთათვის დაიწერა ამათის ერთობისა და გაუერთებლობისათვის და თავთავისის წილის გარჩევისათვის, რომ ამ ჩემ შვილთა და შთასრულთა ჩემთა ნათესავთა უმთვრთველობისათვის, რომ სხვა[ა] აზრი არა უოფილა-რა, რაც რამ ამ აზრებმა აზრი არ მოითხოვს, იმას გარდა სხვა რამ რიგები და ან აზრები რამ არც ამ ჩემი შვილებისა და არც საქვეყნო არა შემომიტანია რა და, რომელიც შემოვიტანე და დავსწერე, ისინი კი ეჭირებოდა ამ განწესებებს, და უამისობა არ იქნებოდა და იმიტომ დავსწერე, თავრემ სხვაც მრავალი გამოსაყენებელი არის ჩვენი და ჩვენის ქვეყნისა და იმისი დაწერა და განწესება, რომელსაც მეფეებს დამერთმან შეაძლებინოს და ან ნება ღვთისა იეოს, იმას განაჩინინოს და და[ა]წერინოს.

მე) ბეითაღმანი თავადისა და აზნაურისა მამულისათვის, თუ როგორ უნდა ქნან ძმებმა, ეს უნდა რომ ზირველად სხასოდ დაიდვას, როგორც საქართველოებში რიგი არის და მასუკან ბატონმა და ძმებმა, თუ ამჯობინონ გაცემა, გასცეს მებატონემ, და თუ იქილამ ფეშქაში შემოვიდეს რამე, ორი წილი მეფეს და ერთი ძმებს და, თუ იმ მამულზე ქვრივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქვრივმა რაც იმ მამულს შეძლება ჰქონდეს, თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწესებულია და ჩემგან საქართველოს სამართალში, ობოლსაცა და ქვრივსაც, ისე უნდა არჩინონ იმ წესით, როგორც არის განწესებული. თავადისა და აზნაურიშვილისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის.

მე) ეგრედვე თავიანთ საკუთარი უმა, რომ მონდომონ, ისიც ერთმანერთსა ჰკითხონ, ისე გააზატო[ნ] თავიანთ სამსახურში და

საქვეყნოს გამოსაღებში კი ვერ გააზატებენ 0. ეგრეთვე მამულის მიტემაშიაც კიდევ უმტკიცებ სამეფოსაც და სათავისთაოსაც ემასა და მამულს ნუ გასცემენ უერთმანერთოდ. ამში უფრო სიუვარული და-მტკიცდება და უერთმანერთოთაც გაცემა არ იქნება; თუ ერთსაც არის ძმას არ უნდოდეს, ნუ გასცემენ, თორემ ჩხუბი მოაქვს ამისთანას უთანხმობას. თუ ქვეყნის სამჯობინარი საქმე იქნება და მეფე მონ-დომებს და ცოდვა არ იუოს, სხვამ ძმამაც მონდომოს, მეფემ უბო-ძოს, რადგან სამჯობინარია.

მთ) მებატონემ უფლისწულს რაც სამსახური საქვეყნო თავის ძმას და სახლის კაცს უბძანოს, უნდა, რომ ვითარცა მეფესა და თა-ვის ბატონს, ეგრე დაუჯეროს სიმართლით და ერთგულებით თავი-სის ზირობისა და ფიცისაებრ.

ნ) თუ ვინმე დიდი მძლავრი ადღკეს და საქართველოსა და კა-ხეთის სამეფოებზე ქართველზე, სომეხზე და თათარზე მტერობით მოვიდეს, დაიჭიროს და დაიმორჩილოს, იმასთან, თუ შეიძლოს, ამ თავიანთ რიგის მოუშლელობას ეცადნენ დახარჯვით და სამსახურით, ეგების იმისი გული მოიმაღლიერონ და იმანაც ეს წერილი დამ-ტვიცოს, ან თავისგანი სხვა ამისი დასამტკიცებელი წიგნი გამოსცეს; თუ არ იქნას, თქვენ კი ამ წიგნის დამრღვევი ნუ შეიქნებით, მიზე-ზი რომ დმერთმან არ მოიკითხოს და მძლავრი, რასაც თავადა იქს, ღონე თუ იუოს და არ აქნევიროთ, დიად კარგი იქნება; თუ ღონე არ გექნებათ, რაც თითონ ენდომება, იმასა იქს და, თუ წინააღმდეგი შეიძლოს, ის თქვენ იცით.

ნა) რაც საერთო უმიდამ, რომელიც სამეფო არიან ქრისტიანე-ნი, თუ თათრები, ამათი შემოსავლიდამაც და ბაჟებიდამაც და ნაქურ-დალიდამაც, თუ სათავისთავოს უმიდამ ნაქურდალი და ნა[ა]კვაცარი შემოუვიდეს ჯარმა (ჯარი?) მებატონეს, სამათ უნდა გაიუოს: ორი წილი მებატონეს და მესამედი ძმებს. სამეფოსიც, საუფროსოსი და საუფლისწულოებისა 0 ბაჟებიც სამათ გაიუოფოდეს, — ორი წილი მე-ფეს და მესამედი უფლისწულთ.

ნბ) საიდამაც უმიდამ რაც რამ შემოვიდეს და, თუ ქველადგანევი მეფეთაგან ეკლესიის შეწირულია, ნურავინ იკადრებს იმის მოძლას, რომ ანანია და სანთიარა უნდა მოაგონოს და დაეკონ ის საძამარა

და უგზო ანგარება და, თუ რომელსავე ეკლესიას იმაში შეწირულობა არა ჰქონდეს რა, იმისმა უმამ რომ დაძალოს რამე, გარდახდევინოს მეუბე და მასუკან მებატონემ და უფლისწულებმან იცინან, თუნდა მართმევედნენ, ნება იმათი არის, უსამართლო სურათდეს სუ იყოს და სურც იქმონენ, სათავადოსი აუ რამ არის და ან რაც შემოსავალი იქნებოდეს საქვეყნოს გარდა, ისიც სამად გაიუფოდეს: ორი წილი მეუბეს, მესამედი უფლისწულთ.

ნგ) თავადები რომ არის საქართველოებში სამეფო, სადელო-ფლო, საუფლისწულო, ეს მე დამიყენებია, ურიგო საქმე არის და, რასაც ამისათვის მე დავსწერ, ეს უმჯობესი არის, ასე სცანიოთ, რომ ეს თავადები სულ სამეფო არის და მეუბემ ნახევარი იახლოს და, რაც უფროსი უნდოდეს სახლიდამ და ან რამდენიც უმცროსი უნდოდეს, იახლოს იმავე სამეფოს ნახევრიდამ; დელოფაღმაც იქილამ, რამდენიც ეპრიანებოდეს, იახლოს და იმისი ნახევრიდამ სახლის კაცებმაც თავანთ ნახევრის წილიდამ, რაც ეპრიანებოდესთ, იახლოს და, რაც თავადები არიან, ეკების იმდენს ხლებს, რომელსაც ერგება თავის წილში, რომ ცოტას ხლებს უნდოდეს, ცოტა იახლოს თავისის წილიდამ, ეს არა იქნება რა, მაგრამ, რაც თავის წილიდამ მეტი დარჩეს უხლებელი, თუ ნებადეს, სხვას სახლის კაცს აახლოს, თუ არ ნებადეს, თავისთვის იყოს ის თავადი + სულ ეველას ხლებს არც კი შეიძლება არც მეფისკან, დედოფლისკან და არც უფლისწულუბისკან, და არც იმ თავადებს უჯობსთ, რაც რომ შეიძლონ, ის იახლონ.

ნდ) ეგრეთვე ტფილისის სამეფოს ემისა გამოსადები, თუ მსასურების ხლებს ამავე რიგითვე დაგვიდვია და განგვიწესებია, მაგრამ ტფილისის ქალაქში ბევრის მსახურის გამოყვანა არ იქნება, ეკების ათი ან თხუთმეტი, ისინიც, ვინც აზატობენ, ისინი უნდა იყვნენ; სხვას მეტს სუ შემოიყვანენ, ამიტომ ხარჯისაც დასაკლისია და თითონ იმისი ოჯახი ავ ჩვეულებასა და დიდგულობასა დაქვეყვა, და თავის ალებ-მიცემასე აღარ იქნება, და წახდება არ უჯობს იმ საბრალოს.

ნე) რომელიც საქვეყნო და მტრისა, თუ მეზობლის ხარჯი იქნებადეს, ეველას უნდა შესწერდეს, სამეფოსაც, საუფლისწულოსაც, საუფროსოსაც, სადელოფლოსაც, საეკლესიოსაც, სათავადოსაც და სა-

ანსაურასაც; და იქნება, რომ ვაჭარსა და მოხელე კაცსაც ჰყვანდეს უმა, ის უმებიც უნდა საქვეურო გამოსაღებში გარიონ. თუ საერთოდ ქვეუროს ხიზანი გარიონ, ის ვაჭრის და ან გლეხის კაციც უნდა გარიონ, და იმისი ბატონიც იმ საქვეუროს ხარჯს ვერ გაექცევა, და სხვა, რაც თავის მებატონისა იმ ვაჭარსა და იმ გლეხს აძევს, იმას ხომ თავის მებატონეს ემსახურება, მაგრამ ამ ათს უმასთან ბატონს სასამსახუროდ საქმე არა აქვს, თუ საქვეურო[ო]ს გამოსაღებში ხიზანს არ გარევენ, არც ეს გლეხისა და ვაჭრის უმანი უნდა გარიონ, უსამართლო იქნება. თუ იმ ვაჭრებისა და გლეხების უმებს მამული აქვსთ, ხანდახან ცოტათი სოფელს უნდა შეეწოდნენ, თუ დიდად შეუძლებელი არიან და ჩანს მათი შეუძლებლობა, არა ეთხოვებათ რა. იქნება, ცოტა რამ შეეძლოსთ და საეკლესიოს კაცის, როცა თავაზის ილაჯი იყოს და ან ძველადგან ამ გვარებში თავაზა შეენახოსთ საქვეუროში, კიდევ თავაზა შეუნახონ. ეს ეჭირებოდა საქმეს, რომ დაგწერე. ამ საქმის დახმარაკს ბევრჯერ შეუწუხებივარ და ამისთვის დავზღვევ აქა ამ ეკლესიებისა: სადა და საიღამ ეს საქვეურო ხარჯი ადგებოდეს მეფის ბრძანებით, იმავე მებატონის საჩქარიდამ და იმის ბრძანების ნებით უნდა დაიხარჯებოდეს, რისთვის ამდგარა. ამასი მეფის მეტს კელი არავისა აქვს. იმან უნდა დახარჯოს და მოიხმაროს იმ საქმეზედ, რომლისთვისაც შეეწირა. ამ საქვეუროს გამოსაღებდამ სარგებელი იქნება, მეფის არის, ხარჯი, ზიანი იქნება, მეფის არის. არც დედოფალსა აქვს კელი, არც უფლისწულებს და არც სახლის კაცებს.

ნვ) თუ ნება ღვთისა იყოს და ამ სქესებიდამ შთასულთ არა მოაკლდესთ რა და გამრავლდენ, კიდევ იმ რიგზედ იყვნენ, რამდენიც ძმების ნათესაობაც შთასრულიყოს ამ ექვსი ძმებისა, ისევე ექვსზე იყოს რიგით მეფობა და ბატონობა. ღმერთმან ნუ ქნას, თუ დაკლება მოხდეს, რამდენიც სქესნი იყვნენ, ისე კი იმ რიგზედ იყვნენ, მე ამას ვამტკიცებ და დამიმტკიცებია, რადენათ მოწყალებითა ღვითსათა განმრავლდენ, მანც ასე სჯობს და ასე ქნან. თუ ვეღარ შეიძლოს ვერც თითონ იმ ჩემა შთამომავალმან და ვერც ქვეურომ, მასუკან ღმერთმან კეთილად განაგებინოსთ, ნება აქვსთ, მაგრამ ჩემიდამ შვიდ თაობამდინ კი როგორც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა დამტკი-

ცდეს, რომ ფიციო და წყევით დამიმტკიცებია; რომელმაც მოშალა, ის ფიცი იმისი იყოს.

ნ(ს) თუ ასე არ გამოერთებინა, ის მეორე ძმები გაურასი მოინდომებდენ, მასუკან სულ გაურასი ერთი მეორესე აღზდგებოდენ, და შეუსნდებოდენ ჯარნი და თავს გაუსვლეელი და შეუძლებელი იქნებოდა, რომ მშვიდობა ჩამოეგდო ვისმე, და მუდამ შოფოთი და სისხლის დაღვრა და სიკვდილი იქნებოდა, და მე ასე ამისთვის შვიდ თაობამდის, სდამდის ეველასი შვიდი თაობა არ შესრულდეს, ამავე წესზე უნდა იყვნენ. იმავე ფიციო და იმავე წესით და იმავე კანონით შეკრავს, და დამიმტკიცებია, და მასუკანაც ამას რჩევით დავსწერ; თუ დამიჯერებენ, სდამდის დვთის ნებით ეს ჩვენი გვარი და შთამომავლობა იყოს, რამდენიც დვთით რომ გამრავლდენ, ასევე სჯობს, რომ იყვნენ და, თუ ვერ შეიძლან და არ დამიჯერონ, თითონ იციან და ქვეყანამ, როგორც უფობდესთ, ისე ქნან და ისე განაგონ, მაგრამ შვიდ თაობამდისინ კი ამ განწყესების მოშლა არ იქნება და არ იქნება იმ ფიციოთ და იმ წყევით, როგორც ზემორე დამიწერთა.

ნ(წ) საქართოს სახსარებისთვის ასე გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ, რომ იმათ უსამართლო არა დაემართოსთ რა, თორემ თავთავის წილს უფროსმა და საშუაღმა ძმებმა და უმცროსმა რომ ესე ქნან, თავთავის წილს და კერძის კი გაუფრთხილდენ და დაიცვან და საქართო სახსარებს ძალი დაატანონ, ეს დვთის განმარისხებელი საქმე იქნება და ეველამ შეევემა და უფლისწულებმა რომ უსამართლოთ გაგლიჯონ, აღარც ძმებში მშვიდობა იქნება და გლეხი კაციც დაუფანტებათ, ამაზედ დიდად გაფრთხილდენ, რომ ამ განწყესების წინააღმდეგი არ შეიქნენ. რომელნიც ძმები ამისთანანი გამჩნდნენ, ისევე შეევემ და ძმებმა და ქვეყანამ მოაძლევიონ. როგორც მართებულია, ისე დააუენონ.

ქართულიდან რუსულად ითარგმნა საქართველოს მეფის ძის მირიანისკან ნოემბრის აგ, ქ-კს უწეს, რომ იქნება საეკლესიოს რიცხვისამებრ ჩღჟთ წელი.

ქალაქსა ტფილისს, სდედოფლოს ავლანბრის სასახლეში.

199. პირობის წიგნი მეფე გიორგი მე-XIII-ისა. მოქცეულია ზემო მოყვანილ ირაკლის განწესების ბოლოში.

1797, დეკემბრის 8. შირობები, რომელიცა მიუცნა აწინდელსა მეფესა საქართველოსასა გიორგის ძმებისათჳს თჳსისა მეფის ძეთა იულონისა და აღმასხანისათვის.

ქ. ღვთით ჩვენ ბატონისშვილი გიორგი თქვენ ჩვენს ძმას ბატონისშვილს იულონს და აღმასხანს ამ შირობებს გადავეთ, რომელიც ამას ქვეით სწერან:

ა) შირველი, ესე ჩვენი კელმწიფე მამა ღმერთმან მრავალს წელს გვიცოცხლოს, ყოვლითურთ მისის ბრძანების მოწმინდნი და დამამტკიცებელი ვიყვნეთ და ყოვლის ჩვენის შეძლებით სამსახურის მტდელნი.

ბ) მეორე, ესე ღმერთმან დიდს ხანს აცოცხლოს ჩვენი კელმწიფე დედა, დედოფალი დარეჯან. მანამდის ცოცხალი ბრძანდება, რაც დღეს მდგომარეობა აქუს, ამ ზატოვით და ამ თქმითი და ამ საქმეებით მოუშლელად ბძანდებოდეს.

გ) მესამე, ესე, რომელიც დღეს ჩვენი მამულები გვიჭირავს მეფის ერეკლეს ბრძანებით, ეს საუკუნოდ და სუბილის შვილად მოუშლელად გუქონდეს.

დ) მეოთხე, ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყუბელანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ.

ე) მეხუთე, ეს ჩვენი უმცროსი ძმები ჩვენთან მოვიყვანოთ, შემოვიერთოთ და, თუ რამ აკლდესო, სამართლიანის საქმით და შეძლებით შეუსრულოთ.

ვ) მეექვსე, ეს რომელიც ჩემნი შვილები არიან, იმათგანაც სათრიაფხანი იყავით, რომ ამ ჩვენს შირობებს არ ეწინააღმდეგონ და ყოვლისფრით იანმოკიდებულნი და დამამტკიცებელი იყუნენ.

ზ) მეშვიდე, ეს, რომელიც ჩვენის ოჯახის საზოგადო საქმე იყოს და ან საქვეუნოდ, ან ვისიმე და მოკერება ჩვენის ოჯახისა და ან კელმწიფეებთან, და ან ჩვენს მეზობლებთან ღაზარაკი ერთმანერთის შეკითხვით მოხდებოდეს.

(წ) მეგრე, რომელმაც ჩვენის აჯახის შვილმაც ამ ზირობის ქაჩისა მონდომოს, ჯერ დიდად ვეცადნეთ, რომ ისევე ამახედ მოვიყუანათ, თუ რომ არ იქნას და არ იქნას, მსუკან, რაც შეგვეძლოს, ჩვენი ძალი იმახედ უნდა მოვიხმაროთ ბატონმა დედოფალმა დედჩინებმა და ჩვენ სამთავ მძათ და, თუ რომელმანმე ჩვენმა ძმამ მეორის ძმის მამულის მიმსჯავრება მონდომოს, ეუსლანნი ამას მივსდგეთ და ნურას დავანებებთ და ის საქმე კიდევ შევანათო.

ეს რომელიც ზირობები თქვენ ჩემს ძმებმა მოხოვეთ, ამ ზირობაებს ეოფლად ძლიერის დვთის სხელით გაძლევ, რომ თუ თქვენ ჩემხედ არა იმტყუვნოთ რა, არცა რა მე თქვენხედ ვიმტყუვნა და არც ეს ზირობები გაგიტუხო. დეკენბრის წ, ქკს უზე, რომ იქნება ეკლესიურის რიცხვისა-მებრ ჩღუს გიორგი.

200. სიმტკიცის წერილი მიცემული მეფე გიორგი მე-XIII-საგან იულონისათვის. ეს წერილი მოქცეულია ზემო წერილის ბოლოში.

1797, დეკემბრის 8. სიმტკიცის წერილი, რომელიც მსუცია აწინდელს მეფეს საქართველოსსა გიორგის ძმის თვისისა იულონისათვის, დამტკიცებისათვის მისისა შემდგომად თვის საქართველოს სამეფოსა ზედა შემკვიდრედ.

ჩემო ძმავ, ბატონისშვილო იულონი! მე თქვენი ძმა გიორგი ამ წიგნს გაძლევ, რომ, როდესაც მე გარდავიცვალა, ჩემ შემდგომ შეივას შენ გქანდეს, შენი არის, ამას ჩემის ხელით გიმტკიცებ და ჩემის ბეჭდით. დეკენბრის წ, ქკს უზე; რომ იქნება ეკლესიურის რიცხვისამებრ ჩღუს წელი გიორგი.

201. სამძიმრის წიგნი მეფის ძის ფარნავაზისა, 24×13,8 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე ნუსხა-მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია მძიმე და წერტილები. სამძიმრის წიგნი მიწერილი უნდა იყოს გიორგი ერისთვის გარდაცვალების გამო 28 ოქტომბერს 1833 წელს ეს გიორგი ქსნის ერისთავი იყო და მისი ქალი ანნა ცოლად ყავდა ფარნავაზს და მიტომ ფარნავაზი სიძეთ იხსენიებს თავის თავს. ამიტომ წერილი დაწერილი უნდა იყოს

1833 — 34. წლებში. ნამდვილი ამ წერილისა „მომბის“ რედაქციას მოუვიდა ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინაშვილისაგადა ჩვენ იქიდან გადმოვსწერეთ. ნამდვილი პატრონის სურვილისამებრ გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს.

1833 — 34.

ბრწყინვალეა თავადო,

მოწყაღეა კელმწიფეუ!

არა ვუწეო, თუ ვისდა შევასწორო ჟამი ესე გოდებისა და მწუნარებისა, ანუ რაბამი ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ცტრემლეულდე დაკვეთეულისა ამის საქმისაფის! გონებად მოვიდებ დღეს ჟამს მას სკოდებელსა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრულსა, რომელი სწორ იყო მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა, და რამეთუ ჩემდა ეგრეთ სწუხებულ და სკლოველ არს, ჟამი ესე არა არს ნამდვილ საკლუდეგან მწუნარება ჩემდა, ვითა დღე იგო, დღეს უბედურ ვიქმენ სანატრელისა მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულითა. ვისა შევასწორო ესე არა თუ მისსა, სადაღო მოვიდნენ ცტრემლნი სკოდებელნი, არაფის არს ნუგეშის მტემელ ჩემდა და უმეტეს ადგილისა ამის ძლით, ვითარ შევრაცხო, რომელ არდა იუოს ტებელ მოუბარი ენა დედისა ჩემისა მზგავსისა, ვითარ დავსდვა არითვე გერძოდოთ თბლობა ბრწყინვალეებისა თქვენისა? ნეტარ თუმცა ვიყო მასლობელ თქვენდ[ა], რათა არა წერილით, არამედ ცხოველითა ხმითა განვაცხადო შინაგან მდებარე მწუნარება ჩემი, რადამე აღვიმსუბუქო მწუნარება ესე, რომელი ზედა დაერთო ჩემდა და დამძიმა უმეტეს მდგომარეობით ესე ჟამი ჩემდამო მწუნარებამან ამან, არა რა სხვა მექმნების თანა მკოვარ, კარხა მდუმრიად დინება ცტრემლთა, მაგრამ ეოველთა ამათ ზედა დამრთველი ვითხოვ, რათა აღსრულებულით თქვენ მწუნარება ესე არა წინააღმდგომებითა სამდომალსა ნებისათა, არამედ ეოველსავე ზედა მადლობითა მისითა.

მწუნარებით და მდაბლად მომხსენებელი საქართველოს
შეფის ქე და საკუთარი სიძე თქვენი ფარნავაზ.